პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 იანვარი **ორშაბათი** 2012
№023(13629) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გარსიADIOS



გუშინ, საღამოს, შევიტყვეთ, რომ ესპანურ შეკრებაზე "იანგ ბოიზთან" საკონტროლო შეხვედრის ნაგების (1:3) შემდეგ თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის, ესპანელი **ალექს გარსიას** გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. იმავე წყაროს ცნობით, „დინამოს" თავკაცობა "დინამო 2"-ის დამრიგებელ **გიორგი დევდარიანს** შესთავაზეს.

ინფორმაცია კულუარულად დაგვიდასტურეს, მაგრამ ოფიციალურმა პირებმა კომენტარი არ ისურვეს – "დინამოს" პიარმენეჯერ **ლაშა დვალიშვილის** თქმით, კლუბის გადაწყვეტილებებს საზოგადოებას დღეს, ორშაბათს გააცნობენ.

შევიტყვეთ ისიც, რომ, შესაძლოა, "დინამოში" სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოხდეს. მაგალითად, არ არის გამორიცხული, რომელიმე მაღალ პოზიციაზე (სავარაუდოდ, გენერალურ დირექტორად) დაინიშნოს „დინამო არენას" დირექტორი **სანდრო შახოვი**, რათა "დინამოს" საკუთრებაში თუ იჯარაში არსებული ობიექტები ერთიან მართვაში მოექცეს. მეორე ცვლილება კი **ზურაბ პოლოლიკაშვილს** შეეხება - ის გენერალური დირექტორის ნაცვლად, სავარაუდოდ, ვიცე-პრეზიდენტი გახდებაო.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული ცეცხლი ინგლისურ ყინულზე







ელენე ევროპაში მესამეა

10



## ჯოკოვიჩი №1 აზარენკა

ავსტრალიის ღია პირველობა

16

# თაობათა ბრძოლა

## 7-დან 6 ოქრო ჩვენია



10-11



მე-12 გვერდზე წაიკითხავთ, როგორ ჩააგდო შვიდმა ქართველმა **111 ქულა** 8 მატჩში

ხვალიდან: ლელო იწყებს გამოკითხვას საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენისა და ათეულის გამოსავლენად

● სამზადისი. დინამო

# ახალი ტაქტიკა ძველი შეცდომებით

ესპანურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" მორიგი, მეექვსე მატჩი ჩაატარა — ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდის მეტოქე შვეიცარიული „იანგ ბოიზი" იყო. შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრამდე „დინამომ" ესპანეთში ჯერ სპარინგმატჩები ითამაშა (ალჟირულ „კაბილიეს" 1:0 მოუგო, ესპანური გუნდები, „ესპანიოლი B" და „ტერასა", შესაბამისად, 2:0 და 5:2 დაამარცხა), შემდეგ კი „მარბელიის თასის" გათამაშებაში ჩაერთო. ამ ტურნირის პირველ მატჩში „დინამო" პოლონურ „კრაკოვიასთან" 2:3 დამარცხდა, შემდეგ ნორვეგიულ „სტრომსგოდსეტს" 2:1 აჯობა, ტურნირის ბოლო დღეს კი ზემოთნახსენებ „იანგ ბოიზს" დაუპირისპირდა. დინამოელთა მეტოქე „მარბელიის თასის" ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოიაზრებოდა (კიევის „დინამოსთან" ერთად) - შვეიცარიის ერთ-ერთი უძველესი კლუბი (1898 წელს დაარსდა) ქვეყნის 11-



გოგიტა გოგუა მეტოქეთა გარემოცვაში



გიორგი ნემსაძე (მარჯვნივ) და კრისტიან გროსი

გზის ჩემპიონი და 6-გზის თასის მფლობელია. ბოლო ოთხ სეზონში „იანგ ბოიზი" მუდამ საპრიზო ადგილებზე გადიოდა, ორჯერ კი ცოტა დააკლდა ოქროს მედლებამდე. მიმდინარე სეზონშიც მესამე ადგილზეა და თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ამ ზაფხულს, ტრადიციულად, ევროტურნირებზე იასპარეზებს. „იანგ ბოიზის" შემადგენლობაში არაერთი ცნობილი ფეხბურთელი თამაშობს: 29 წლის მეკარე **მარკო ვოლფლი**, მცველები — 33 წლის **კრისტოფ შპიხერი**, 25 წლის **ელსად ზვეროტიჩი** (ჩერნოგორია), ნახევარმცველები — 27 წლის **ალექსანდერ ფარნერუდი** (შვედეთი), 28 წლის **დავიდ დეგენი**, 23 წლის **მორენო კოსტანცო**, თავდამსხმელი — 20 წლის **ნასიმ ბენ ხალიფა**. „იანგ ბოიზმა" ახლახან 24 წლის არგენტინელი ფორვარდი **რაულ ბობადილია** დაიმატა, ბოლო დროს მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" რომ თამაშობდა. გუნდში მრავლად არიან პერსპექტიული ახალგაზრდებიც - ნასიმ ბენ ხალიფას გარდა უნდა აღვნიშნოთ 19 წლის ნახევარმცველი **ფრედი მვენგი** (კამერუნი) და 18 წლის ფორვარდი **იოსეპ მარტინესი** (ვენესუელა). თუმცა „იანგ ბოიზის" ყველაზე ცნობილი პერსონა გუნდის მთავარი მწვრთნელი, 57 წლის **კრისტიან გროსია**, რომელიც სხვადასხვა დროს წარმატებით მუშაობდა „გრასჰოპერსა" და „ბაზელში" (6-ჯერ გახდა შვეიცარიის ჩემპიონი და 5-ჯერ — თასის მფლობელი), წვრთნიდა „ტოტენჰემსა" და „შტუტგარტს". სხვათა შორის, „დინამო"-„იანგ ბოიზის" მატჩის წინ ძველი ნაცნობები შეხვდნენ ერთმანეთს: ქართული კლუბის სპორტული დირექტორი **გიორგი ნემსაძე** „გრასჰოპერში" მაშინ თამაშობდა, როცა ამ გუნდის თავკაცი გროსი იყო. ახლა კი, შაბათის მატჩის შესახებაც, გუნდებმა ასეთი შემადგენლობით რომ დაიწყეს:

„დინამო": **ლორია — ოდიკაძე, კვეკვესკირი, ლომიძე — ჯილაური, კოშკაძე, პაპავა, მერებაშვილი — კოტო, ჩისკო, გოგუა.**

„იანგ ბოიზი": **ვოლფლი — ზვეროტიჩი, ნეფი, ვეშკოვაცი, შპიხერი; დეგენი, მვენგი, ფარნერუდი, ნუცოლო — კოსტანცო — მარტინესი.**

მატჩის მიმოხილვამდე ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს გვინდა ხაზი გავუსვათ: უკვე მეორე მატჩია, „დინამოს" ესპანელმა თავკაცმა **ალექს გარსიამ** გუნდი ახალი ტაქტიკური სქემით (3-4-3) ათამაშა. ერთი მხრივ, ტაქტიკური განლაგების ცვლილება ცუდი არ უნდა იყოს - ბოლოს და ბოლოს, სხვადასხვა მეტოქესთან დაპირისპირებისას ტაქტიკური მრავალფეროვნებით სასურველი შედეგის მიღწევა ბევრად უფრო შესაძლებელი იქნება. თუმცა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ასეთ ნაბიჯზე გარსია საკადრო პრობლემების გამო წავიდა: **გიორგი რეხვიაშვილმა, ლევან კაკუბავამ** და **გულვერდ თომაშვილმა** (ამპლუით სამივე მცველია) უკვე მერამდენე მატჩი გამოტოვეს ესპანურ შეკრებაზე. ასეა თუ ისე, ძლიერ მეტოქესთან მატჩში „დინამომ" შემტევი ტაქტიკით ითამაშა, თუმც შეხვედრის დასაწყისი სტუმართა უპირატესობით წარიმართა და მე-9 წუთზე მორენო კოსტანცომ პენალტი ზუსტად შეასრულა. „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ამის შემდეგ ქართული გუნდი საგრძნობლად გააქტიურდა, მაგრამ **ჯაბა ჯილაურის, გიორგი მერებაშვილისა** და **გოგიტა გოგუას** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. ამასობაში დინამოელთა შემადგენლობაში ცვლილება მოხდა — **მამუკა ლომიძის** ნაცვლად მოედანზე **ირჟი ჰომოლა** შევიდა, ხუთიოდ წუთში კი მეორე გოლიც გავუშვით: **მარტინესმა** თავისიანები ორი ბურთით დააწინაურა. პირველი ტაიმის ბოლომდე შვეიცარიელებს კიდევ ორი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ **გიორგი ლორიამ** ჩინებულად ითამაშა.

შესვენების შემდეგ „დინამომ" რამდენიმე იერიში მიიტანა მეტოქის კარზე, მაგრამ ვერც გოგუამ და ვერც **ჩისკომ** გატანა ვერ მოახერხეს. 67-ე წუთზე დინამოელთა შემადგენლობაში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა: გოგუას ნაცვლად მოედანზე **რობერტინიო** შევიდა. შემადგენლობა მკვეთრად გადაახალისა გროსმაც, მეორე ტაიმში თავის გამოჩენის შანსი ექვს ახალ ფეხბურთელს მისცა: **ალექსანდერ გონსალესს, მატიას ვიტკევიჩს, პასკალ დუბაის, მარიო რაიმონდის, იან ლესიაკსა** და **ნასიმ ბენ ხალიფას**. „დინამოს" ვებგვერდის ცნობით, ჩვენს ფეხბურთელებს ცდა არ დაუკლიათ ანგარიშის შესაცვლელად და 85-ე წუთზე რობერტინომ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო, თუმცა შეხვედრის მიწურულს მარტინესმა მეორე გოლიც გაიტანა და თავის გუნდს ორბურთიანი სხვაობით გაამარჯვებინა - 3:1.

### მატჩის შემდეგ

**ალექს გარსია:** „თამაშში ჩართვა გაგვიჭირდა და პირველი ტაიმი ცუდად ვითამაშეთ. სამწუხაროდ, მონდომება არ ჩანდა. წინა მატჩის მსგავსად, ჩვენს კარში ამჯერადაც პენალტი დაინიშნა. მეორე ტაიმი შედარებით უკეთესი იყო, თუმცა ძალიან საწყენია, რომ გოლებს საკუთარი შეცდომების გამო ვუშვებთ".

„მარბელიის თასის" გამარჯვებული კიევის „დინამო" გახდა, ფინალში პოლონური „კრაკოვია" რომ გაანადგურა (7:2); რაც შეეხება თბილისის „დინამოს", გუნდი კვლავაც მარბელიაში აგრძელებს მზადებას და ხვალ მორიგ საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებს ჩინეთის ჩემპიონ „გუანჯოუსთან".

**გია ტუხაშვილი**

● ზესტაფონი



# იდეალური პირობები და მზადება დნიპროსთვის

დიდთოვლობის გამო სტამბოლში ორი საათით შეფერხდნენ, მაგრამ "ზესტაფონის" წევრებმა ესპანურ ესტეპონაში მშვიდობიანად ჩააღწიეს. მალაგის აეროპორტიდან ესტეპონამდე ავტობუსით მგზავრობას ერთი საათი დასჭირდა.

ისევე როგორც შარშან, "ზესტაფონი" ახლაც ფეშენებელურ სასტუმრო "ესტეპონა პალასში" დაბინავდა. ქართველთა გარდა, ამავე სასტუმროში არიან ლიტვური "ეკრანასი", ნორვეგიული "სტრომსგოდსეტი" და პოლონური "ლეხი".

ზესტაფონელები ესტეპონას მახლობლად მდებარე სპორტკომპლექს "დორია ჯულიაში" ვარჯიშობენ, სადაც ასევე იდეალური გარემოა. პირველ ვარჯიშებში მონაწილეობა არ მიუღიათ **ზურაბ მენთეშაშვილსა** და **აბაიომი ოვონიკოკოს**, რომლებიც ჯერაც ინდივიდუალური პროგრამით ემზადებიან. დანარჩენი 23 ფეხბურთელი სრულ მზადყოფნაშია. ესტეპონაში მზიანი დარია და საწვრთნელი პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ხვალ "ზესტაფონისა" და უკრაინული "დნიპროს" სპარინგია, რომელიც ადგილობრივი დროით დილის 11 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ტორპედო

# ფრე ქეცბაიას თვალწინ

თურქეთში შეკრებაზე მყოფი ქუთაისის „ტორპედო" მორიგ საკონტროლო შეხვედრაში პოლონურ „კორონას" ნულოვანი ფრით გაეყარა.

„ტორპედოს" ვებგვერდის ცნობით, თამაში ერთობ ხისტი იყო და ქუთაისელებს ორი მცველი ისე დაუშავდათ, რომ ორივე შესაცვლელი გახდა: პირველ ტაიმში **დავით გამეზარდაშვილი**, მეორეში – **ალექსანდრე კვახაძე.**

**დათა რიგვავას** და **გრიგოლ დოლიძის** კომბინაცია **რევაზ გოცირიძის** თავურით დასრულდა – დარტყმა არაზუსტი გამოდგა. სახიფათო მომენტი „კორონამაც" შექმნა – **პავოლ სტანიოს** თავური **ომარ მიგინეიშვილმა** მოიგერია.

პირველ ტაიმში რიონისპირელებს კიდევ ორი საგოლე შანსი ჰქონდათ: დოლიძის ფლანგური ჩაწოდებისას პოლონელთა მეკარე შეცდა, მაგრამ **გიორგი დათუნაიშვილმა** ბურთი კარში ვერ გადაგზავნა, შემდეგ დათუნაიშვილის პასით **გიორგი რეხვიაშვილი** გავიდა მეკარესთან პირისპირ და უხეიროდ დაარტყა.

შესვენების შემდეგ „ტორპედოს" კარში **მაქსიმე ქვილითაია** ჩადგა და მანაც „მშრალად" შეინახა კარი – ორჯერ გააუვნებლა ხიფათი.

ქუთაისელებსაც შეეძლოთ გოლის გამოდნობა, მაგრამ ხელსაყრელ სიტუაციაში მყოფმა **ნიკა საბანაძემ** ულაზათო დარტყმა აკმარა „კორონას" გოლკიპერს.

ისევე, როგორც „ტორპედოს" წინა სპარინგს რუმინულ „ბრაშოვთან", ამ შეხვედრასაც დაესწრო საქართველოს ნაკრების დამრიგებელი **თემურ ქეცბაია.**

„პირველ მატჩში „ბრაშოვთან" „ტორპედომ" კარგად ითამაშა და წაგებას არ იმსახურებდა. ბიჭებს ურიგოდ არც ახლა უთამაშიათ. მიმაჩნია, რომ „ტორპედო" ანგარიშგასაწევი ძალა იქნება და მჯერა, მისის სახით ეროვნულ ჩემპიონატს საკმაოდ კონკურენტუნარიანი გუნდი ეყოლება," - უთხრა ქეცბაიამ „ტორპედოს" საიტს.

„ტორპედომ" პოლონელებთან ამ შემადგენლობით ითამაშა: ***მიგინეიშვილი (ქვილითაია 46), რიგვავა (იოსელიანი 46), გამეზარდაშვილი (მირცხულავა 22, გურული 46), ფარულავა (კვახაძე 46, მირცხულავა 48), ლემონჯავა (შერგელაშვილი 46), ფირცხალავა (დილმელაშვილი 46), დოლიძე (თარხნიშვილი 46), გ.დათუნაიშვილი (ბოლქვაძე 46, კემუხტაშვილი 67), კუხიანიძე (ქუცურუა 46), რეხვიაშვილი (დ.ჯანელიძე 46), გოცირიძე (საბანაძე 46).***

მომდევნო მატჩს „ტორპედო" 1-ელ თებერვალს ითამაშებს ჩეხურ „ბანიკთან".

**დავით თავართქილაძე**

● ჩვენები უცხოეთში

# თურქების თუ არველაძის დიპლომატია?

Socer.ru უცხოეთის ჩემპიონატების მიმოხილვისას თურქეთსაც გადასწვდა, სადაც ამჟამად ბევრი ცნობილი ფეხბურთელი თამაშობს: **მუსლერა, უიფალუში, ალექსი, კვარეჟმა...** ცოტა ხნის წინ "ბეშიქთაშში" **გუტიც** გამოდიოდა...

წერილში **შოთა არველაძეც** ახსენეს:

*"უნდა ვაღიაროთ, რომ თურქული კლუბები არა მხოლოდ სიმდიდრით, ეშმაკობითაც გამოირჩევიან. მაგალითად, არველაძის "ქაისერში" "სანდერლენდიდან" იჯარით გადასული პარაგვაელი ნახევარმცველი რივეროსი თამაშობს. წარმოიდგენთ "კრასნოდარში" ან "როსტოვში" ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელს? არადა, კლუბი თურქეთის ცენტრში ბინადრობს და არა ზღვასთან. მაგრამ რივეროსი თურქებმა წაიყვანეს და არა რომელიმე რუსულმა კლუბმა. მათგან შეიძლება დიპლომატიის სწავლა,"* – წერს Socer.ru.

კლუბში ყველა ლეგიონერი შოთა არველაძის მიყვანილია. თუმცა რუსები ამ შემთხვევაში მართლები არიან – ხერხი ღონესაც სჯობია და ფულსაც.

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სამზადისი. გაგრა

# გაგრელებმა მზეს ნახეს და გურნიკის

## ვის აკვირდებოდა თემურ ქეცბაია?

**როგორც** იქნა, ანთალიაში გამოიდარა და „გაგრას" ნორმალურად ვარჯიშის საშუალება მიეცა, შაბათს კი გუნდმა პირველი საკონტროლო მატჩი პოლონეთის ექსტრაკლასას ზაგლებიეს "გურნიკთან" გამართა.

**გაგრა-გურნიკი 1:2**

0:1 ზელინსკი (59), 1:1 ზვიადაძე (73), 1:2 ოლხოვსკი (81).

გაგრა: ბეგაშვილი, ხუციძე, კალანდაძე, ტყემელაშვილი, ჯგერენაია, სარდალიშვილი, ხოჯაშვილი, ზვიადაძე, ჯიშკარიანი, ჭკუასელი, კვანტალიანი.

შეცვლაზე შევიდნენ: ფალავანდიშვილი, ყურულაშვილი, ნადირაძე, სეთურიძე, ჯალიაშვილი, როსტიაშვილი.

შეხვედრას საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** დაესწრო. ის თამაშებს შემთხვევით არ ესწრება, თუმცა ჩვენთვის უცნობია, რომელ გაგრელს აკვირდებოდა და რომელ ნაკრებში უპირებს გამოცდას – ეროვნულში თუ ახალგაზრდულში?

"გაგრამ" შეხვედრა 4-5-1 ტაქტიკური სქემით დაიწყო. გამოკვეთილი თავდამხმელი **შალვა კვანტალიანი** იყო. გუნდის პრესსამსახურის ცნობით, მატჩის საწყისი 15-20 წუთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, რის შემდეგაც ჩვენი თასის მფლობელი გააქტიურდა და რამდენიმე შეტევაც განახორციელა. "გურნიკის" მეკარემ ორჯერ მოიგერია სახიფათო დარტყმა. შემდეგ პოლონელებმაც შეუტიეს და ზედიზედ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს, პირველად მეკარე **გიორგი ბეგაშვილმა** იმარჯვა, მეორედ კი ბურთი კარს მცირედით ასცდა.

თამაშს მეორე ნახევარშიც თანაბარი ეთქმოდა. 55-ე წუთზე **ნიკა ჭკუასელის** დარტყმა მეკარემ მოიგერია, 59-ეზე კი პოლონელებმა ანგარიში გახსნეს: **მიხაელ ზელინსკიმ** თავით "ცხრიანში" გაიტანა. გაშვებული გოლის შემდეგ "გაგრამ" შეუტია და ანგარიში მალე გაათანაბრა: **გიორგი ზვიადაძემ** დაახლოებით 22-მეტრიდან მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეს ზუსტად „დაუმიზნა". შემდეგ მეტოქეებმა მომენტები გაცვალეს, მალე კი "გაგრამ" მეორედ გაუშვა — დასწრებაზე კარგად ითამაშა **პაველ ოლხოვსკიმ.**

მომდევნო შეხვედრას "გაგრა" დღეს გამართავს პავლოდარის "ირტიშთან".

**მერაბ მამულაშვილი**



გაგრას პრეზიდენტი ბესიკ ჩიხრაძე (მარცხნივ) და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია გაგრა-გურნიკის მატჩისას

# კოლხეთი ანთალიაშია

ფოთის „კოლხეთი" გასულ უქმეებზე ბათუმის „დინამოს" უნდა შეხვედროდა, მაგრამ ფოთში ისეთმა წვიმამ დასცხო, თამაშის ჩატარება შეუძლებელი გახდა.

სამაგიეროდ, „კოლხეთი" თურქეთის გზას დაადგა და ანთალიაში დაბინავდა - ფაზისელები იქ, სავარაუდოდ, 8 თებერვლამდე დარჩებიან და ოთხ ამხანაგურ მატჩს ითამაშებენ, მეტოქეთა ვინაობას კი თურქეთში დააზუსტებენ.

„კოლხეთი" ანთალიაში 25 ფეხბურთელით გაემგზავრა, რომელთა შორისაა ფოთელთა ახალწვეული, „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი მეკარე **არდალიონ მიქაბერიძე**. მას გამოცდილი კიპერი ეთქმის და, უეჭველია, გააძლიერებს კიდეც ახალ გუნდს.

მწვრთნელებმა თურქულ შეკრებაზე ესენი წაიყვანეს:

**მეკარეები:** ლადო ნადირაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე;

**მცველები:** გიორგი კილასონია, პაატა ცხვიტარია, ვაჟა ლომაშვილი, დაჩი ფოფხაძე, ბოიომო, ჯემალ გაბუნია, ლევან კაკულია, კონსტანტინე ბარამიძე, ალექსანდრე ქორჩილავა;

**ნახევარმცველები:** ლევან წურწუმია, პავლე დათუნაიშვილი, ლევან გულუა, გიორგი ხატიაშვილი, ლაშა ქებაძე, გიორგი ცხადაია, ლაშა გვალია, ომარ გოგონაია, დათა სიჭინავა, ამირან წაბრია;

**თავდამსხმელები:** ილია პავლიაშვილი, დავით ხუბუტია, ბექა ტულუში, დავით ციცხვაია

**დავით თავართქილაძე**

ვიტ ჯორჯია

**ვიტ ჯორჯია-გერმანია შიონაიხე 1:1**

0:1 კოუსალი (12), 1:1 ლობჯანიძე (60)

ვიტ ჯორჯია პირველი ტაიმში: ძაძამია - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი - გურამ გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, ზაქრაძე – ჩიმაკაძე.

მეორე ტაიმში: რეჭია - გეთიაშვილი, ადამაძე, კასრაძე, ჯავაშვილი - ვაშაკიძე, ჯაყელი, დავლაშელიძე, ჯულელი - ლობჯანიძე, კუხალეიშვილი (75. ჯანელიძე)

# ფრე ობერლიგელთან

გერმანიის რანგით მეხუთე ლიგაში, ობერლიგაში, 11 დივიზიონია. ერთ-ერთ, ნორდოსტ-ნორდის ლიგაში თამაშობს "გერმანია შიონაიხე", რომელიც სატურნირო ცხრილში დღეისთვის მე-6 ადგილზეა. სწორედ ამ სამოყვარულო კლუბთან ჩაატარა თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" პირველი საკონტროლო მატჩი და 1:1-ს დასჯერდა.

როგორც "ვიტ ჯორჯიას" ვებგვერდი იუწყება, მეტოქე ძალისმიერ და ხისტ ფეხბურთს თამაშობდა, რაც ხშირად უხეშობაში გადადიოდა.

გერმანელები სწრაფი გოლით დაწინაურდნენ. მე-12 წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი „ვიტ ჯორჯიას" კარში მეტოქის საუკეთესო ბომბარდირმა, ჩეხმა ცენტრფორვარდმა **მილოსლავ კოუსალმა** თავური დარტყმით გაიტანა. მანამდე კი ანგარიშის გახსნა **ბექა ზაქრაძესა და ბესიკ ჩიმაკაძეს** შეეძლოთ. მე-40 წუთზე ჩიმაკაძემ კიდევ ერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა – მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ აჯობა.

შესვენებაზე „ვეტერინართა" თავკაცმა **ზურაბ ბერიძემ** ცხრა ფეხბურთელი შეცვალა და 4-2-3-1 ტაქტიკური მონახაზი 4-4-2-ზე გადააწყო.

"ვიტ ჯორჯიამ" შეტევები აქტიურად განაგრძო და მე-60 წუთზე **ელგუჯა ლობჯანიძემ შოთა დავლაშელიძის** წამოწყებული და **გიგა ჯულელის** გაგრძელებული ეფექტური კომბინაცია გოლით დააგვირგვინა - 1:1.

"ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობიდან გამარჯვების გოლის გატანა **გიორგი ვაშაკიძეს, ლევან კუხალეიშვილსა** და ლობჯანიძეს შეეძლოთ, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენეს.

1 თებერვალს ბერიძის გუნდი ბელექში სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" დუბლშემადგენლობასთან ითამაშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U17

# ვერცხლი და ორი პირადი პრიზი

პარასკევს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები მინსკის საერთაშორისო ტურნირის ფინალში უკრაინასთან 0:2 დამარცხდა. დროის სიმცირის გამო მატჩის შესახებ მხოლოდ მცირე ინფორმაცია მოგაწოდეთ, ახლა კი ორიოდე სიტყვით დაჯილდოების ცერემონიალის შესახებ გეტყვით.

საქართველოს ნაკრების წევრებს, ბუნებრივია, ვერცხლის მედლები გადაეცათ, ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად კი **გიორგი პაპუნაშვილი** დაასახელეს. საუკეთესო ბომბარდირები 4-4 გოლით **დავით ჯიქია** და უკრაინელი **დმიტრო ბელონოგი** გახდნენ.



გიორგი პაპუნაშვილი (მარცხნივ) და დავით ჯიქია

ფოტო: www.gff.ge

მესამე ადგილზე რუსეთის ნაკრები გავიდა, რომელმაც ბელგიას 1:0 სძლია. მასპინძელი ბელარუსი ლიტვასთან 1:1-ის შემდეგ პენალტების სერიაში დამარცხდა და მე-6 ადგილს დასჯერდა, მე-7 ადგილისთვის შეხვედრაში კი ფინეთმა ლატვიას 2:1 მოუგო.

მოკლედ, ტურნირის ბოლო დღეს საქართველოს ნაკრების ოთხივე თანაჯგუფელი დამარცხდა.

**ვასილ მაისურაძის** გუნდი თბილისში გუშინ დაბრუნდა, რამდენიმე დღეში კი მინსკის ტურნირისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი




ზაქარია ბეგლარიშვილი

# ბეგლარიშვილი ესტონეთში დარჩა

**ზაქარია ბეგლარიშვილმა** ესტონეთის ჩემპიონ "ფლორასთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. 21 წლის ნახევარმცველს ტალინურ კლუბთან ხელშეკრულების ვადა კი ამოეწურა, მაგრამ საბოლოოდ კარიერის იქ გაგრძელება არჩია.

ეს მოულოდნელი ამბავი იყო, რადგან ფეხბურთელს არაერთხელ უთქვამს, რომ გუნდში დარჩენა აღარ სურდა. ზაქარია საქართველოშიც ჩამოვიდა და მოლაპარაკებას ჯერ რუსთავის "მეტალურგთან", შემდეგ კი თბილისის "დინამოსთან" აწარმოებდა. საბოლოოდ, "დინამოს" პირობებზე ვერ შეუთანხმდა და ესტონეთში დაბრუნება გადაწყვიტა.

ეს ნიჭიერი მოთამაშე უკეთეს ლიგაში თამაშს იმსახურებს, მაგრამ ესტონეთი მსოფლიო ფეხბურთის ჩიხიც არ არის და იქნებ, ეს ქვეყანა ტრამპლინად გამოიყენოს...

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები უცხოეთში

# საქმეც და მეგობრობაც

**მსგავსი** რამ არასდროს მომხდარა: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან უმრავლესობა ზამთრის მოსამზადებელ პერიოდს უცხოეთში გადის! ეს მართლაც არ არის პატარა ამბავი, როცა რვა გუნდი უცხოურ შეკრებაზეა: „დინამო" და „ზესტაფონი" ესპანეთში არიან, დანარჩენი ექვსი („მეტალურგი", „ტორპედო", „ვიტ ჯორჯია", „გაგრა", „დილა", „კოლხეთი") კი - თურქეთში. ასევე თურქეთში, კერძოდ, ანთალიაშია შეკრებაზე აზერბაიჯანის ყველაზე „ქართული გუნდი", ბაქოს „ინტერი": **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** გუნდმა უკვე ოთხი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. პირველი შეხვედრა „ინტერს" მეორებუნდესლიგელ „კარლსრუესთან" ჰქონდა და ეს მატჩი გერმანული გუნდის გამარჯვებით დასრულდა - 3:1. ჩვენებურებმა ორივე გუნდში ითამაშეს: „ინტერის" ძირითადში იყვნენ **გიორგი ლომაია, ილია კანდელაკი, ვალერი აბრამიძე, ბაჩანა ცხადაძე** (მეტოქის კარში ერთადერთი გოლის ავტორი), ხოლო „კარლსრუეს", ტრადიციულად, **ალექსანდრე იაშვილმა** უკაპიტნა. ამის შემდეგ „ინტერმა" 0:0 ითამაშა ალბანეთის ჩემპიონ „შკენდერბრეუსთან", ხოლო თურქული პირველ ლიგის „ქონიას" 3:2 აჯობა. ბოლო მატჩი „ინტერმა" 28 იანვარს ჩაატარა და უკრაინის უმაღლესლიგელ „ვოლინთან" (რომელსაც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, **ანატოლი დემიანენკო** წვრთნის) 0:0 ითამაშა. აღსანიშნავია, რომ „ინტერის" უკვე მესამე საკონტროლო მატჩს დაესწრო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია,** რომელიც ერთი კვირაა, ანთალიაშია და ჩვენი გუნდების სპარინგების გარდა, სხვადასხვა გუნდში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერებსაც აკვირდება. ყოველ შემთხვევაში, აზებაიჯანულ ინტერნეტგამოცემა „აზერსპორტთან" ვრცელ ინტერვიუში ქეცბაიამ სხვა საკითხებთან ერთად ამ თემაზეც ილაპარაკა: „ინტერის" შეხვედრას პირველად არ *ვესწრები; ჯერ ერთი, ძალიან კარგად ვიცნობ კახა ცხადაძეს — ჩვენ ხომ წლების განმავლობაში ერთად ვთამაშობდით; მეორეც, „ინტერში" ქართველი ფეხბურთელები არიან და მსურს, მათაც დავაკვირდე - ჩემი ინტერესის სფეროში ისინიც შედიან. ამას გარდა, აქ სხვა კლუბებიც ემზადებიან, სადაც ქართველები თამაშობენ და შეძლებისდაგვარად ყველას დავაკვირდები. 24 თებერვალს საქართველოს ნაკრებს ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი და მინდა, ამ შეხვედრისთვის ისინი გამოვიძახო, ვინც ამას იმსახურებს".*

„ვოლინთან" მატჩში „ინტერის" ძირითადში იყნენ ლომაია, აბრამიძე და კანდელაკი, ცხადაძემ კი მსუბუქი ტრავმის გამო ვერ ითამაშა. „ინტერი" თურქეთში 5 თებერვლამდე დარჩება და მანამდე კიდევ ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. სხვათა შორის, „ინტერის" ქართველი თავკაცები, კახა ცხადაძე და გიორგი ჩიხრაძე ამ რამდენიმე დღის წინ გორის „დილასა" და ავსტრიული „შტურმის" საკონტროლო მატჩს დაესწრნენ, იქვე, ანთალიაში რომ ჩატარდა.

**გია გაგოშიძე**

ლეგიონერები

# გრიგალავალა

## ვოლგამ ვაწაძეს სხვებიც მიაყოლა


გია გრიგალავა

**მათე ვაწაძის** ამბავი "ლელოს" მკითხველისთვის ცნობილია: 22 წლის თავდამსხმელმა "ვოლგასთან" ერთად თურქეთში დაიწყო სეზონისთვის მზადება, მაგრამ საკონტროლო შეხვედრაში დაშავდა და... ტრანსფერზე დააყენეს.

შედეგად კი, ზოგი ჭირი მარგებელიაო, გორის „დილასთვის" ისე გამოვიდა და ვაწაძე ახლა გორელებთან ერთად ვარჯიშობს.

ვაწაძე გამონაკლისი არ არის, "ვოლგას" ხელმძღვანელებმა ძველი ფეხბურთელებისგან გათავისუფლება გადაწყვიტეს და მათეს გარდა კიდევ სამი ფეხბურთელი დააყენეს ტრანსფერზე – კაპიტანი **ანტონ ხაზოვი, რუსლან პაშტოვი** და **მერსუდინ ახმეტოვიჩი**. შედეგიც მიიღეს – "ვოლგამ" ყაზახურ "შახტართან" სპრინგი წააგო.

ასე რომ, ნიჟნინოვგოროდულ გუნდში ქართველებიდან მხოლოდ **გია გრიგალავა** დარჩა და კვიპროსულ შეკრებაზე გუნდთან ერთად ემზადება. შაბათს "ვოლგამ" მოსამზადებელ ეტაპზე პირველად გაიმარჯვა. **დმიტრი ჩერიშევის** გაწვრთნილებმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ყოფილი მონაწილე, რუმინული "ოცელული" 1:0 დაამარცხეს.

გრიგალავამ შეუცვლელად ითამაშა. ჩანს, ჩერიშევი "ვოლგაში" შემორჩენილ ერთადერთ ქართველს ენდობა – 22 წლის მცველი ყველა სპარინგში ძირითადში ათამაშა.

**მერაბ მამულაშვილი**

# კობახიძემ ყველას ზემოდან დახედა

კიევის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **ლეონიდ კუჩუკმა** დეკემბერში იჯარით აყვანილი **სანდრო კობახიძის** დატოვება გადაწყვიტა. სანდროც გუნდთან ერთად ანთალიაში ვარჯიშობს და ... შიდასაკლუბო რეკორდიც დაამყარა - ეს სახალისო ამბავი უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" გაავრცელა.

ანთალიაში ჩასვლიდან მეორე დღეს მოთამაშეებს ტესტები ჩაუტარეს და მწვრთნელების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ადგილიდან მაღლა ახტომის შედეგებს რომ გაეცნენ.

*"არსენალის" შემტევი ნახევარმცველი სანდრო კობახიძე სენსაციის ავტორი გახდა - ადგილიდან მაღლა ხტომაში მან სარეკორდო შედეგი აჩვენა – 287 სმ! ეს იმ დროს, როდესაც საშუალო ნორმა 250 სმ-ია. თანაგუნდელები ეხუმრებოდნენ, მაღლა ხტომაში განსაკუთრებული ბოტასები დაგეხმარაო. თავად შევამოწმე: სანდროს კარგი ბოტასები ეცვა, უცხოური, მაგრამ სავსებით ჩვეულებრივი. ასე რომ, საქმე ფეხსაცმელში არ არის"* – წერს უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტი.

სანდრო ვარჯიშზე დაშავდა, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და 24 წლის ფეხბურთელი უკვე ჩვეულებრივად იტვირთება.

"უა-ფუტბოლმა" კი უკრაინულ პრემიერლიგაში კიეველ "მეთოფეთა" პირველი წრის შედეგები შეაჯამა და სანდრო კობახიძე გუნდის საუკეთესო მოთამაშეთა შორის დაასახელა.

**მერაბ მამულაშვილი**


სანდრო კობახიძე

# ხიზანეიშვილის ძებნაში გულორდავა აღმოვაჩინეთ

თურქულ შეკრებაზე უკრაინულმა "ოლექსანდრიამ" საკონტროლო შეხვედრაში ყაზახური "ჟეტისუ" 5:0 გაანადგურა. გვაინტერესებდა, როგორ მისდის საქმეები **ოთარ ხიზანეიშვილს**, რომელზეც დაიწერა, რომ ამ კლუბში ჩაირიცხა. თუმცა ოთარს არ უთამაშია, მიზეზი კი ჩვენთვის უცნობია.

სამაგიეროდ, საინტერესო ის იყო, რომ "ოლექსანდრიას" მეოთხე გოლი პენალტით **ლევან გულორდავამ** გაიტანა. ის მოედანზე მეორე ტაიმის 65-ე წუთზე გამოჩნდა.

გულორდავა 16 წლიდან კიევის "არსენალში" ვარჯიშობდა და დუბლშემადგენლობის ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად მიიჩნეოდა, მაგრამ მისი კარიერა მერე ველარ განვითარდა – გადავიდას და სამარის "კრილია სოვეტოვში", გამოდიოდა ხარკოვის "მეტალისტის" დუბლებში, ძალები საქართველოშიც მოსინჯა, 2010 წელს კი უკრაინის მეორელიგელ ჩერნიგოვის "დესნაში" ნახევარი სეზონი გაატარა.

23 წლის თავდამსხმელი ზაფხულში კრივოი როგის "კრივბასშიც" ისინჯებოდა, მაგრამ მერე ნახევარი წელი უგუნდოდ იყო, ახლა კი ბედს "ოლექსანდრიაში" ცდის.

**მერაბ მამულაშვილი**

დაბრუნება



# ფარერებიდან მარტვილამდე

**მამუკა ტორონჯაძე** ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელსაც ფარერულ ლიგაში უთამაშია. მისმა გუნდმა შარშან ზაფხულს, ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იმდენი მოახერხა, რომ ინგლისის პრემიერლიგის „ფულჰემს" შინ 0:0 ეთამაშა, ქართველი თავდამსხმელი კი ამ მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყო. ფარერებზე ფეხბურთს ძირითადად მეზღვაურები და მასწავლებლები თამაშობენ და საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა ტორონჯაძემ იქ წასვლა? მამუკამ ორი გუნდი გამოიცვალა, ჯერ „სადურიოიში" თამაშობდა, სადაც 6 გოლი გაიტანა, შემდეგ კი მცირე ხნით რუნავიკის NSI-ში გადაბარგდა, სადაც სამი გოლი მიითვალა. სწორედ რუნავიკელთა გუნდში ითამაშა „ფულემის" წინააღმდეგ ჩვენებურმა.

**- ჩვენი ჩემპიონატის, საერთოდ, ქართული ფეხბურთის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე ფარერის კუნძულებისა. რამ გადაგაწყვეტინა იქ წასვლა?**

- ალექსანდრე რეხვიაშვილის სააგენტოსთან კონტრაქტი მქონდა, მაისში ვაპირებდი ბალტიისპირეთში წასვლას და უცებ ეს ვარიანტი გამოჩნდა. მენეჯერმა მითხრა, ფარერებზე რამდენიმე თვით წადი, იქიდან კი მალე დანიაში გადახვალო. მეც დავთანხმდი და ასე აღმოვჩნდი ფარერებზე.

**- თუმცა იქ მთელი სეზონი დარჩი და 9 გოლიც გაიტანე...**

- ოქტომბრის ბოლოს თითქმის გადაწყვეტილი იყო კონტრაქტი დანიურ AAB-სთან, მაგრამ ბოლო მომენტში დანიელებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და თავი შეიკავეს. წინა წელსაც ვიყავი დანიაში ჩასული, რამდენიმე დღე „ჰობორში" ვივარჯიშე, მაგრამ პასპორტის პრობლემის გამო წამოვედი.

**- დანიური ვარიანტის ჩაშლის შემდეგ ფარერებს რატომ მიაშურე, უკეთესი ვარიანტი არ გქონდა?**

- მაშინ მხოლოდ AAB-ის ვარიანტი მქონდა, მერე სხვა ვარიანტებიც გამოჩნდა, მაგრამ ასე ვარჩიე.

**- ახლა „მერანში" ხარ, როგორ გგონია, მოუგებდა შენი ყოფილი გუნდი ახლანდელს?**

- „მერანში" კვირაზე მეტია, ვვარჯიშობ. ურეკული შეკრება უამინდობის გამო შეწყდა და ახლა თბილისში ვემზადებით. შედარებას კი ვერ მოვახდენ, რადგან ორი სრულიად განსხვავებული გუნდია. მოგების შანსი ორივეს 50/50-ზე ექნებოდა.

**- ახლანდელ ეროვნულ ჩემპიონატზე რას იტყვი, შეიცვალა რამე?**

- ვიდრე წავიდოდი, სხვა დონე იყო, ახლა კი, ვფიქრობ, განსხვავება დიდია - ახლანდელი ჩემპიონატი სჯობს, გუნდებს ფინანსები გაუჩნდათ და ისეთი ფეხბურთელები ჩამოდიან, რომლებიც საერთო დონეს აამაღლებენ.

**- მარტვილელებთან შენი ურთიერთობა საბოლოოდ როდის გაირკვევა?**

- ყველაფერი საბოლოოდ ამხანაგური მატჩების მერე გადაწყდება. სამი თვე უგუნდოდ ვიყავი, ამიტომ ფორმის აღდგენა მჭირდებოდა. გუნდმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, კარგი ფეხბურთელები თამაშობენ და მწვრთნელიც კარგი ჰყავთ.

**მაგდა კლდიაშვილი**

ლეგიონის უქმეები

# დაველოდოთ სეზონის გახურებას

გასული უქმეები ქართული ლეგიონერებისთვის [illegible]ად არ ყოფილა. თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია დავიმშვიდოთ, რომ რამდენიმე არცთუ ხელწამოსაკრავი კლუბის ძირითად შემადგენლობაში ჩვენებურები კვლავ ხვდებიან. ევროპის ზოგ ქვეყანაში სეზონი ჯერ არ განახლებულა და იმედი დავიტოვოთ, რომ მალე, როცა საქმეში მეტი ქართველი ჩაერთვება, დადებითზე საწერი დღევანდელზე ბევრი გვექნება.

იტალიის სერიაA-ში "ჯენოამ" შინ 3:2 აჯობა "ნაპოლის". მატჩის დასრულებამდე ათი წუთი რჩებოდა, როცა გენუელები სამბურთიანი უპირატესობით იყვნენ წინ და თითქოს სამი ქულა ჯიბეში ედოთ, თუმცა სტუმრებმა ორწუთიან ინტერვალში ორი გოლი გაიტანეს და **კახა კალაძის** გუნდმა ხელსაყრელი შედეგი ნერვულ ვითარებაში შეინარჩუნა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა და საკმაოდ დამაჯერებლადაც გამოიყურებოდა. "ჯენოამ" სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა, თუმცა მაინც მყარად რჩება "ოქროს შუალედში". ამის მიუხედავად, კალაძის გუნდს ევროპის ლიგის საგზურის მოპოვების შანსი ჯერ არ დაუკარგავს.

სერია B-ში კი "ემპოლი" საკუთარ მოედანზე "ბრეშასთან" 0:2 დამარცხდა და ისედაც კრიტიკული სატურნირო მდგომარეობა უფრო გაირთულა – ქართველთა გუნდი ბოლოდან მესამე ადგილზეა და ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გააფთრებით იბრძვის. **ლევან მჭედლიძე** "ემპოლის" სასტარტოში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს, **ირაკლი შეყილაძე** კი სათადარიგოდ დარჩა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგა მომავალ უქმეებზე განახლდება, პირველ ბუნდესლიგაში კი **ლევან კობიაშვილის** "ჰერტამ" შინ 1:2 წააგო "ჰამბურგთან". 81-ე წუთზე **პიერ ლასოგამ** პრესტიჟის გოლი ქართველის გადაცემით გაიტანა. ამის მიუხედავად, "შპორტალმა" ლევანისთვის 5-იანზე მეტი ვერ გაიმეტა, რაც ბერლინელთა შემადგენლობაში ერთ-ერთი დაბალი შეფასებაა.

საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში "ლე მანმა" "შატორუს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. მასპინძელთა კარი **გიორგი მაკარიძემ** დაიცვა. 20-გუნდიან ლიგა 2-ში "ლე მანი" მე-17 პოზიციაზეა. "ბასტიამ", რომლის განაცხადშიც **ამირან სანაია** არ ყოფილა, სტუმრად "კლერმონთან" 1:2 წააგო. "ბასტია" დღეისთვის მესამე ადგილზეა.

საბერძნეთში "ოლიმპიაკოსმა" "ერგოტელისი" მიიღო და 3:0 გაანადგურა. **გიორგი შაშიაშვილი** სტუმართა ძირითადში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს, იმ დროისთვის კი ანგარიში გახსნილი არ იყო. 16-გუნდიან სუპერლიგაში "ერგოტელისი" მე-9 ადგილზეა.

თურქეთში "სამსუნსპორი" შინ 2:4 დამარცხდა "ისტანბულთან". **აკაკი ხუბუტია** მასპინძელთა ძირითადში იყო და 79-ე წუთზე შეცვალეს. იმ მომენტში ანგარიში 0:3 იყო. საქართველოს ნაკრების მცველმა გაფრთხილება მიიღო. "სამსუნი" ბოლოსწინა საფეხურზეა.

დღეს **შოთა არველაძისა** და **ზურაბ ხიზანიშვილის** "ქაისერისფორი" "ბეშიქთაშს" უმასპინძლებს.

კვიპროსზე "ანორთოსისი", რომლის წევრიც რამდენიმე დღის წინ **დავით კვირკველია** გახდა, შინ "ალკისთან" 0:0-ს დასჯერდა, რაც ძალიან ძვირად დაუჯდა. თუ კი ერთი კვირის წინ ფამაგუსტელები მეორე ადგილზე იყვნენ და ლიდერ "ომონიას" მხოლოდ გატანილ-მიღებული ბურთების შეფარდებით ჩამორჩებოდნენ, ამ დანაკარგით მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდნენ. კვირკველია სასტარტოში იყო და ბოლო წუთზე შეცვალეს.

ფინეთში ლიგის თასის ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართა. **ირაკლი სირბილაძის** "ინტერი" შინ ტპს-სთან 0:1 დამარცხდა. ქართველმა თავდამსხმელმა შეუცვლელად ითამაშა.

ჰოლანდიური ლეგიონის ამბავი შაბათის "ლელოში" გაგაცანით, მაგრამ ერთხელაც შეგახსენებთ, რომ "ვიტესი" სტუმრად "ეინდჰოვენთან" 1:3 დამარცხდა და მატჩში მონაწილეობა **გურამ კაშიამ** და **გიორგი ჭანტურიამ** მიიღეს. კაპიტანი კაშია არნემელებს ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ლევან კობიაშვილმა საგოლე პასი კი მიითვალა. მაგრამ


კახა კალაძე

ინგლისის ასოციაციის თასის IV ეტაპი

# ერთი ნაბიჯი წინ

**უოტფორდი-ტოტენჰემი 0:1**

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, უოლკერი, დოუსონი, კაბული, როუზი, პარკერი, ლივერმორი, მოდრიჩი (46. ლენონი), ვან დერ ვაარტი, დეფო (80. პიენაარი), ადებაიორი (90. პავლუჩენკო)

**გოლი:** 0:1 ვან დერ ვაარტი (42)

**ევერტონი-ფულჰემი 2:1**

**ევერტონი:** ჰოვარდი, ბეინსი, ჰეიტინგა, დაფი, გიბსონი, ნევილი, ფელაინი, ტ. კეჰილი, დონოვანი, სტრაკალურსი (83. ანიჩებე), გუიე (68. დრენტე)

**ფულჰემი:** სტოკდეილი, კელი, ჰანგელანდი, ჰიუზი, რიისე, ბეირდი (82. სიდუელი), მერფი (87. ტროტა), დაფი (79. ზამორა), დემპსი, ჯონსონი, რუისი

**გოლები:** 0:1 მერფი (14) პენ, 1:1 სტრაკალურსი (27), 2:1 ფელაინი (73)

**ქუინზ პარკი-ჩელსი 0:1**

**ქუინზ პარკი:** კენი, ჰილი, ლ. იანგი, ჰოლი, ა. ფერდინანდი, რაიტ-ფილიპსი, ბარტონი, ბუჟაკი (79. ჰალსი), სმიტი, ჰელგუსონი (46. მაკედა), მაკი

**ჩელსი:** ჩეხი, ე. კოული, ტერი, ივანოვიჩი, ლუისი, მალუდა, მეირელეში, რამირესი (79. რომეუ), მატა (90. ესიენი), ტორესი, სტარიჯი

**გოლი:** 0:1 მატა (62)

**ლივერპული-მანჩესტერ იუნ. 2:1**

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი (62. კუიტი), აგერი, შკრტელი, ხ. ენრიკე, კელი, ჯერარდი (72. ბელამი), დაუნინგი, მ. როდრიგესი (63. ადამი), ჰენდერსონი, კეროლი

**მანჩესტერ იუნაიტედი:** დე ხეა, ევრა, რაფაელი, ევანსი, სმოლინგი, კერიკი, გიგზი (89. ბერბატოვი), სქოულზი (76. ერნანდესი) პარკი, ვალენსია, უელბეკი

**გოლები:** 1:0 აგერი (21), 1:1 პარკი (39), 2:1 კუიტი (88)

**ბოლტონი-სუონსი 2:1**

**ბოლტონი:** ბოგდანი, რაილი, ბოიატა, უიტერი, რიკეტსი, იგლზი (90. შანლი), რეოკოკერი, მ. დევისი, პრეტლი (80. მუამბა), მ. პეტროვი, ნგოგი (74. კ. დევისი)

**სუონსი:** ტრემელი, უილიამსი, ბესონე, მონკი, ე. რიჩარდსი, მაკიხრანი, აგუსტიენი, რუტლეჯი (65. გრემი), გოვერი (79. ალენი), მური, ლიტა (65. ნ. დაიერი)

**გოლები:** 0:1 მური (42), 1:1 პრეტლი (45), 2:1 იგლზი (56)

**დერბი-სტოკ სიტი 0:2**

**სტოკ სიტი:** ბეგოვიჩი, უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, უილანი, უაითჰედი, ეზერინგტონი (63. პენანტი), უილსონი, კრაუჩი (66. კ. ჯონსი), უოლტერსი, ჯერომი (77. ფულერი)

**გოლები:** 0:1 ჯერომი (5), 0:2 ჰუთი (81)

**ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი 1:2**

**ვესტ ბრომვიჩი:** ფოსტერი, ტამაში, ხარა (46. მაკაული), მატოკი, დოუსონი, ტომასი (71. ჩოი), მორისონი, დორანსი, მულუმბუ, ფორჩუნი (79. ლონგი), კოქსი

**ნორვიჩი:** სტირი, დრური, უითბრედი, მარტინი, აიალა, კროფტსი, ჰულაჰანი (65. უილბრეჰემი), ფოქსი, პიკლინგტონი (75. ლაპინი), ბენეტი, ჰოლტი (65. ჯექსონი)

**გოლები:** 0:1 ჰოლტი (35), 1:1 ფორჩუნი (54), 2:1 ჯექსონი (85)

**ბრაიტონი-ნიუკასლი 1:0**

**ნიუკასლი:** კრული, უილიამსონი, პერჩი, სიმპსონი, სანტონი (83. ფერგიუსონი), ბენ-არფა (83. ტეილორი), კაბაი, ხონასი, გატრი (83. გოსლინგი), ამეობი, ბესტი

**გოლი:** 1:0 უილიამსონი (77)




**ჰალ სიტი-კროული 0:1**

**გოლი:** 0:1 ტაბსი (57)

**ლესტერი-სუინდონი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბეკფორდი (5), 2:0 ბეკფორდი (53)

**შეფილდ იუნ.-ბირმინგემი 0:4**

**გოლები:** 0:1 რედმონდი (18), 0:2 რუნი (38), 0:3 ელიოტი (58), 0:4 რუნი (78)

**სტივენეიჯი-ნოთს ქაუნთი 1:0**

**გოლი:** 1:0 სტიუარტი (12) სკ-ში

**მილუოლი-საუთჰემპტონი 1:1**

**გოლები:** 0:1 ლამბერტი (31), 1:1 ჰენდერსონი (86)

*განმეორებითი მატჩი შედგება საუთჰემპტონში 7 თებერვალს*

**ბლეკპული-შეფილდ უენ. 1:1**

**გოლები:** 0:1 მორისონი (52), 1:1 ფილიპსი (90) პენ

*განმეორებითი მატჩი შედგება შეფილდში 7 თებერვალს*

**არსენალი-ასტონ ვილა 3:2**

**არსენალი:** ფაბიანსკი, მერტეზაკერი, ვერმაელენი, კოშელნი, კოკლენი, როსიცკი (72. არტეტა), სონგი, რემსი, უოლკოტი (89. ანრი), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (89. სანია), ვან პერსი

**ასტონ ვილა:** გივენი, რ. დანი, უორნოკი, ჰატონი, კუელიარი, კლარკი, აირლენდი, ს. პეტროვი (82. ბენანი), აგბოლნაჰორი (72. გარდნერი), ბენტი, რ. კინი

**გოლები:** 0:1 რ. დანი (33), 0:2 ბენტი (45), 1:2 ვან პერსი (54) პენ, 2:2 უოლკოტი (57), 3:2 ვან პერსი (61) პენ

**სანდერლენდი-მიდლსბრო 1:1**

**სანდერლენდი:** მინიოლე, ოში, უ. ბრაუნი (60. ტერნერი), ბერდსლი, კ. რიჩარდსონი, ს. ლარსონი, გარდნერი, სესინიონი, ვონი (80. კოლბეკი), მაკლინი, უიკჰემი (46. კემპბელი)

**გოლები:** 0:1 ბ. რობსონი (16), 1:1 ფ კემპბელი (58) [sic]

*განმეორებითი მატჩი შედგება მიდლსბროში 7 თებერვალს*

ასოციაციის თასის მე-4 ეტაპზე რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა, რომლებზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ. განსაკუთრებულ ინტერესს პრემიერლიგის გრანდების "ლივერპულისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" დაპირისპირება იწვევდა.

"ტოტენჰემი" "უოტფორდთან" შეხვედრის პირველ ტაიმში დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა. მეტის თქმაც შეიძლება: პირველ წუთებზე უპირატესობა ხელში სწორედ ქვედალიგელებმა ჩაიგდეს. მასპინძელ ფეხბურთელებზე არანაკლებ ენერგიას ხარჯავდნენ ტრიბუნაზე მოკალათებული გულშემატკივრები. მე-16 წუთზე სახიფათო შეტევა წამოიწყო **ტროი დენიმ**. მისი გადაცემა კარში ზუსტად ვერ გადაგზავნა **მარვინ სორდელმა**. ტაიმის შუაწელს სტუმრები ცოტა გააქტიურდნენ და უოტფორდელები ნელ-ნელა წნეხში მოაქციეს. **კაილ უოლკერმა** 42-ე წუთზე სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო, **რაფაელ ვან დერ ვაარტს** ცენტრისკენ დაუგორა. ჰოლანდიელმა დიდებული შორეული დარტყმით მეკარე **სკოტ ლოუჩს** დაბალ კუთხეში გაუტანა, თუმცა აქ მისი დანაშაულიც აუცილებლად უნდა ალვნიშნოთ. გოლს "დეზებისთვის" ფრთები არ შეუსხამს, მაგრამ ბურთის კონტროლი უკეთ კი დაიწყეს. 50-ე წუთზე **მაიკლ დოუსონის** შეცდომით კინალამ **შონ მიურეიმ** ისარგებლა, მაგრამ მისი დარტყმული ძელს მოხვდა. ორჯერ რეალური მომენტები ვერ გამოიყენა "ტოტენჰემმაც". ერთხელ უოლკერს "მკვდარი" ბურთი აულო ლოუჩმა, მეორედ კი ვან დერ ვაარტმა ბურთი ხარიხას გაარტყა. მე-80 წუთზე სასწაული ჩაიდინა **კარლო კუდიჩინიმ** – ვეტერანმა იტალიელმა ჯერ **ნოსვორთს** აული ახლოდან დარტყმული, დამატებაზე კი **სორდელის** მიერ 3 მეტრიდან გასროლილს ალუდგა წინ.

■ ■ ■

"ევერტონისა" და "ფულჰემის" შეხვედრა აქტიურად სტუმრებმა დაიწყეს. პირველი სახიფათო მომენტი **კლინტ დემპსიმ** შექმნა. ლონდონელების უპირატესობა აშკარა იყო და ეს გოლშიც აისახა. **ჯონი ჰეიტინგას** მიერ ხელით თამაშის გამო დანიშნული პენალტი გოლად **დენი მერფიმ** აქცია. გაშვებული ბურთის შემდეგ "ევერტონი" გააქტიურდა და მატჩის სადავეები იგდო ხელთ. **ლენდონ დონოვანის** კუთხურებიდან ერთს სახიფათო მომენტი მოჰყვა - **ტიმ კეჰილს დევიდ სტოკდეილმა** აულო, აი, **დენის სტრაკალურსმა** კი ამერიკელის პასით ანგარიში გაათანაბრა. 73-ე წუთზე **მარუან ფელაინიმ** შეხვედრას წერტილი ამერიკელის პასითვე დაუსვა.

■ ■ ■

და აი, მე-4 ეტაპის უმთავრეს დაპირისპირებასაც მივადექით. მერსისაიდელებმა ლიგის თასიდან "მანჩესტერ სიტის" გამოგდების შემდეგ, ასოციაციის თასის გათამაშების ეგიდით გამართულ შეხვედრაში "მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლეს და ისიც დაიფრინეს. ამრიგად, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ლივერპულელთა ბანაკში საზეიმო განწყობა სუფევს. სერიოზული შეცდომა დაუშვა სერ **ალექს ფერგიუსონმა**, როცა ძირითადში **დავიდ დე ხეა** დააბრუნა. 21-ე წუთზე, როცა **დანიელ აგერმა** ანგარიში გახსნა, ესპანელი მეკარე დაკარგული ბატივით მოქმედებდა - ჯერ წინ გამოვიდა, საბოლოოდ კი დაინახა რა, რომ ბურთი ფეხბურთელთა დიდი ჯგუფისკენ ეშვებოდა, ბრძოლაში შესვლა გადაიფიქრა და რატომღაც **ენდი კეროლთან** ჭიდაობას შეალია რაც ძალი და ღონე ჰქონდა. აგერმა ამით მშვენივრად ისარგებლა და ბურთი დაუცველ კარში გადაგზავნა. ტაიმის დამთავრებამდე 5-6 წუთით ადრე "ეშმაკები" სწრაფ კონტრშეტევაზე წავიდნენ. **რაფაელ და სილვამ მაქსი როდრიგესი** იოლად ჩამოიცილა და დაბალი ბურთი საჯარიმოში შეაგდო, სადაც პარკი მარტო ალმოჩნდა. კორეელს გატანის გარდა არაფერი დარჩენოდა.

მეორე ტაიმში მოქმედმა ჩემპიონმა თამაშის სადავეები ხელში ჩაიგდო. **სქოულზის, გიგზისა** და **კერიკის** მონდომება საკმარისი ალმოჩნდა "ლივერპულის" ბევრად უფრო ახალგაზრდული შუა ხაზის დასაჩაგრად. რეალური მომენტები გაანიავეს კეროლმა და **დენი უელბეკმა**. ამ უკანასკნელმა წინ გამოსული **პეპე რეინაც** კი მოატყუა, მაგრამ დაზღვევაზე კარგად ითამაშა **მარტინ შკრტელმა**. 88-ე წუთზე მატჩის კულმინაციური მომენტი დადგა. რეინას უგრძესი პასის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩა **დირკ კუიტი**. დავიდ დე ხეას გუნდის გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. ჰოლანდიელს დუბლის შესრულება ზუსტად 1 წუთში შეეძლო. თუმცა კეროლის თავურის შემდეგ ხარიხიდან წინ გადმოვარდნილ ბურთს ფეხი ცუდად დაუხვედრა და 7-8 მეტრიდან ააცილა.

**ინგლისი. ჩემპიონშიპი. XXVIII ტური**

**პიტერბრო-პორტსმუთი 0:3**

**გოლები:** 0:1 ჰასელკლეპი (5), 0:2 პირსი (40), 0:3 ჰასელკლეპი (79)

**რედინგი-ბრისტოლ სიტი 1:0**

**გოლი:** 1:0 რობერტსი (58)

**ინგლისი. ლიგა 1. XXVIII ტური**

**ჩესტერფილდი-ბორნმუთი 1:0, ბრეტფორდი-უიკომბი 5:2, ექსეტერი-ჩარლტონი 0:1, ჰარტლპული-კარლაისლი 4:0, ლეიტონ ორიენტი-კოლჩესტერი 0:1, როჩდეილი-ბერი 3:0, ტრანმერი-ჰადერსფილდი 1:1, იოვილი-პრესტონი 2:1, შეფილდ იუნ-სკანტორპი** გადაიდო

ამბები

## ნიუკასლს [illegible]

[illegible] სურს. ისინი მზად არიან ჩრდილოინგლისურ კლუბს ფეხბურთელის კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ 7 მილიონი ფუნტი გადაუხადონ. სწორედ ეს თანხა უწერია ფეხბურთელს "კაჭკაჭებთან" გაფორმებულ კონტრაქტში. "დეილი მეილის" ცნობით, პირველი გუნდი, რომელიც ბათი ოფიციალურად დაინტერესდა, "ტოტენჰემი" იყო. მეორე გახლდათ "ლივერპული". დანარჩენი ხუთის სახელი ოფიციალურად დადასტურებული არ არის, თუმცა მათ შორის "მანჩესტერ იუნაიტედსაც" ასახელებენ. გაზეთი ვარაუდობს, რომ ფეხბურთელი ახალ კლუბს მხოლოდ შემდგომი სეზონიდან მიაშურებს. ბუნებრივია, უმთავრესი ამ შემთხვევაში ის იქნება, თუ ვინ შესთავაზებს დემბას უკეთეს პირად კონტრაქტს.

## კლევერლი ჯერ ვერ დაბრუნდება

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** ჟურნალისტებს აცნობა, რომ 22 წლის ცენტრალური ნახევარმცველის **ტომ კლევერლის** მოედანზე დაბრუნება ჯერ არ იგეგმება. ფეხბურთელმა 29 ოქტომბერს "ევერტონთან" შეხვედრაში (0:1 "იუნაიტედის" სასარგებლოდ) ტერფი დაიზიანა და მას მერე არ უთამაშია. ახალგაზრდა ნახევარმცველის გამოჯანმრთელების საქმე წინ ნელნელა მიიწევს. *"მართალია კლევერლი ბევრს დარბის, მაგრამ პრემიერლიგაში დასაბრუნებლად დრო კიდევ დასჭირდება. იქამდე ტომი ჯერ პირველ გუნდს უნდა დაუბრუნდეს და კონდიციები აღიდგინოს. ის განსაკუთრებული ფეხბურთელია, ასე რომ, სულმოუთქმელად ველით ფორმაში მის ჩადგომას,"* – ამბობს ფერგიუსონი. ფერგის თქმით, დადებითად შეიძლება შეფასდეს **ეშლი იანგისა და ანდერსონის** ჯანმრთელობის მდგომარეობაც. ფეხბურთელები სრულფასოვან ვარჯიშებს მიმდინარე კვირაში დაუბრუნდებიან.

## რამირესი მთელი თვით

ასოციაციის თასის მე-4 ეტაპზე "ქუინზ პარკთან" მატჩის 78-ე წუთზე მუხლის მყესები დაიჭიმა "ჩელსის" 24 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **რამირესმა**. BBC-ის ვებგვერდის ცნობით, ფეხბურთელს მთელი თვით მოუწევს დასვენება. დიაგნოზის დასაზუსტებლად მას სამედიცინო შემოწმების გავლა კიდევ ერთხელ მოუწევს. თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ მუხლი იმდენად სტკიოდა, რომ კიდევ უფრო ცუდის მოლოდინი ჰქონდა.

## ჩემი მერფი ჩემთან

"ქუინზ პარკის" დამრიგებელი **მარკ ჰიუზი** "ფულჰემიდან" **დენი მერფის** გადაბირებას აპირებს. 34 წლის ფეხბურთელს ყოფილ დამრიგებელთან იდეალური ურთიერთობა აკავშირებს და უელსელსაც სწორედ ამისი იმედი აქვს. ჰიუზი ტაიე ტაივოსა და **ნედუმ ონუოჰას** შეძენისა და დაცვის გაძლიერების შემდეგ შუა ხაზშიც აპირებს კვალიფიციური ფეხბურთელის დამატებას. ადვილი სავარაუდოა, რომ **მარტინ იოლი** გუნდის ლიდერს ასე იოლად არ გაუშვებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

შოტლანდიის პრემიერლიგა. XXV ტური

**აბერდინი-დანფერმლაინი 1:0**

**გოლი:** 1:0 ვერნონი (24)

**მოზერველი-სტ. ჯონსტონი 3:2**

**გოლები:** 1:0 ოიამაა (22), 1:1 მორისი (45), 2:1 ოიამაა (65), 3:1 ლესლი (65), 3:2 სანდასა (81) პენ.

**რეინჯერსი-ჰიბერნიანი 4:0**

**გოლები:** 1:0 დევისი (27), 2:0 ჰილი (55), 3:0 ალუკო (72), 4:0 დევისი (90)

**ინვერნესი-სტ. მირენი 0:0**

დანდი იუნაიტედი-კილმარნოკი *გადაიდო*
ჰართსი-სელტიკი *8 თებერვალი*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 24 | 19 | 2 | 3 | 48-16 | 59 |
| 2. რეინჯერსი | 25 | 18 | 4 | 3 | 47-14 | 58 |
| 3. მოზერველი | 24 | 12 | 5 | 7 | 31-29 | 41 |
| 4. ჰართსი | 24 | 10 | 5 | 9 | 30-18 | 35 |
| 5. სტ. ჯონსტონი | 24 | 10 | 5 | 9 | 32-27 | 35 |
| 6. აბერდინი | 25 | 7 | 8 | 10 | 27-30 | 29 |
| 7. დანდი იუნ. | 24 | 6 | 9 | 9 | 33-38 | 27 |
| 8. კილმარნოკი | 23 | 6 | 9 | 8 | 27-34 | 27 |
| 9. სტ. მირენი | 25 | 6 | 9 | 10 | 25-36 | 27 |
| 10. ინვერნესი | 24 | 7 | 5 | 12 | 30-40 | 26 |
| 11. ჰიბერნიანი | 24 | 4 | 6 | 14 | 24-45 | 18 |
| 12. დანფერმლაინი | 24 | 4 | 5 | 15 | 26-53 | 17 |



**ბომბარდირები:** 14 - ნიკიცა იელავიჩი (რეინჯერსი), 12 – გარი ჰუპერი (სელტიკი), 11-11 ჯონ დეილი (დანდი იუნაიტედი), ფრანსისკო სანდასა (სენტ ჯონსტონი); 10 - გარი ო'კონორი (ჰიბერნიანი)

**მომდევნო ტური**

11 თებერვალი: დანფერმლაინი-რეინჯერსი, სელტიკი-ინვერნესი, ჰიბერნიანი-აბერდინი, კილმარნოკი-ჰართსი, სტ. ჯონსტონი, დანდი იუნაიტედი, სტ. მირენი-მოზერველი

# უცხოური ფეხბურთი

## კატანია–პარმა 1:1

**კატანია (4-3-3):** კამპანიოლო – სპოლი, პოტენცა, ბელუში, ალვარესი – ისკო, ბიაჯანტი (64. დელვეკიო), ლოდი – გომესი (72. კატელანი), ბარიენტოსი, ბერხესიო (81. სუაზო).

**პარმა (3-4-3):** პავარინი – ბრანდაო (46. ჯონატანი), პალეტა, ლუკარელი – მოდესტო, ვალიანი, მორონე, გალოპა – ბიაბიანი (66. ოკაკა), ჯოვინკო, ფლოკარი.

**გოლები:** 1:0 ბერხესიო (32), 1:1 მოდესტო (43).

**გაფრთხილება:** პოტენცა - მორონე.

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 8(3)-7(1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 12 000

## იუვენტუსი–უდინეზე 2:1

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი – ლიხტშტაინერი (83. დე ჩელიე), ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ჯაკერინი, პირლო, ვიდალი – ესტიგარიბია (54. პეპე), მატრი, კვალიარელა (61. მარკიზიო).

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – დანილო, ფერონეტი, დომიცი (73. ბატოკიო) – ბასტა, პასკუალე, ისლა (85. პერეირა), ფერნანდესი, არმერო – აბდი (46. ფლორო ფლორესი) - დი ნატალე.

**გოლები:** 1:0 მატრი (42), 1:1 ფლორო ფლორესი (55), 2:1 მატრი (62).

**გაფრთხილება:** ვიდალი, ჯაკერინი – ფერონეტი, ფერნანდესი, არმერო, დი ნატალე.

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 18-7; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13(5)-6(3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 39 000

## ფიორენტინა–სიენა 2:1

**ფიორენტინა (3-5-2):** ბორუცი – ნატალი, გამბერინი, ნასტასიჩი – კასანი (75. დე სილვესტრი), ბეჰრამი, მონტოლივო, პასკუალი, ლაძარი – ამაური (87. ლიაიჩი), იოვეტიჩი.

**სიენა (3-5-2):** პეგოლო – პეზოლი, ტერცი (46. ბრიენცა), როსეტინი - ვიტიელო, გაცი, დაგოსტინო (54. ბოლცონი), ვერგასოლა (75. ლარონდო), დელ გროსო – კალაიო, დესტრო.

**გოლები:** 1:0 იოვეტიჩი (4), 2:0 ნატალი (63), 2:1 კალაიო (83).

**გაფრთხილება:** ნასტასიჩი – დელ გროსო, ბრიენცა.

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 4-6; **კარში დარტყმა:** 11(8)-6(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 26 000

## რომა–ბოლონია 1:1

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – ტადეი, ჟუანი, ჰაინცე, როზი – გაგო, გრეკო (78. სიმპლისიო), პიანიჩი (78. პეროტა) – ტოტი, ლამელა (61. ბოიანი), ბორინი.

**ბოლონია (3-4-1-2):** ჟილე – რაჯი (90. კერუბინი), პორტანოვა, ანტონსონი – პერესი, გარიჩი (79. კრესპო), მუდინგაი, მორლეო – დიამანტი (68. ხიმენესი) – ტაიდერი, დი ვაიო.

**გოლები:** 0:1 დი ვაიო (57), 1:1 პიანიჩი (62).

**გაფრთხილება:** ჟუანი – პორტანოვა, დი ვაიო.

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 18(8)-9(5); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 38 000

## ჩეზენა–ატალანტა 0:1

**ჩეზენა (4-4-2):** ანტონიოლი – კომოტო, ფონ ბერგენი, მორასი, როსი (80. ბოგდანი) – გუანა, ჩეკარელი (59. მარტინესი), პაროლო, კოლუჩი – რენელა (65. მარტინიო), მუტუ.

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – რაიმონდი, ლუკინი, სტენდარდო, პელუზო (65. ფერი) – მორალესი (86. კარმონა), ჩიგარინი, სკელოტო, პადოინი – მარილუნგო (83. ტირიბოკი) - დენისი.

**გოლი:** 0:1 როსი (76).

**გაფრთხილება:** გუანა, რენელა – სკელოტო, პადოინი.

**გაძევება:** დენისი (79. ატალანტა)

**კუთხური:** 12-10; **ჯარიმა:** 13-22; **თამაშგარე:** 2-7; **კარში დარტყმა:** 9(3)-13(6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 12 000

## კიევო–ლაციო 0:3

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – სარდო, ცეზარი, ანდრეოლი, იოკიჩი – ბრედლი (73. ჰეტემაი), სამარკო, ლუჩანო (63. კრუსადო) – თერეუ – პელისიერი, პალოსკი (77. მოსკარდელი).

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – კონკო, დიასი, ბიავა, რადუ - ლულიჩი, ლედესმა, გონსალესი – ერნანესი (63. მათუზალემი) – როკი (81. სისე), კლოზე (90. დელ ნერო).

**გოლები:** 0:1 ერნანესი (20), 0:2 კლოზე (87), 0:3 კლოზე (88).

**გაფრთხილება:** დიასი, გონსალესი, ლედესმა, ერნანესი (ლაციო).

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 10(4)-14(7); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 12 000

## ჯენოა–ნაპოლი 3:2

**ჯენოა (4-3-3):** ფრეი – გრანკვისტი, მესტო, კალაძე, მორეტი – ბიონდინი (81. სამპირუზი), კუჩკა, იანკოვიჩი (72. სეიმური) – სკული (77. ბირსა), პალასიო, ჯილარდინო.

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – ბრიტოსი, კანავარო (46. მაჯო), კამპანიარო – ცუნიგა (57. კავანი), ჯემაილი, გარგანო, დოსენა – პანდევი (73. ვარგასი), ჰამშიკი – ლავეცი.

**გოლები:** 1:0 პალასიო (31), 2:0 ჯილარდინო (36), 3:0 პალასიო (70), 3:1 კავანი (80), 3:2 ლავეცი (82).

**გაფრთხილება:** მესტო, კუჩკა, იანკოვიჩი, პალასიო – კანავარო, ჯემაილი, ლავეცი.

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8(4)-8(5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 26 000

## ლეჩე–ინტერი 1:0

**ლეჩე (3-5-2):** ბენასი – ოდო, ტომოვიჩი, მილიონიკო - კუადრადო, ჯაკომაცი (78. ობოდო), ოლივერა, ბლაზი, ბრივიო – მურიელი (72. სეფეროვიჩი), დი მიკელე.

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო – ობი (72. სარატე), კამბიასო, ძანეტი, სნეიდერი (46. ალვარესი) – მილიტო, პაცინი.

**გოლი:** 1:0 ჯაკომაცი (40).

**გაფრთხილება:** კუადრადო, ოლივერა, მურიელი (ლეჩე).

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 5-16; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 5(3)-15(6); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 25 000

## პალერმო–ნოვარა 2:0

**პალერმო (4-3-2-1):** ვივიანო - მუნოზი, სილვესტრი, მანტოვანი, ბალცარეტი – მილიაჩო, ბარეტო, დონატი – ილიჩიჩი (73. ბერტოლო) – მიკოლი, ბუდანი (80. ზაპავი).

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – დელაფიორე (70. მაძარანი), რინაუდო, პაჩი, გარსია – რადოვანოვიჩი (58. პეშე), პორკარი, მორგანელა – რიგონი – მასკარა (80. რუბინო), კარაჩოლო.

**გოლები:** 1:0 ბუდანი (41), 2:0 ბუდანი (72).

**გაფრთხილება:** მილიაჩო, დონატი, ბუდანი, მუნოზი - პორკარი.

**კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 2-9; **კარში დარტყმა:** 11(6)-8(2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 26 000

## მილანი–კალიარი 3:0

**მილანი (4-3-1-2):** ამელია – აბატე, მექსე, ტიაგო სილვა, ანტონინი – ზეედორფი (67. ამბროზინი), ვან ბომელი, ნოჩერინო – ემანუელსონი – რობინიო (62. ელ შაარავი), იბრაჰიმოვიჩი (84. ფ. ინძაგი).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო (54, რიბეირო), კანინი, ასტორი, აგოსტინი – ეკდალი, დესენა, ნაინგოლანი (66. კონტი) – კოსუ (56. ელ კაბირი) – იბარბო, ლარივეი.

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (32), 2:0 ნოჩერინო (39), 3:0 ამბროზინი (75)

**გაფრთხილება:** ვან ბომელი, ნესტა

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 11-8(7-1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 20 | 12 | 8 | 0 | 33-13 | 44 |
| 2. მილანი | 20 | 13 | 4 | 3 | 43-17 | 43 |
| 3. უდინეზე | 20 | 11 | 5 | 4 | 29-16 | 38 |
| 4. ლაციო | 20 | 10 | 6 | 4 | 30-19 | 36 |
| 5. ინტერი | 20 | 11 | 2 | 7 | 30-21 | 35 |
| 6. რომა | 19 | 9 | 4 | 6 | 29-21 | 31 |
| 7. ნაპოლი | 20 | 7 | 8 | 5 | 36-24 | 29 |
| 8. პალერმო | 20 | 8 | 3 | 9 | 26-27 | 27 |
| 9. ჯენოა | 20 | 8 | 3 | 9 | 28-36 | 27 |
| 10. ფიორენტინა | 20 | 6 | 7 | 7 | 20-17 | 25 |
| 11. პარმა | 20 | 6 | 6 | 8 | 25-33 | 24 |
| 12. კიევო | 20 | 6 | 6 | 8 | 16-25 | 24 |
| 13. კალიარი | 20 | 5 | 8 | 7 | 16-21 | 23 |
| 14. კატანია | 19 | 5 | 8 | 6 | 22-28 | 23 |
| 15. ატალანტა | 20 | 7 | 8 | 5 | 24-25 | 23 |
| 16. ბოლონია | 20 | 5 | 6 | 9 | 18-26 | 21 |
| 17. სიენა | 20 | 4 | 7 | 9 | 21-22 | 19 |
| 18. ლეჩე | 20 | 4 | 4 | 12 | 21-36 | 16 |
| 19. ჩეზენა | 20 | 4 | 3 | 13 | 13-31 | 15 |
| 20. ნოვარა | 20 | 2 | 6 | 12 | 18-40 | 12 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 15 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 14 – დი ნატალე (უდინეზე),; 12 - დენისი (ატალანტა), კავანი (ნაპოლი), კლოზე (ლაციო).

## სერია B. XXIV ტური

**იუვე სტაბია-კროტონე 2:2**

**გოლები:** 0:1 კაეტანო (25), 0:2 კაეტანო (76), 1:2 დანილევიჩუსი (82), 2:2 საუ (90).

**პესკარა-მოდენა 3:1**

**გოლები:** 1:0 იმობილე (11), 2:0 სანსოვინი (18), 2:1 ჯენარო (42), 3:1 ინსინიე (56).

**ალბინოლეფე-ბარი 0:2**

**გოლი:** 0:1 კასტილო (75), 0:2 ფალკო (90).

**ემპოლი-ბრეშა 0:2**

**გოლები:** 0:1 ჯონატასი (52), 0:2 კადოური (61).

**გროსეტო-რეჯინა 0:0**

**გუბიო-სამპდორია 0:0**

**ნოჩერინა-ლივორნო 2:2**

**გოლები:** 1:0 კასტალდო (22), 1:1 პიკოლო (23), 2:1 კატანია (38), 2:2 სილიგარდი (81).

**პადოვა-ჩიტადელა 1:0**

**გოლეი:** 1:0 ტრევიზანი (85).

**სასუოლო-ვერონა 2:0**

**გოლები:** 1:0 ტერანოვა (13), 2:0 ვალერი (24).

**ვარეზე-ტორინო 0:0**

**ვიჩენცა-ასკოლი 1:1**

**გოლები:** 1:0 აბრუსკატო (3), 1:1 ვაიგო (23).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 24 | 14 | 7 | 3 | 34-17 | 49 |
| 2. პესკარა | 24 | 15 | 3 | 6 | 53-35 | 48 |
| 3. ტორინო | 24 | 13 | 8 | 3 | 28-15 | 47 |
| 4. პადოვა | 24 | 13 | 5 | 6 | 37-25 | 44 |
| 5. ვერონა | 24 | 13 | 5 | 6 | 32-25 | 44 |
| 6. ვარეზე | 24 | 9 | 8 | 7 | 28-23 | 35 |
| 7. ბრეშია | 24 | 9 | 7 | 8 | 27-26 | 34 |
| 8. რეჯინა | 24 | 8 | 9 | 7 | 38-31 | 33 |
| 9. გროსეტო | 24 | 8 | 9 | 7 | 26-31 | 33 |
| 10. იუვე სტაბია | 24 | 10 | 6 | 8 | 35-32 | 32 |
| 11. ბარი | 24 | 9 | 7 | 8 | 27-26 | 32 |
| 12. სამპდორია | 24 | 6 | 13 | 5 | 29-21 | 31 |
| 13. ჩიტადელა | 24 | 8 | 6 | 10 | 28-33 | 30 |
| 14. ვიჩენცა | 24 | 6 | 9 | 9 | 28-32 | 27 |
| 15. ლივორნო | 24 | 6 | 8 | 10 | 25-26 | 26 |
| 16. კროტონე | 24 | 6 | 8 | 10 | 24-31 | 25 |
| 17. მოდენა | 24 | 5 | 9 | 10 | 25-40 | 24 |
| 18. გუბიო | 24 | 5 | 8 | 11 | 23-34 | 23 |
| 19. ალბინოლეფე | 24 | 5 | 8 | 11 | 26-38 | 23 |
| 20. ემპოლი | 24 | 6 | 4 | 14 | 28-40 | 22 |
| 21. ასკოლი | 24 | 7 | 5 | 12 | 27-34 | 19 |
| 22. ნოჩერინა | 24 | 3 | 8 | 13 | 32-45 | 17 |

*შენიშვნა: ასკოლი – 7 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 2, კროტონე - 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 16 – იმობილე (პესკარა); 15 – გ. სანსონე (სასუოლო); 13 – ტავანო (ემპოლი), საუ (იუვე სტაბია); 12 – აბრუსკატო (ვიჩენცა), სანსოვინი (პესკარა), 11 – სფორცინი (გროსეტო).

## ლეგა პრო 1 B

აველინო-ვიარეჯო 2:0, ბენევენტო-ფოლინო 1:0, კარპი-პავია 2:1, კომო-რეჯანა 1:2, მონცა-ფოჯა 2:1, პიზა-პრო ვერჩელი 1:4, სპალ-ტრიტიუმი 2:1, ტერნანა-ლუმეცანე 1:0, ტარანტო-სორენტო დღეს.

## ლეგა პრო 1 B

ბარლეტა-ლანჩანო 2:2, კრემონეზე-პიაჩენცა 0:1, ლატინა-ბასანო 0:1, პორტოგრუარო-ფერალპიზალო 0:0, პრატო-ფროზინონე 1:0, სპეცია-სირაკუზა 1:1, სუდტიროლი-პერგოკრემა 0:1, ტრაპანი-კარარეზე 1:0, ტრიესტინა-ანდრია 1:1.

● იტალია. სერია A. XX ტური

# იუვე თოვლშიც შეუჩერებელია

## რანიერი თავის სტიქიაში

ტურის ცენტრალურმა შეხვედრამ ნამდვილად გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი – "იუვენტუს არენაზე" გამართული პაექრობა უმაღლეს ტემპში, ორმხრივ იერიშებში წარიმართა და მომენტებიც ორივე კართან უხვად შეიქმნა. ტერიტორიულ უპირატესობას რა თქმა უნდა ტურინელები ფლობდნენ, უდინელები კი კონტრშეტევებზე ირჯებოდნენ და პერიოდულად, ეს საქმე შესანიშნავად გამოსდიოდათ.

იტალიელ ჟურნალისტთა მოლოდინი არ გამართლდა – **ანტონიო კონტემ ალესანდრო დელ პიერო** თადარიგში დატოვა, შეტევის წინა ხაზზე კი **ალესანდრო მატრი, ფაბიო კვალიარელა** და **მარსელო ესტიგარიბია** გაამწესა. ეს უკანასკნელი ტრავმირებულ **სიმონე პეპეს** ცვლიდა და აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა, აქვე დავძინოთ, რომ პეპე არა ტრავმირებული, არამედ ახლადგამოჯანმრთელებული გახლავთ – სრულად თამაში არ შეეძლო და მხოლოდ მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე მეორე თამაშია კონტე მოედნის ცენტრში ამწესებს **ემანუელე ჯაკერინის** და ეს უკანასკნელიც შესანიშნავად ასპარეზობს – არ ერთი წუთი არ ჩერდება, მუდმივად მოძრაობაშია და **ანდრეა პირლოსთან** ერთად, ფაქტობრივად, თამაშის მიმდინარეობას განსაზღვრავს.

რაც შეეხება "უდინეზეს", **ფრანჩესკო გვიდოლინმა** უკიდურესად ფრთხილი სტრატეგია აირჩია და გუნდი ფაქტობრივად 4-5-1 ტაქტიკით განალაგა. შეტევის წინა ხაზზე ეულად მყოფ **ანტონიო დი ნატალეს** არც **გაბრიელ ტორიე** მიახმარა, არც **ანტონიო ფლორო ფლორესი** და ეს უკანასკნელი მხოლოდ მეორე ტაიმში ჩართო საქმეში.

ანგარიში პირველი ტაიმის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე გაიხსნა, თუმცა იქამდე ტურინელებს არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა – მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ **სამირ ჰანდანოვიჩი** იყო მოწოდების სიმაღლეზე და ბევრჯერ გამოავლინა უმაღლესი სამეკარეო ოსტატობა. იგივე შეიძლება ითქვას პირველი გოლის ეპიზოდზე, რომელზეც აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა – ესტიგარიბიამ მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, ერთ მეტოქეს კარგად აუარა გვერდი და საჯარიმოში ჩააწოდა, რასაც ფაბიო კვალიარელას თავური მოჰყვა, ჰანდანოვიჩმა სასწაულებრივ მოიგერია ბურთი, თუმცა დამატებაზე პირველი **ალესანდრო მატრი** გაჩნდა და თავის გამოჩენა აღარ გასჭირვებია, 1:0.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე ნახევარში ფლორო ფლორესი გამოჩნდა მინდორზე, "უდინეზემ" კი ორი გამოკვეთილი შემტევით განაგრძო თამაში. ამან მალევე გამოიღო შედეგი და 56-ე წუთზე ანგარიში სწორედ შეცვლაზე შესულმა ფლორო ფლორესმა გაათანაბრა – უდინელებმა ჩვეული კონტრშეტევა წამოიწყეს, მეტოქის საჯარიმოსკენ დაძრულ **მაურისიო ისლას** მარჯვნივ დი ნატალე ეხსნებოდა, მარცხნივ კი ფლორესი - ყველას ეგონა, რომ გადაცემა ტოტოზე გაკეთდებოდა, თუმცა ჩილელმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ბურთი მარცხნივ გაგზავნა, ფლორო ფლორესის დარტყმული კი უზადო გამოდგა, 1:1.

უდინელებს დიდ ხანს არ დასცალდათ სიხარული – შეშფოთებულმა ანტონიო კონტემ თამაშში **კლაუდიო მარკიზიო** ჩართო, რამაც შედეგი ძალიან მალე გამოიღო: 62-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც კლაუდიომ ურთულეს ვითარებაში გაუკეთა პასი მატრის და ამ უკანაკნელმაც უზუსტესი დარტყმით შეარხია მეტოქის კარის ბადე, 2:1. დარჩენილ დროში უდინელებისგან მეტ აქტიურობას ველოდით, მაგრამ ამაოდ – თითქოს დაიღალნენ "ფრიულის" ბინადრები და ტურიბელებს ანგარიშის შენარჩუნება აღარ გასჭირვებიათ. სანამ სიტყვას კონტეს გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ შეხვედრა ძლიერი თოვლნარევი წვიმის ფონზე მიმდინარეობდა, თუმცა შეხვედრას ამით არაფერი დაჰკლებია – არც მოთამაშეები სრიალებდნენ და ბურთიც თავისუფლად გორავდა. არადა, იტალიის ნებისმიერ სხვა სტადიონზე, თამაში ალბათ შეწყდებოდა და გადასადები გახდებოდა – აი ასეა, ახალი სტადიონები და ინფრასტრუქტურა კალჩოს დღეს ჰაერივით სჭირდება.

აქვე, კონტეს მატჩის შემდგომი კომენტარი: "*მთლიანობაში ძალიან კარგი შეხვედრა გამოვიდა და გულშემატკივრებმა დიდი სიამოვნება მიიღეს, თუმცა მე მაინც უკმაყოფილო დავრჩი. უფრო სწორად, შედეგით გახარებული ვარ, მაგრამ წუნი მაინც ბევრი გვქონდა. ძალიან ხშირად ვკარგავდით ბურთს მოედნის ცენტრში და მეტოქეს კონტრიერიშების საშუალებას ვაძლევდით. მხოლოდ იმით ვიმშვიდებ თავს, რომ "უდინეზე" შესანიშნავი გუნდია და მათ წინაალმდეგ თამაში აბსოლუტურად ყველას უჭირს. თუმცა, უნდა დავანებოთ სხვებს თავი და ნებისმიერ შემთხვევაში, საკუთარი შეცდომები დეტალურად გავაანალიზოთ. ვნახოთ, იმედია მომდევნო შეხვედრაში წუნი ნაკლები გვექნება*".

***

კვირის შეხვედრებიდან "ინტერის" მარცხი უნდა გამოვყოთ. **კლაუდიო რანიერის** გუნდმა მოგებათა სერია ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან შეწყვიტა და ნათლად დაგვანახვა, რომ ამ გუნდის სასკუდეტო ამბიციებზე ლაპარაკი ცოტა გადამეტებული იყო. ზოგადად, რანიერის სჩვევია გამარჯვებათა სერიები და შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ყველაფრის გაფუჭება. ერთადერთი გოლი **ჯაკომაციმ** გაიტანა, შესანიშნავად გაეხსნა **მასიმო ოდოს**, კარგი პასიც მიიღო, კიდევ უკეთესად დაარტყა და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა, 1:0.

■ ■ ■



ტურინელთა ფიესტა

კვლავ დამარცხდა "ნაპოლი" და კიდევ უფრო გაირთულა სატურნირო მდგომარეობა. **ვალტერ მაძარის** გუნდს ამჯერად გენუაში დაუცდა ფეხი, სადაც ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა **ალბერტო ჯილარდინომ**. კიდევ ორი **როდრიგო პალასიომ** მიითვალა აქტივში და ერთი ხანობა, მასპინძლები სამი ბურთის სხვაობით უგებდნენ მეტოქეს... ნეაპოლელთა გამოცოცხლება და ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება გვიანი აღმოჩნდა - 3:2 და მაძარის გუნდი რეგრესს განაგრძობს.

■ ■ ■

რომაული გუნდებიდან ერთმა დამაჯერებლად გაიმარჯვა, მეორემ კი მოულოდნელად ორი ქულა დაკარგა. ვერონაში "კიევოს" განადგურების შემდეგ, **ედი რეია** ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო, "ბოლონიასთან" საშინაო 1:1-ის შემდეგ კი **ლუის ენრიკემ** ბედს შესჩივლა, ამდენი მომენტის გამოუყენებლობა ჩვენიც, მაგრამ უფრო მეტად უიღბლობის ბრალიაო. დანარჩენზე ტურის შეჯამებაში ვიმსჯელოთ.

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა

## მომდევნო ტური

31 იანვარი: პარმა-იუვენტუსი.

**1 თებერვალი:** ატალანტა-ჯენოა, სიენა-კატანია, ნაპოლი-ჩეზენა, ბოლონია-ფიორენტინა, უდინეზე-ლეჩე, ლაციო-მილანი, ინტერი-პალერმო, კალიარი-რომა.

**2 თებერვალი:** ნოვარა-კიევო.

## ესპანიოლი-მალიორკა 1:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - გალანი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი (60. კ. გომესი), ბაენა - ვეისი, ვერდიუ, რომარიკი (84. ხ. ლოპესი) - რუი ფონტე (55. ტიევი).

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ჩიკო, რამისი, პ. კასერესი - ჟოაო ვიქტორი (46. პინა), მარტი - პერეირა (46. ოგუნჯიმი), ალფარო (48. კალატაიუდი), გ. კასტრო - ვიქტორი.

**გოლი:** 1:0 ვეისი (18)

**გაფრთხილება:** ფორლინი, მორენო, კ. გომესი, ბაენა, ტიევი - სენდროსი, ჩიკო

**გაძევება:** ავატე (47)

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12-14 (6-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 24 000

## რაიო ვალეკანო-ბილბაო 2:3

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** დანი (54. კობენიო) - ტიტო, არიბასი, ლაბაკა, კასადო - ფუეგო, მოვილია - პიტი (75. დელიბაშიჩი), მიჩუ, ტრაშორასი - ტამუდო (25. რაიკო).

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, აურტენეჩე - დ. ლოპესი, იტურასპე, ი. პერესი (68. ეკიზა), სუსაეტა (62. მუნიაინი) - ტოკერო (82. ანდერი), ფ. ლორენტე.

**გოლები:** 1:0 მიჩუ (10), 1:1 ფ. ლორენტე (15), 1:2 ფ. ლორენტე (22), 2:2 არიბასი (26), 2:3 ფ. ლორენტე (67)

**გაფრთხილება:** კასადო, რაიკო - პერესი, სუსაეტა, ტოკერო, ეკიზა

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 19-12 (10-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 9 800

## რეალი-სარაგოსა 3:1

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ჰ. ალთინტოპი, პეპე, რიკარდო კარვალიო, მარსელო - გრანერო, ჩაბი ალონსო (61. დიარა) - იოზილი, კაკა (66. კალეხონი), რონალდო - ბენზემა (71. იგუაინი).

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ლანძარო, პ. და სილვა, პარედესი, ობრადოვიჩი - დუიმოვიჩი, აპონიო - ლუის გარსია (73. აბრაამი), რუბენ მიკაელი (54. პოშტიგა), ლაფიტა - არანდა (65. ბარერა).

**გოლები:** 0:1 ლაფიტა (10), 1:1 კაკა (31), 2:1 რონალდო (48), 3:1 იოზილი (55)

**გაფრთხილება:** რონალდო - პარედესი, აპონიო

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 18-10 (6-3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 75 000

## ვილიარეალი-ბარსელონა 0:0

**ვილიარეალი (4-2-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, მუსაჩიო, ხ. ორიოლი - კანი (72. კასტელანი), სენა (89. მარჩენა), ბრუნო, ბ. ვალერო - ხოსელუ, მ. რუბენი (82. კამუნიასი).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, პიკე (59. სანჩესი), აბიდალი - ჩავი (75. ტ. ალკანტარა), ბუსკეტსი, მასკერანო - ადრიანო (75. ტელო), მესი, ფაბრეგასი.

**გაფრთხილება:** მუსაჩიო, გონსალო, რუბენი, სენა

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 22-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 5-8 (2-2); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 16 500

## ბეტისი-გრანადა 1:2

**ბეტისი (4-4-2):** კასტო - ისიდორო (64. ხ. პერეირა), მარიო, დორადო, ნაჩო - ხუანმა, ირინეი, ბენატი, სევილია (47. პოსუელო) - რ. კასტრო (57. მოლინა), სანტა კრუსი.

**გრანადა (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - ნიომი, ი. ლოპესი, ბ. გომესი, სიკეირა - იებდა, მ. რიკო - ხარა (67. ხაიმე), კ. მარტინში (71. აბელი), ბენიტესი (84. ფ. რიკო) - იგჰალო.

**გოლები:** 0:1 იგჰალო (12), 0:2 მარტინში (39), 1:2 პერეირა (81)

**გაფრთხილება:** სევილია, ნაჩო, მარიო - იებდა, ხაიმე, იგჰალო, ჟულიო სეზარი, ბენიტესი, ლოპესი

**კუთხური:** 12-6; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 16-12 (6-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 22 000

## რეალ სოსიედადი-სპორტინგი 5:1

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, ესტრადა - ელუსტონდო, არანბურუ - ველა (79. ჩაბი პრიეტო), ზურუტუზა (7. ბერგარა), გრიზმანი - აგირეჩე (60. იფრანი).

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - დ. სუარესი, გალვესი, გრეგორი (14. ბოტია), კანელია - რივერა, ნაჩო კასესი (46. ხუან მუნისი) - დე ლას კუევასი, ტრეხო, კარმელო (77. ს. ალვარესი) - ბილიჩი.

**გოლები:** 1:0 ზურუტუზა (2), 2:0 ზურუტუზა (3), 2:1 დე ლას კუევასი (46), 3:1 ელუსტონდო (76), 4:1 არანბურუ (91), 5:1 გრიზმანი (93)

**გაფრთხილება:** ბოტია, გალვესი, რივერა, კარმელო

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 8-1; **კარში დარტყმა:** 14-11 (9-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 16 000

## ლევანტე-ხეტაფე 1:2

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, დელ ორნო, ხუანფრანი - ხ. ტორესი (82. იბორა), ფარინოსი - ელ ჟარი (79. რაფა ხორდა), რ. სუარესი, ბოტელიო (68. სერანო) - კონე.

**ხეტაფე (4-4-2):** მოია - ვალერა, ლოპო, კატა დიასი, მასილელა - ბარადა, ხ. როდრიგესი, კასკერო (68. ლასენი), გავილანი (59. დ. კასტრო) - გუისა (83. მ. ტორესი), მიკუ.

**გოლები:** 0:1 გუისა (32), 0:2 დ. კასტრო (82), 1:2 რ. სუარესი (91-პენ)

**გაფრთხილება:** დელ ორნო - გუისა, მასილელა

**გაძევება:** ლოპო (90)

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 18-10 (5-6); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 14 000

## რასინგი-ვალენსია 2:2

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ალვარო (59. კრისტიანი), ტორეხონი, ბერნარდო სუნიგა, სისმა - დიოპი (85. სამპერიო), ადრიანი - არანა, აკოსტა (68. კოლსა), მუნიტისი - სტუანი.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რიკარდო კოშტა, რუისი, მატიო - ბანეგა (38. თოპალი), ტ. კოსტა - ფეგული, ჟონასი (62. ადურისი), პიატი (70. ბერნატი) - სოლდადო.

**გოლები:** 1:0 ადრიანი (2), 1:1 ადურისი (66), 1:2 ადურისი (79), 2:2 ბერნარდო სუნიგა (88)

**გაფრთხილება:** ტონიო, ადრიანი, კრისტიანი, სამპერიო, სისმა - მატიო, ფეგული, რუისი, კოსტა, კოშტა

**გაძევება:** მუნიტისი (90), რ. კოშტა (91)

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 11-10 (5-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 11 000

## მალაგა-სევილია 2:1

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - ს. სანჩესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - ტულალანი, მარესკა (63. რესიო) - კასორლა (88. გამესი), სება ფერნანდესი (81. ბუონანოტე), ისკო - რონდონი.

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კოკე, სპაჰიჩი, ესკუდე, ფ. ნავარო - მედელი, რაკიტიჩი (69. ტროხოვსკი) - ხესუს ნავასი, რეიესი (36. ბ. დიავარა), ლუნა (66. დელ მორალი) - ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 ველიგტონი (7), 1:1 ლუნა (15), 2:1 სება ფერნანდესი (19)

**გაფრთხილება:** ფერნანდესი, სანჩესი, დემიკელისი, ველიგტონი, ისკო - ლუნა, პეროტი (სათადარიგო), რაკიტიჩი, სპაჰიჩი, მედელი, ესკუდე

**გაძევება:** ისკო (78)

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 8-9 (1-7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 28 000

### დღეს

ოსასუნა-ატლეტიკო 00:30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 20 | 17 | 1 | 2 | 70-19 | 52 |
| 2. ბარსელონა | 20 | 13 | 6 | 1 | 59-12 | 45 |
| 3. ვალენსია | 20 | 10 | 6 | 4 | 31-22 | 36 |
| 4. ლევანტე | 20 | 9 | 4 | 7 | 26-24 | 31 |
| 5. ესპანიოლი | 20 | 9 | 4 | 7 | 22-21 | 31 |
| 6. ბილბაო | 20 | 7 | 8 | 5 | 30-25 | 29 |
| 7. მალაგა | 20 | 8 | 4 | 8 | 24-29 | 28 |
| 8. ხეტაფე | 20 | 7 | 6 | 7 | 22-26 | 27 |
| 9. ოსასუნა | 19 | 6 | 9 | 4 | 22-31 | 27 |
| 10. ატლეტიკო | 19 | 7 | 5 | 7 | 30-27 | 26 |
| 11. სევილია | 20 | 6 | 8 | 6 | 21-22 | 26 |
| 12. სოსიედადი | 20 | 6 | 6 | 8 | 22-28 | 24 |
| 13. ბეტისი | 20 | 7 | 2 | 11 | 23-29 | 23 |
| 14. ვალეკანო | 20 | 6 | 4 | 10 | 23-31 | 22 |
| 15. მალიორკა | 20 | 5 | 7 | 8 | 17-25 | 22 |
| 16. გრანადა | 20 | 6 | 4 | 10 | 14-27 | 22 |
| 17. რასინგი | 20 | 4 | 9 | 7 | 17-25 | 21 |
| 18. ვილიარეალი | 20 | 4 | 8 | 8 | 18-28 | 20 |
| 19. სპორტინგი | 20 | 5 | 3 | 12 | 19-38 | 18 |
| 20. სარაგოსა | 20 | 2 | 6 | 12 | 15-36 | 12 |

**ბომბარდირები:** 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), გონსალო იგუაინი (რეალი); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 10 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), მიჩუ (რაიო ვალეკანო).

## სეგუნდა დივიზიონი

### XXII ტური

**ალკოიანო-ვალიადოლიდი 0:1**

გოლი: ალემანი (80)

**ერკულესი-ვილიარეალი II 0:2**

გოლები: 0:1 ხ. კოსტა (80), 0:2 პორკარი (90)

**ბარსელონა II-უესკა 4:2**

გოლები: 1:0 რივეროლა (1), 2:0 როდრი (15), 3:0 როდრი (24), 3:1 დ. ბაუსა (49), 3:2 სპეციე (63), 4:2 როდრი (79)

გაძევება: კლავერო (88. უესკა)

**საბადელი-ხერესი 2:0**

გოლები: 1:0 ლანსაროტე (13-პენ), 2:0 ტოლემესი (83)

**ალკორკონი-ლას პალმასი 3:1**

გოლები: 1:0 მორა (15), 2:0 აგუსი (66), 3:0 ქუინი (72-პენ), 3:1 პორტილიო (77)

**გვადალახარა-ნუმანსია 1:0**

გოლი: 1:0 კოლადო (67)

**ხირონა-სელტა 0:1**

გოლი: 0:1 ტუნიესი (45)

**მურსია-უელვა 0:3**

გოლები: 0:1 პ. სანჩესი (28), 0:2 ბონაკვი (33), 0:3 აიტორი (86)

გაძევება: კ. გარსია (67. მურსია)

**კორდობა-ელჩე 2:0**

გოლები: 1:0 ერვასი (36), 2:0 ბ. გარსია (84)

გძევება: გალვესი (63. კორდობა), ედუ (66. ელჩე), პელეგრინი (79. ელჩე)

**დეპორტივო-კარტახენა 2:1**

გოლები: 1:0 რიკი (23), 1:1 კოლანტესი (61), 2:1 ჩისკო (71)

გაძევება: აიოსე (18. დეპორტივო), პასი (38. კარტახენა)

**ხიმნასტიკი-ალმერია 1:2**

გოლები: 0:1 ვერსა (41), 1:1 პაუელი (50-პენ), 1:2 პარეუ (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 22 | 14 | 3 | 5 | 36-24 | 45 |
| 2. ვალიადოლიდი | 22 | 11 | 9 | 2 | 34-18 | 42 |
| 3. სელტა | 22 | 12 | 4 | 6 | 36-19 | 40 |
| 4. ალმერია | 22 | 10 | 9 | 3 | 36-22 | 39 |
| 5. ერკულესი | 22 | 12 | 3 | 7 | 24-18 | 39 |
| 6. ელჩე | 22 | 11 | 4 | 7 | 37-23 | 37 |
| 7. კორდობა | 22 | 10 | 7 | 5 | 23-15 | 37 |
| 8. მურსია | 22 | 9 | 6 | 7 | 28-28 | 33 |
| 9. ალკორკონი | 22 | 8 | 7 | 7 | 26-24 | 31 |
| 10. ბარსელონა II | 22 | 8 | 6 | 8 | 36-32 | 30 |
| 11. ნუმანსია | 22 | 7 | 9 | 6 | 26-24 | 30 |
| 12. უელვა | 22 | 8 | 5 | 9 | 29-25 | 29 |
| 13. გვადალახარა | 22 | 8 | 5 | 9 | 23-35 | 29 |
| 14. ლას პალმასი | 22 | 7 | 7 | 8 | 28-29 | 28 |
| 15. საბადელი | 22 | 7 | 7 | 8 | 27-39 | 28 |
| 16. ხერესი | 22 | 6 | 5 | 11 | 22-30 | 23 |
| 17. ალკოიანო | 22 | 5 | 8 | 9 | 23-33 | 23 |
| 18. ვილიარეალი II | 22 | 5 | 7 | 10 | 29-36 | 22 |
| 19. კარტახენა | 22 | 4 | 8 | 10 | 15-26 | 20 |
| 20. უესკა | 22 | 4 | 6 | 12 | 24-38 | 18 |
| 21. ხირონა | 22 | 3 | 8 | 11 | 23-36 | 17 |
| 22. ხიმნასტიკი | 22 | 3 | 7 | 12 | 18-29 | 16 |

**ბომბარდირები:** 17 - ულოა (ალმერია); 10 - კამაჩო (უესკა), ხოსელუ (ვილიარეალი); 9 - ანხელი (ელჩე).

● ესპანეთი. ლა ლიგა. XX ტური

# ბარსელონას რეალი გაუფრთხილდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტრაგედიას ბევრიც არაფერი უკლდა...

ჯერ ძალიან ადრეა თქვა, რომ მორჩა, „რეალმა" სამწლიანი განშორების შემდეგ ტიტული დაიბრუნა, მაგრამ, ფაქტია, II წრის პირველ ტურში ჟოზე მოურინიოს გუნდმა დიდი ნაბიჯი გადადგა ამისკენ. თუმცა თავად რა, ბოლოადგილოსან „სარაგოსას", როგორც მოსალოდნელი იყო, წვალებით, მაგრამ მაინც მოუგო. აი, მისმა კონკურენტ(ებ)მა კი დაამუხრუჭეს - პირველ რიგში კი „ბარსელონამ", რომელიც ოდნავ მოკეთებულმა „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა" „ვილიარეალმა" მშრალზე დატოვა - 90 წუთის განმავლობაში „ბარსამ" გოლი ვერ გაიტანა! დღეიდან „რეალი" ჩემპიონს 7 ქულით, ხოლო „ვალენსიას" 16-ით (!), უსწრებს.

■ ■ ■

„ესპანიოლი" აგრძელებს ბრწყინვალე სერიას, თუმცა „მალიორკასთან" კატალონიურმა კლუბმა ძლივს მოიგო. პირველ ტაიმში სტუმრებმა ფატალური შეცდომა დაუშვეს, ებრაელი გოლკიპერი **დუდუ ავატე** ერთ-ერთ მცველს შეასკდა და ბურთი გაუვარდა, იქვე დადარაჯებულმა სლოვაკმა **ვლადიმირ ვეისმა** კარიერაში უიოლესი გოლი გაიტანა. ავატეს მართლაც შავი დღე ჰქონდა „კორნელია ელ პრატზე". მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა მან საჯარიმოს გარეთ **რუი ფონტე** მოცელა. მსაჯმა „მალიორკას" გოლკიპერი მოედნიდან გააძევა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა სამი ქულისთვის მადლობა მეკარე **კიკო კასილიას** უნდა გადაუხადონ, რომელმაც ბელგიელ **მარვინ ოგუნჯიმის** სასწაული თავური აუღო, იმდენად სჯობდა **ჩორი კასტროს** ლიდერობის წყალობით 10-კაციანი გუნდი „ესპანიოლს".

■ ■ ■

მადრიდში ბენეფისი მოიწყო „ბილბაოს" ფორვარდმა **ფერნანდო ლორენტემ**, რომელმაც ხუთმატჩიან თრილერში სტუმართა ყველა გოლი გაიტანა, ანუ ჰეთ თრიკი შეასრულა. ბასკებმა, რომლებიც მატჩის განმავლობაში აგებდნენ კიდეც, 3:2 მოიგეს. 5-დან 4 გოლი პირველ ტაიმში გავიდა. გაგიკვირდებათ და... **მარსელო ბიელსამ** „მირანდესთან" მატჩის წინ რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა! „რაიო" არა მხოლოდ წაგებით დაზარალდა, „ელვებმა" ტრავმების გამო დაკარგეს მეკარე **დანი ხიმენესი** და ვეტერანი ფორვარდი **რაულ ტამუდო**.

■ ■ ■

მე-10 წუთი მიმდინარეობდა, როცა 27 წლის ნახევარმცველმა **ანხელ ლაფიტამ** გვარიანად შეაშინა „სანტიაგო ბერნაბეუ" - **ლუის გარსიამ** სწრაფად გაითამაშა საჯარიმო **კარლოს არანდასთან**, რომელმაც ჩაწოდება აღარ დაახანა და ლაფიტამ ახლო მანძილიდან აჯობა **იკერ კასილიასს**. კლასიკოზე გადაღლილი „რეალი" 0:1-ს აგებდა.

„რეალმა" შტურმი წამოიწყო, მომენტი მომენტზე იქმნებოდა აუტსაიდერთა კართან, თუმცა **კაკას** გოლამდე „სამეფო კლუბს" არაფერი გამოსდიოდა. ბრაზილიელს საგოლე პასი **რიკარდო კარვალიომ** გადააწოდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ჩემპიონატის ბომბარდირმა **კრიშტიანო რონალდომ მესუთ იოზილის** ჩამოწოდებულს „სარაგოსას" კარში მიუჩინა ადგილი. ამაოდ ითხოვდნენ არაგონელები თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებას, თანამსაჯს ალამი არ აუწევია. მალევე იოზილმა თავად გაიტანა და მატჩს წერტილიც აქ დაესვა - 3:1. ამის შემდეგ „სარაგოსა" უფრო აზრიანად უტევდა, კრიშტიანო რონალდო კი ერთხელ ამაოდ ითხოვდა პენალტის დანიშვნას.

ბოლო ოთხი თამაშია, „რეალი" პირველი უშვებს გოლს, ეს კი საშიში სტატისტიკაა. გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე გამორჩეული გერმანელი მესუთ იოზილი იყო, ეს კი „რეალის" გულშემატკივართათვის საიმედო ტენდენციაა.

■ ■ ■

„ბარსას" ცუდ დროს მოუწია „ელ მადრიგალზე" ჩასვლა, „ვილიარეალი", რომელიც, მართალია, კრიზისშია, მაგრამ უუნარო გუნდი სულაც არ არის, თითოეულ ქულისთვის გააფთრებით იბრძვის. ხოსეპ გვარდიოლას გუნდი კი კლასიკომ გამოფიტა, დამაჯერებელთა რიცხვმა იმატა... მოკლედ, ბევრი წინაპირობა იყო, რომ კატალონიელები ქულებს დაკარგავდნენ და ასეც მოხდა. პეპმა შემდეგ სამეულში ადრიანო დააყენა, რომელიც შემდეგ ტელომ შეცვალა. ესეც ექსპერიმენტი იყო, რომელმაც ვერ გაამართლა, ცუდად ითამაშა **სესკ ფაბრეგასმაც**.



ფერნანდო ლორენტე (მარცხნივ) ტურის გმირია ჰეთ თრიკით

ჩემპიონმა განსაკუთრებით პირველ ტაიმში ითამაშა ცუდად, მეორეში კი ბევრი უტია, თუმცა **დიეგო ლოპესმაც** იყოჩაღა და „ბარსას" ფორვარდებიც ცოდავდნენ დასკვნით ფაზაში. პირველ ტაიმში კი „ვილიარეალს" დანინაურებაც კი ჰმართებდა. ერთ ეპიზოდში, რომელიც **პიკეს** უშნო მოგერიებამ გამოიწვია, **ხავიერ მასკერანომ** ცარიელი კარიდან თავით გამოიტანა ბურთი, **ხოსელუს** დარტყმულს კი **ერიკ აბიდალი** გადაეფარა. მეორე ტაიმში, მესის, ფაბრეგასს და სანჩესს რამდენიმე მომენტი შეექმნათ, მაგრამ ამ დღეს „ბარსელონას" გოლის გატანა არ ეწერა...



ტელეეკრანიდან „მოჭრილი" კადრი, ამ ინციდენტმა კინაღამ ტრაგედია დაატრიალა ანოეტაზე

საბრალო **ვიტიენეს ტეიშეირა**! სულ ახლახან იყო, რომ მისი მსაჯობით **ჟოზე მოურინიო** იმდენად იყო უკმაყოფილო, რომ პარკინგზე ჩაუსაფრდა და გვარიანადაც გამოლანძღა. ახლა მისი მსაჯობით „ბარსელონა" დარჩა უკმაყოფილო. პეპი მოურინიოსავით უახლოესი ასი წელიწადი არ მოიქცევა, თუმცა **ლეო მესიმ** რეფერის მიმართ თავს საკმაოდ მწვავე გამონათქვამების უფლება მისცა. სხვათა შორის, ვიტიენესს „მარკამ" 10-ბალიანი სისტემით 2-იანი დაუწერა. ვერაფერს გავაწყობთ, ესპანეთში მსაჯობის დონე ფეხბურთისას გვარიანად ჩამოუვარდება.

■ ■ ■

ტურში ორი ანდალუსიური დერბი იყო, პირველად „ბეტისი" შინ 1:2 დამარცხდა „გრანადასთან". სტუმართა თავკაცმა **აბელ რესინომ** სადებიუტო მატჩშივე მოიგო. რესინო კმაყოფილი იქნებოდა შეგირდების გარჯით, ჯერ ნიგერიელმა **ოდიონ იგჰალომ** გაიტანა, შემდეგ პორტუგალიელმა **კარლუშ მარტინშმა** ორამდე გაზარდა აუტსაიდერთა უპირატესობა. მატჩის მინურულს სიტუაცია გვარიანად დაიძაბა, მას შემდეგ, რაც შეცვლაზე შესულმა **ხონათან პერეირამ** გაიტანა, მაგრამ რეალურ მომენტებამდე საქმე აღარ მისულა.

■ ■ ■

ყოველი შემთხვევისთვის, ჩაბედეთ ამ სტატიას, თუ პ.ს. დართული აქვს, ესე იგი „სპორტინგის" თავკაცი **მანუელ პრესიადო** უკვე მოხსნეს. გუშინ ასტურიელები „ანოეტაზე" 1:5 განადგურდნენ. მართალია, თამაშის შემდეგ პრესიადო ამტკიცებდა, რომ ლა ლიგაში „სპორტინგზე" უარესი გუნდებიც არიან, მაგრამ ცხრილის მიხედვით, ასეთი მხოლოდ ერთია.

„რეალ სოსიედადის" ბასკი შემტევი ნახევარმცველი **დავიდ ზურუტუზა** მოედანზე სულ 7 წუთს იყო, აქედან 2 წუთზე მეტი ლამის უგონოდ ინვა მინდორზე, ფრანგ **გრეგორი არნოლინთან** შეჯახების შემდეგ, თუმცა ზურუტუზამ მაინც ბევრი მოასწრო, დუბლით (გოლები მე-2 და მე-3 წუთებზე გაიტანა!) ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი. ინციდენტს დავუბრუნდეთ, ფეხბურთელები ერთმანეთს თავებით შეასკდნენ და კინაღამ ტრაგედია დატრიალდა, ჯერ ზურუტუზა გაიყვანეს, შემდეგ რამდენიმე წუთში გრეგორიც მას მიჰყვა.

■ ■ ■

თითქოს ლოდი მოაბეს თოკითო, გრძელდება „ლევანტეს" ვარდნა, გუშინ ვალენსიურმა კლუბმა შინ „ხეტაფესთან" დათმო - 1:2. საოცარია, მაგრამ ასეთი წარუმატებელი სერიის მიუხედავად, გუნდის უკუსვლა ჯერ ცხრილზე არ აისახა, „ლევანტე" ისევ მეოთხეა, მაგრამ ფაქტია, **ხუან იგნასიოს** ვეტერანებით დაკომპლექტებულ გუნდს ძალა გამოელია და მარათონს ველარ უძლებს. მადრიდელთაგან თავი **დანი გუისამ და დიეგო კასტრომ** გამოიჩინეს. მატჩის ბოლო წუთზე **იბორას** დარტყმული ხელით მოიგერია **ლოპომ**, რისთვისაც მცველი გააძევეს, ხოლო **რუბენ სუარესმა** პენალტით პრესტიჟის გოლი გაიტანა, მეტის დრო კი უბრალოდ აღარ იყო.

■ ■ ■

ტურში კიდევ ერთი თრილერი „ელ სარდინიეროზე" ვიხილეთ, სადაც „რასინგმა" და „ვალენსიამ" ბევრი იბრძოლეს, მატჩი 10-10 კაცით დაასრულეს, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს - 2:2. სტუმართაგან დუბლი **არიც ადურისმა** შეასრულა. „რასინგი" მარცხისგან თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე თავურით **ბერნარდო სუნიგამ** იხსნა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

**4 თებერვალი:** მალიორკა-ბეტისი, ბილბაო-ესპანიოლი, ლევანტე-რასინგი, ხეტაფე-რეალი, ბარსელონა-რეალ სოსიედადი.

**5 თებერვალი:** სპორტინგი-ოსასუნა, სევილია-ვილიარეალი, სარაგოსა-რაიო ვალეკანო, ატლეტიკო-ვალენსია.

**6 თებერვალი:** გრანადა-მალაგა.

## უცხოური ფეხბურთი

### საფრანგეთი. ლიგა 1. XXI ტური

# შეუძლებელი არაფერია

**ოსერი-ნანსი 1:3**

**გოლები:** 0:1 მოლო (68), 0:2 ნიკულაე (69), 0:3 ნიკულაე (77), 1:3 ე. სისე (82)

**ბრესტი-პარი სენ-ჟერმენი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბიშევაცი (6)

**ლორიანი-სოშო 1:1**

**გოლები:** 1:0 რომაო (63), 1:1 ბაკამბუ (80)

**ლიონი-დიჟონი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბრიანი (8), 1:1 სანხარე (61), 2:1 გომისი (82), 3:1 ლაკაცეტე (90)

**ნიცა-მონპელიე 0:1**

**გოლი:** 0:1 ჟირუ (90)

**ტულუზი-კანი 1:0**

**გოლი:** 1:0 რივიერი (35)

**ლილი-სტ. ეტიენი 3:0**

**გოლები:** 1:0 აზარი (50) პენ, 2:0 რუ (86), 3:0 რუ (87)

**ევიანი-ბორდო 0:0**

**ვალანსიენი-აიაჩო 1:2**

**გოლები:** 0:1 ედუარდო (6), 1:1 აბუბაქარი (48), 1:2 კინკელა (90)

**რენი-მარსელი 1:2**

**გოლები:** 1:0 დუმბია (14), 1:1 აპამი (44) სკ-ში, 1:2 შეირუ (77)

ჩემპიონატის ლიდერი "პარი სენ-ჟერმენი" იმ გუნდს ეწვია, რომელსაც მიმდინარე სეზონში შინ ათ შეხვედრაში წაგება არ ჰქონდა. მასპინძელ გუნდს აფრიკის თასზე გამგზავრებული ფეხბურთელები **აჰმედ** და **მაკონდა კანტარები**, ასევე **ომარ დაფი** აკლდნენ. თავის მხრივ სტუმრებს **სიაკა ტიენე** არ ჰყავდათ. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო განაცხადში არ იყო **ჟერემი მენეზიც**. **კარლო ანჩელოტის** შეგირდები სტატისტიკას არ შეუშინდნენ და მეტოქეს პირველივე წუთებზე თავბრუ დაახვიეს. გოლის მომენტში დედაქალაქელებს ორმაგად გაუმართლათ - გამოცდილი **ჯონათან ზებინა** ტრავმის გამო მინდორს გარეთ იყო. მისი შემცვლელი **ფარიდ ფერაჯი** ჯერ სარბენ ბილიკებზე ხურდებოდა. და რაც მთავარია, **ნენეს** ჩაწოდება **მილან ბიშევაცს** ფეხზე მოხვდა და მეკარისგან შორეული ძელთან ამიტომ გავიდა. გამოცდილმა გოლკიპერმა **სტივ ელანამ** იმედგაცრუებისგან ხელებილა გაშალა. ბუნებრივია, მრავლისმნახველი ზებინას ნაცვლად ფერაჯის გამოსვლამ არც შემდგომ შეუწყო ხელი ბრესტელთა თავდაჯერებულ ასპარეზობას. 24 წლის ფეხბურთელი ხომ არამხოლოდ მიმდინარე სეზონში, არამედ ზოგადად კარიერაში პირველად მონაწილეობდა ლიგა 1-ის შეხვედრაში და შესამჩნევადაც ნერვიულობდა. ამის მიუხედავად მასპინძლებმა ორიოდე ხიფათის მაგვარის შექმნა მაინც შეძლეს. თავის გამოჩენა შეეძლოთ **მარიო ლიკასა** და **ალექსანდრ ალფონსს.**

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მეორე ტაიმი საშინელი სანახავი იყო. პსჟ დაცვაში იმდენად მობილიზებული იყო, რომ მასპინძლებს მომენტების შესაქმნელად კლასი არ ჰყოფნიდათ. აი, რაც შეეხება ფავორიტთა სახელგანთქმულ თავდასხმას, **ხავიერ პასტორეს** არყოფნაში "ლურჯ-წითლების" შემტევები დაბნეულები იყვნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მინიმალური ანგარიშით გამარჯვების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ. ჰოდა, ყოველივედან გამომდინარე შედეგი ლოგიკური იყო. მეტი გოლი აღარ გასულა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 21 | 14 | 4 | 3 | 35-18 | 46 |
| 2. მონპელიე | 21 | 13 | 4 | 4 | 41-23 | 43 |
| 3. ლილი | 21 | 10 | 9 | 2 | 36-21 | 39 |
| 4. ლიონი | 21 | 12 | 2 | 7 | 34-23 | 38 |
| 5. მარსელი | 21 | 10 | 7 | 4 | 31-19 | 37 |
| 6. რენი | 21 | 10 | 5 | 6 | 32-25 | 35 |
| 7. ტულუზი | 21 | 9 | 7 | 5 | 22-20 | 34 |
| 8. სტ. ეტიენი | 21 | 9 | 6 | 6 | 24-24 | 33 |
| 9. ბორდო | 21 | 6 | 9 | 6 | 22-23 | 27 |
| 10. ლორიანი | 21 | 6 | 8 | 7 | 21-24 | 26 |
| 11. ბრესტი | 21 | 4 | 12 | 5 | 20-20 | 24 |
| 12. ევიანი | 21 | 5 | 8 | 8 | 28-32 | 23 |
| 13. ნანსი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-29 | 22 |
| 14. დიჟონი | 21 | 6 | 4 | 11 | 24-39 | 22 |
| 15. აიაჩო | 21 | 5 | 6 | 10 | 24-38 | 21 |
| 16. ვალანსიენი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-25 | 20 |
| 17. კანი | 21 | 5 | 5 | 11 | 24-32 | 20 |
| 18. ოსერი | 21 | 4 | 7 | 10 | 28-35 | 19 |
| 19. სოშო | 21 | 4 | 7 | 10 | 22-36 | 19 |
| 20. ნიცა | 21 | 4 | 6 | 11 | 21-25 | 18 |

**ბომბარდირები:** 15 – ოლივიე ჟირუ (მონპელიე), 9-9 - ნენე, კევინ გამეირო (ორივე პარი სენ-ჟერმენი), ლოიკ რემი (მარსელი), 8-8 დენის ოლიეჩი (ოსერი), ჟირეს ეკოკო (რენი), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი), ბრაის ჟოვიალი, ბენჟამინ კორნე (ორივე დიჟონი), ედენ აზარი (ლილი)

### ბელგია

ჟუპილერლიგა. XXIII ტური

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 0:0 |
| გენტი-ს. ეტიენი | 6:0 |
| კორტრიიკი-ვარეგემი | 0:0 |
| ლოკერენი-მეხელენი | 3:2 |
| გენკი-ლოივენი | 5:0 |
| ვესტერლო-ლიერსი | 0:2 |
| სერკლ ბრიუგე-სტანდარდი | 0:1 |
| მონსი-ბრიუგე | 0-2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 23 | 15 | 5 | 3 | 44-19 | 50 |
| 2. გენტი | 23 | 13 | 4 | 6 | 50-25 | 43 |
| 3. ბრიუგე | 23 | 13 | 4 | 6 | 37-25 | 43 |
| 4. სტანდარდი | 23 | 11 | 8 | 4 | 32-25 | 41 |
| 5. კორტრიიკი | 23 | 11 | 5 | 7 | 28-22 | 38 |
| 6. გენკი | 23 | 10 | 7 | 6 | 46-31 | 37 |
| 7. სრ. ბრიუგე | 23 | 9 | 7 | 7 | 29-28 | 34 |
| 8. მეხელენი | 23 | 8 | 6 | 9 | 34-41 | 30 |
| 9. ბეერსხოტი | 23 | 7 | 8 | 8 | 34-33 | 29 |
| 10. მონსი | 23 | 7 | 7 | 9 | 39-42 | 28 |
| 11. ლოკერენი | 23 | 6 | 9 | 8 | 31-34 | 27 |
| 12. ლიერსი | 23 | 5 | 9 | 9 | 20-30 | 24 |
| 13. ლოივენი | 23 | 5 | 7 | 11 | 27-44 | 22 |
| 14. ვარეგემი | 23 | 3 | 12 | 8 | 21:29 | 21 |
| 15. ვესტერლო | 23 | 4 | 5 | 14 | 21-39 | 17 |
| 16. სტ. ტრუიდენი | 23 | 2 | 7 | 14 | 25-51 | 13 |

**ლევან ბიბილაშვილი**

### პორტუგალია. ლიგა საგრეში. XVII ტური



# მარცხი თითქმის 2 წლის შემდეგ

2010 წლის 1 მარტს, რომ განადგურდა „სპორტინგთან" (0:3) მას მერე „პორტუს" ლიგა საგრეშში არ წაუგია, თვეც და ორი წელიწადი შესრულდებოდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, წუხელ „პორტუ" „ჟილ ვისენტესთან" 1:3 დამარცხდა. აქამდე სეზონში პორტუგალიის ჩემპიონს 9 გოლი ჰქონდა მიღებული, ახლა კი ერთ თამაშში 3 გაუშვა. ამ სენსაციური მარცხის შემდეგ „ბენფიკას" უპირატესობა 5-ქულიანი გახდა, ახლა მხოლოდ ლისაბონური გრანდია სეზონში დაუმარცხებელი.

„პორტუს" დამარცხებაში ლომის წილი 34 წლის ბრაზილიელმა მცველმა **კლაუდიომ** დაიდო, რომელმაც დუბლი შეასრულა, გოლიც 33 წლის ნახევარმცველ **ანდრე კუნიას** ანგარიშზეა.

**გიმარაეში-ნასიონალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ედგარ სილვა (78-პენ)

**რიუ ავე-აკადემიკა 0:0**

**გაძევება:** ფერეირა (80. აკადემიკა)

**ფეირენსე-ბენფიკა 1:2**

**გოლები:** 1:0 ვარელა (50), 1:1 ვარელა (54 ს.კ.), 1:2 კარდოსო (73-პენ)

**ლეირია-ფერეირა 2:4**

**გოლები:** 1:0 ოგუ (7), 1:1 ჟოზე (25), 1:2 ჟოზე (28), 2:2 ოგუ (45), 2:3 მიჩელი (50), 2:4 მიჩელი (75)

**სპორტინგი-ბეირა მარი 2:0**

**გოლები:** 1:0 ონიეუ (18), 2:0 ონიეუ (27)

**ჟილ ვისენტე-პორტუ 3:1**

**გოლები:** 1:0 კლაუდიო (14), 2:0 კლაუდიო (45-პენ), 3:0 კუნია (52), 3:1 ვარელა (76)

**სეტუბალი-ოლანენსე 2:3**

**გოლები:** 1:0 მეიონგი (4-პენ), 2:0 ალეშანდრე (10 ს.კ.), 2:1 იონტშა (23), 2:2 იონტშა (27), 2:3 ისმაილი (78)

**დღეს**

მარიტიმუ-ბრაგა 00:15

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 17 | 14 | 3 | 0 | 43-14 | 45 |
| 3. პორტუ | 17 | 12 | 4 | 1 | 38-12 | 40 |
| 3. ბრაგა | 16 | 10 | 4 | 2 | 30-15 | 34 |
| 4. სპორტინგი | 17 | 9 | 5 | 3 | 29-14 | 32 |
| 5. მარიტიმუ | 16 | 8 | 5 | 3 | 23-19 | 29 |
| 6. გიმარაეში | 17 | 7 | 2 | 8 | 23-19 | 23 |
| 7. ოლანენსე | 17 | 5 | 6 | 6 | 20-22 | 21 |
| 8. აკადემიკა | 17 | 5 | 5 | 7 | 18-20 | 20 |
| 9. ჟილ ვისენტე | 17 | 4 | 7 | 6 | 17-27 | 19 |
| 10. ნასიონალი | 17 | 5 | 4 | 8 | 16-27 | 19 |
| 11. ბეირა მარი | 17 | 4 | 4 | 9 | 14-16 | 16 |
| 12. რიუ ავე | 17 | 4 | 3 | 10 | 14-23 | 15 |
| 13. ფეირენსე | 17 | 3 | 6 | 8 | 12-24 | 15 |
| 14. ფერეირა | 17 | 4 | 3 | 10 | 20-35 | 15 |
| 15. ლეირია | 17 | 4 | 2 | 11 | 18-33 | 14 |
| 16. სეტუბალი | 17 | 3 | 5 | 9 | 14-29 | 14 |

**ბომბარდირები:** 13 - კარდოსო (ბენფიკა); 10 - დიავარა (მარიტიმუ); 9 - ედგარ სილვა (გიმარაეში), ლიმა (ბრაგა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ჰოლანდია. ერედივიზიონი. XIX ტური

**პსვ-ვიტესი 3:1**

**გოლები:** 1:0 მატავუჟი (31), 2:0 მერტენსი (76), 2:1 პავენაარი (84), 3:1 მანოლევი (90).

**ჰეერენვენი-უტრეხტი 2:0**

**გოლები:** 1:0 დოსტი (12) 2:0 გოუველეუვი (14).

**ჰერაკლესი-ექსელსიორი 3:0**

**გოლები:** 1:0 რიენსტრა (18), 2:0 კუანშა (27), 3:0 პლეტი (49).

**ბრედა-დე გრააფსხაპი 1:1**

**გოლები:** 0:1 ლეეუვი (8), 1:1 ლურლინგი (12).

**როდა-ალკმაარი 2:0**

**გოლი:** 1:0 მალკი (10), 2:0 იანკერი (33).

**ფეიენოორდი-აიაქსი 4:2**

**გოლები:** 0:1 ერიკსენი (19), 1:1 გუიდეტი (30-პენ.), 2:1 გუიდეტი (41), 3:1 ბაკალი (50), 3:2 ბულიკინი (80), 4:2 გუიდეტი (83).

**ტვენტე- გრონინგენი 4:1**

**გოლები:** 1:0 იონგი (14), 2:0 იონგი (23), 2:1 დიკი (47), 3:1 იონგი (58), 4:1 ფერი (66).

**ვაალვიკი-ვენლო 4:0**

**გოლები:** 1:0 შნო (28 პენ.), 2:0 მოსელველდი (32), 3:0 ბრაბერი (80), 4:0 ვოორდე (90).



**ნიიმეგენი-დენ ჰააგი 2:0**

**გოლები:** 1:0 შონე (8), 2:0 შონე (17-პენ.).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 19 | 12 | 5 | 2 | 52-21 | 41 |
| 2. ტვენტე | 19 | 11 | 6 | 2 | 52-19 | 39 |
| 3. ალკმაარი | 19 | 12 | 3 | 4 | 37-18 | 39 |
| 4. აიაქსი | 19 | 9 | 7 | 3 | 49-28 | 34 |
| 5. ჰეერენვენი | 19 | 9 | 7 | 3 | 43-28 | 34 |
| 6. ფეიენოორდი | 19 | 10 | 4 | 5 | 39-26 | 34 |
| 7. ვიტესი | 19 | 8 | 5 | 6 | 24-20 | 29 |
| 8. გრონინგენი | 19 | 8 | 5 | 6 | 32-33 | 29 |
| 9. როდა | 19 | 9 | 1 | 9 | 34-41 | 28 |
| 10. ჰერაკლესი | 19 | 6 | 5 | 8 | 31-27 | 23 |
| 11. ნიიმეგენი | 19 | 7 | 2 | 10 | 20-27 | 23 |
| 12. ბრედა | 19 | 6 | 4 | 9 | 25-32 | 22 |
| 13. დენ ჰააგი | 19 | 6 | 4 | 9 | 25-36 | 22 |
| 14. ვაალვიკი | 19 | 6 | 3 | 10 | 21-33 | 21 |
| 15. უტრეხტი | 19 | 4 | 6 | 9 | 29-38 | 18 |
| 16. დე გრააფსხაპი | 19 | 3 | 4 | 12 | 17-42 | 13 |
| 17. ვენლო | 19 | 3 | 4 | 12 | 18-47 | 13 |
| 18. ექსელსიორი | 19 | 2 | 5 | 12 | 12-44 | 11 |

**ბომბარდირები:** 17 – დოსტი (ჰეერენვეენი); 15 – დე იონგი (ტვენტე); 14 - გუიდეტი (ფეიენოორდი), მერტენსი (პსვ); 12 – შანჰარიდ მალკი (როდა).

**ლაშა წიკლაური**

### თურქეთი. სუპერლიგა. XXIII ტური

**ანთალია-გენჩლერბირლიგი 2:2**

**გოლები:** 1:0 გიოქჩექი (14), 1:1 მერიჩი (45-პენ), 2:1 ათესი (82), 2:2 თუმი (87)

**ბურსა-გალათასარაი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბატალია (50)

**ქარაბიუქი-მანისა 2:1**

**გოლები:** 0:1 ერდოლანი (51), 1:1 ილდიზი (70), 2:1 ჩერნატი (90-პენ)

**ესქიშეჰირი-ორდუ 0:1**

**გოლი:** 0:1 სტანჩუ (55)

**სამსუნი-ბუიუქშეჰირი 2:4**

**გოლები:** 0:1 დეპე (43), 0:2 იალჩინი (52), 0:3 მადურეირა (72), 1:3 ა. დომინგესი (82), 1:4 ვებო (84), 2:4 გეკასი (90)

**გაზიანთეფი-სივასი 2:1**

**გოლები:** 0:1 ენერამო (30), 1:1 კილიჩი (52-საკ. კარში), 2:1 დემირი (74)

**ანკარაგიუჯუ-ტრაბზონი 0:4**

**გოლები:** 0:1 ადინი (13), 0:2 ბ. ილმაზი (57), 0:3 დოლანი (77-საკ. კარში), 0:4 ბ. ილმაზი (78)

**ფენერბაჰჩე-მერშინი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბიენვენიუ (8), 2:0 შტოხი (39), 2:1 ოზუკვო (57)

ქაისერი-ბეშიქთაში დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 23 | 15 | 5 | 3 | 44-16 | 50 |
| 2. ფენერბაჰჩე | 23 | 14 | 6 | 3 | 38-21 | 48 |
| 3. ბეშიქთაში | 22 | 13 | 6 | 3 | 35-21 | 45 |
| 4. ტრაბზონი | 23 | 11 | 6 | 6 | 41-25 | 39 |
| 5. გენჩლერბირ. | 23 | 10 | 7 | 6 | 34-28 | 37 |
| 6. სივასი | 23 | 10 | 7 | 6 | 38-34 | 37 |
| 7. ბუიუქშეჰირი | 23 | 9 | 6 | 8 | 32-33 | 33 |
| 8. ესქიშეჰირი | 23 | 9 | 5 | 9 | 22-25 | 32 |
| 9. ბურსა | 23 | 7 | 8 | 8 | 26-25 | 29 |
| 10. ქაისერი | 22 | 9 | 2 | 11 | 24-26 | 29 |
| 11. ანთალია | 23 | 7 | 7 | 9 | 20-23 | 28 |
| 12. ორდუ | 23 | 7 | 7 | 9 | 20-26 | 28 |
| 13. მერშინი | 23 | 7 | 6 | 10 | 23-26 | 27 |
| 14. გაზიანთეფი | 23 | 6 | 8 | 9 | 22-26 | 26 |
| 15. მანისა | 23 | 6 | 8 | 9 | 22-26 | 26 |
| 16. ქარაბიუქი | 23 | 6 | 3 | 14 | 27-41 | 21 |
| 17. სამსუნი | 23 | 3 | 8 | 12 | 20-36 | 17 |
| 18. ანკარაგიუჯუ | 23 | 2 | 5 | 16 | 17-47 | 11 |

**ბომბარდირები:** 23 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 10 – თუმი (გენჩლერბირლიგი); 9 -ვებო (ბუიუქშეჰირი).

**გოტფრიდ ლენცი**



## ჰანოვერი–ნიურნბერგი 1:0

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩერუნდოლო, ეგიმანი, პოგატეცი, პანდერი – შმიდებახი, პინტუ (92. ჩაჰედი) – შტინდლი, რაუში – შლაუდრაფი (84. შტოპელკამპი), აბდელაუ (89. სობიეხი).

**ნიურნბერგი (4-2-2-2):** რ. შეფერი – ფოილნერი, მარო, ვოლშაიდი, ჰლუშეკი – კოენი (46. პეკჰარტი), სიმონსი – დიდავი, ჰეგელერი – აიგლერი (73. ბუნიაკუ), ესვაინი (82. ფრანტცი).

**გოლი:** 1:0 აბდელაუ (18)

**გაფრთხილება:** აბდელაუ, შლაუდრაფი, პინტუ – ვოლშაიდი, აიგლერი

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 21-17; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 13(3)-10(1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 35 400

## ვერდერი–ლევერკუზენი 1:1

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – ფრიტცი, აფოლტერი, სოკრატისი, ჰართერცი – ბარგფრედე – იგნიოვსკი, თრაიბული (77. ვესლი) – ექიჩი (63. ფიულკრუგი) – პისარო, როზენბერგი.

**ლევერკუზენი (4-1-2-1-2):** ლენო – და კოშტა (46. კოშტა), შვააბი, მ. ფრიდრიხი, კადლეცი – რაინარტცი – კასტრო, როლფესი – ლ. ბენდერი – კისლინგი, შიურლე.

**გოლები:** 1:0 პისარო (29), 1:1 რაინარტცი (57)

**გაფრთხილება:** როზენბერგი, იგნიოვსკი, ბარგფრედე – კასტრო, კადლეცი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 16(4)-13(7); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 40 060

## ჰერტა–ჰამბურგი 1:2

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, იანკერი (22. მიატოვიჩი), კობიაშვილი – ოტლი (75. რონი), ლუსტენბერგერი – ებერტი, რამოსი, თორუნი (46. ნიმაიერი) – ლასოგა.

**ჰამბურგი (4-2-2-1-1):** დრობნი – დიკმაიერი, ბრუმა, ვესტერმანი, აოგო – რინკონი, იაროლიმი – სალა (93. სონი), იანსენი (91. რაიკოვიჩი) – პეტრიჩი (85. კაჩარი) – გერერო.

**გოლები:** 0:1 იანსენი (24), 0:2 პეტრიჩი (45+1), 1:2 ლასოგა (81)

**გაფრთხილება:** მიატოვიჩი, ნიმაიერი, ლელი - რინკონი

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 19-30; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 18(3)-13(5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 49 168

## აუგსბურგი–კაიზერსლაუტერნი 2:2

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში – ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, ს. ლანგკამპი, დე იონგი – ჰოსოგაი, ბრინკმანი – ბაიერი, იორლი, ვერნერნი (77. მ. ნდიენგი) – მიოლდერსი (65. ს. ჰაინი).

**კაიზერსლაუტერნი (4-4-2):** ტრაპი – დიკი, შიმუნეკი, როდნი, ბუგერა – შაჰანი, ტიფერტი, კირხი (70. პეცოსი), ფორტუნისი (85. იორგენსენი) – სვიერჩოკი (74. სუკუტა-პასუ), ვაგნერი.

**გოლები:** 1:0 დე იონგი (5), 1:1 დიკი (25), 1:2 დიკი (48), 2:2 ს. ჰაინი (65)

**გაფრთხილება:** დე იონგი, ბრინკმანი – სვიერჩოკი, ვაგნერი, ფორტუნისი, იორგენსენი

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 15(5)-15(8); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 30 028

## ბორუსია (დ)–ჰოფენჰაიმი 3:1

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიუჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, კელი – ბლაშჩიკოვსკი (77. პერიშიჩი), კაგავა, გროსკროიტცი (85. გიუნდოგანი) – ლევანდოვსკი (77. ბარიოსი).

**ჰოფენჰაიმი (4-3-2-1):** შტარკე – ბეკი, ვილიამსი, ვესტერგაარდი, ბრააფჰაიდი – ვაისი, რუდი (79. მუსონა), სალიჰოვიჩი – ჯონსონი (77. მლაპა), რობერტო ფირმინიო – ბაბელი.

**გოლები:** 1:0 კაგავა (16), 2:0 გროსკროიტცი (31), 3:0 კაგავა (55), 3:1 ჯონსონი (63)

**გაფრთხილება:** ს. ბენდერი – ვაისი, ბრააფჰაიდი, ბეკი, ბაბელი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 13-23; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 18(9)-8(5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 80 500

## ბაიერნი–ვოლფსბურგი 2:0

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია, ბოატენგი, ბადშტუბერი, ლამი – შვაინშტაიგერი, კროოსი – რობენი, თ. მიულერი (66. ლუის გუსტავო), რიბერი (89. ალაბა) – გომესი (75. ოლიჩი).

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო – ტრეში, რუსი, ფელიპე ლოპესი, როდრიგესი – კრისი (41. კოო) – ჰასებე (82. პოლტერი), მ. შეფერი – ირჟაჩეკი (66. სიო) – დეჟაგა, მანჯუკიჩი.

**გოლები:** 1:0 გომესი (60), 2:0 რობენი (92)

**გაფრთხილება:** რაფინია – რუსი, ჰასებე

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 9(7)-8(0); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 69 000

## კიოლნი–შალკე 1:4

**კიოლნი (4-2-2-1-1):** რენზინგი – სერენო, მაკენა (69. ბრეჩკო), ჟერომელი, აიხნერი – რიტერი, იაიალო – კლემენსი (69. როში), პეჟკო (82. ლანიგი) – პოდოლსკი – ნოვაკოვიჩი.

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – უჩიდა (46. ხურადო), პაპადოპულოსი, მეტცელდერი, ფუხსი – ჰიოგერი, მატიპი – ობასი, მარიკა (83. მორიტცი), დრაქსლერი (86. პუკი) – ჰუნტელაარი.

**გოლები:** 1:0 პოდოლსკი (4), 1:1 მარიკა (60), 1:2 მარიკა (72), 1:3 ჰუნტელაარი (78-პენ), 1:4 ჰიოგერი (82)

**გაძევება:** ბრეჩკო (78. კიოლნი)

**გაფრთხილება:** ჟერომელი – უჩიდა, მატიპი

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 11-21; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 6(3)-11(6); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 50 000

## მაინცი–ფრაიბურგი 3:1

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო – პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, ზაბავნიკი – პოლანსკი (78. კირხჰოფი), სოტო – მ. კალიგიური (90. ბაუმგარტლინგერი), ნ. მიულერი – სალაი (65. ილმაზი), ჩუპო-მოტინგი.

**ფრაიბურგი (4-2-2-1-1):** ბაუმანი – ზორგი, კრმასი, დიანიე, ლუმბი – გინტერი, მაკიადი – შმიდი, დ. კალიგიური (81. ფრაისი) – როზენტალი (76. რაიზინგერი) – იენდრიშეკი (7. ფერატი).

**გოლები:** 1:0 ჩუპო-მოტინგი (3), 2:0 პოლანსკი (6-პენ), 3:0 ჩუპო-მოტინგი (17), 3:1 კრმასი (68)

**გაძევება:** დიანიე (4. ფრაიბურგი)

**გაფრთხილება:** ნოვესკი, ბუნგერტი – გინტერი, შმიდი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 18(10)-5(1); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 30 938

## შტუტგარტი–ბორუსია (მ) 0:3

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ულრაიხი – რიუდიგერი (79. ჰოლცჰაუზერი), ტასკი, მასა, მოლინარო – კვისტი, კუჟმანოვიჩი (46. ოკაზაკი) – ჰარნიკი (68. შიბერი), ჰაინალი – იბიშევიჩი, კაკაუ.

**ბორუსია /მ/ (4-2-3-1):** ტერ შტეგენი – იანტშკე, შტრანცლი, დანტე, ვენდტი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი (85. მარქსი), არანგო – როისი (89. ლეკიე), ჰანკე (53. დე კამარგო).

**გოლები:** 0:1 ჰანკე (31), 0:2 როისი (81), 0:3 დე კამარგო (84)

**გაფრთხილება:** ნორდტვეიტი (ბორუსია /მ/)

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14(5)-18(8); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 53 600

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 19 | 13 | 1 | 5 | 46:13 | 40 |
| 2. ბორუსია (დ) | 19 | 12 | 4 | 3 | 43:14 | 40 |
| 3. შალკე | 19 | 13 | 1 | 5 | 45:24 | 40 |
| 4. ბორუსია (მ) | 19 | 12 | 3 | 4 | 31:12 | 39 |
| 5. ვერდერი | 19 | 9 | 4 | 6 | 31:32 | 31 |
| 6. ლევერკუზენი | 19 | 8 | 6 | 5 | 26:25 | 30 |
| 7. ჰანოვერი | 19 | 6 | 9 | 4 | 21:24 | 27 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 19 | 6 | 5 | 8 | 20:22 | 23 |
| 9. ვოლფსბურგი | 19 | 7 | 2 | 10 | 24:36 | 23 |
| 10. შტუტგარტი | 19 | 6 | 4 | 9 | 24:26 | 22 |
| 11. ჰამბურგი | 19 | 5 | 7 | 7 | 24:33 | 22 |
| 12. მაინცი | 19 | 5 | 6 | 8 | 27:33 | 21 |
| 13. ნიურნბერგი | 19 | 6 | 3 | 10 | 19:29 | 21 |
| 14. კიოლნი | 19 | 6 | 3 | 10 | 28:40 | 21 |
| 15. ჰერტა | 19 | 4 | 8 | 7 | 25:30 | 20 |
| 16. კაიზერსლ. | 19 | 3 | 9 | 7 | 15:23 | 18 |
| 17. აუგსბურგი | 19 | 3 | 7 | 9 | 17:31 | 16 |
| 18. ფრაიბურგი | 19 | 4 | 4 | 11 | 23:42 | 16 |

**ბომბარდირები:** 17 – გომესი (ბაიერნი); 16 – ჰუნტელაარი (შალკე); 15 – პოდოლსკი (კიოლნი); 14 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 13 – პისარო (ვერდერი); 12 – როისი (ბორუსია /მ/); 10 – აბდელაუ (ჰანოვერი), რაული (შალკე).

### III ბუნდესლიგა

რეგენსბურგი-ოსნაბრიუკი (გადაიდო), ერფურტი-შტუტგარტი II 3:1, ბურგჰაუზენი-ვერდერი II 3:1, ზაარბრიუკენი-ბაბელსბერგი 2:2, მიუნსტერი-კარლ ცაისი (გადაიდო), ჰაიდენჰაიმი-ობერჰაუზენი 1:0, ოფენბახი-ხემნიტცი 0:1, ზანდჰაუზენი-უნტერჰახინგი 3:1, არმინია-დარმშტადტი 3:2, ვეენი-აალენი 1:3.

**გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტური**



მარიო გომესის გოლი „ვოლფსბურგის" კარში

# წავიდნენ, გაფრინდნენ...

## მოწინავე ოთხეული შეუჩერებელია და თუ ასე გაგრძელდა, გლადბახს ჩემპიონთა ლიგაში ვნახავთ

არავითარი წაფორხილება: შაბათს, ბუნდესლიგის სამივე ლიდერმა მოიგო. დავიწყოთ „ბაიერნით", რომელიც ბურთების უკეთესი სხვაობის გამო „დორტმუნდს" და „შალკეს" მაინც სჯობს: მიუნხენში შვებით ამოისუნთქეს! მართალია, რეკორდმაისტერმა „ვოლფსბურგთან" ვერ გაიბრწყინა (2:0), მაგრამ რაც მთავარია, ბავარიელებმა გულისყურით ითამაშეს და შედეგიც მიიღეს. ეს გამარჯვება **იუპ ჰაინკესის** გუნდს სამი ქულის გარდა, თავდაჯერებისთვისაც სჭირდებოდა, რადგან „გლადბახთან" 1:3-ის შემდეგ „ბაიერნში" ბევრს შეეპარა ეჭვი.

**თომას მიულერმა** და **ტონი კროოსმა** აღიარეს, რომ იმ წაგების შემდეგ მთელი გუნდი მძიმე წნეხის ქვეშ იყო მოქცეული და რომ ზეწოლა რეკორდმაისტერს უშუალოდ „ვოლფსბურგთან" მატჩის დროსაც დაეტყო. კროოსმა სულაც პირობა დადო, მომდევნო შეხვედრებში უფრო მოვუმატებთო. ეს აუცილებელიცაა, რადგან „ბაიერნი" აშკარად არ არის ისეთ ფორმაში, როგორზეც შეკრების შემდეგ იყო ლაპარაკი.

ანგარიში **მარიო გომესმა** მხოლოდ მე-60 წუთზეღა გახსნა და ეს მისი რიგით მე-17 გოლი გახლდათ ამ სეზონში. მიუხედავად ამისა, გომესი საფინალო სასტვენის შემდეგ მაინც უკმაყოფილო ჩანდა და არც დაუმალავს, მე-19 წუთზე ისეთი მომენტი ვერ გამოვიყენე, რომ კმაყოფილების მიზეზი არ მაქვსო. ისე, მიუნხენელებმა მერეც დიდხანს ინერვიულეს, რადგან **არიენ რობენმა** მეორე გოლი მხოლოდ 92-ე წუთზეღა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელმა საკმაოდ კურიოზული გოლი გაიტანა: **ფელიპე** მოგერიებას ცდილობდა, ბურთი რობენს მოხვდა და **ბენალიოს** კარში აღმოჩნდა.

რობენმა თქვა, ცოტა არ იყოს, ზანტი ფეხბურთი ვითამაშეთ და ამ მხრივ აუცილებლად უნდა გამოვსწორდეთ, თუმცა „გლადბახთან" მატჩის შემდეგ პროგრესი აშკარააო. რეკორდმაისტერის თავკაცი ჰაინკესი კი რეკორდსმენი გახდა: თუ მის საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერას შევაერთებთ, „დონ იუპს" ბუნდესლიგაში უკვე 456 მატჩი აქვს მოგებული. აქამდე ეს რეკორდი **ოტო რეჰაგელს** (455 მოგება) ეკუთვნოდა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ შეხვედრის დასაწყისში მიუნხენელები მართლაც იმდენად ზანტად თამაშობდნენ, რომ 35-ე წუთზე პუბლიკამ „ბაიერნს" სტვენა აუტეხა, რამაც **ჟერომ ბოატენგი** გააბრაზა – აჯობებს, რთულ მომენტში მხარი დაგვიჭირონ ხოლმე, სტვენაზე ადვილი არაფერიაო.

რაც შეეხება „ვოლფსბურგს", რომელმაც მიუნხენში 15 თამაშიდან მე-14 წააგო: „მგლებმა" რეკორდმაისტერს ზომიერი აგრესიისა და მონდომების მეტი ვერაფერი დაუპირისპირეს. შესაბამისად, იმედგაცრუებული იყო **ფელიქს მაგათიც**. „დესპოტი ფელიქსი" ყველაზე მეტად **მარიო მანჯუკიჩის** (8 გოლი მიმდინარე სეზონში) განცხადების გამო განრისხდებოდა – ხორვატმა თავდამსხმელმა გერმანელ ჟურნალისტებს კითხვაზე, უნდა თუ არა „ვოლფსბურგში" დარჩენა, არაფერი უპასუხა...

■ ■ ■

„ჰოფენჰაიმი" „დორტმუნდისთვის" უძლეველი მეტოქე აღარ არის – BVB „ჰოფეს" საკუთარ კედლებში ვერაფრით უგებდა, ამჯერად კი ძალიან მარტივად, 3:1 დაამარცხა. მართალია, ანგარიში ისე აღარ ყვირის, როგორც „ჰამბურგთან" 5:1 (წინა ტურში) ყვიროდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ **იურგენ კლოპის** ბიჭებმა ისევ ძალიან კარგად ითამაშეს და **მარიო გიოტცეს** არყოფნა არც ამჯერად დაეტყოთ. თავად კლოპმა კი ისევ გამოავლინა ფსიქოლოგის ნიჭი და შეგირდების ქებით თავი არ მოუკლავს. *„იყო მომენტები, როცა ბიჭები დუნდებოდნენ და ასეთ დროს ჩვენს კართან ხიფათი იქმნებოდა. შესვენებაზეც ვთქვი, 90 პროცენტი კარგია, მაგრამ იმ 10 პროცენტის დროს „ჰოფენჰაიმი" მწარედ იკბინება-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ 3:0-ს ვიგებდით, გოლი მაინც არ უნდა გაგვეშვა,"* - განაცხადა იურგენმა.

ჰო, დორტმუნდელებს ყველაფერი იდეალურად არ გამოსდიოდათ, მაგრამ რაც გამოსდიოდათ, ბრწყინვალე იყო! ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „ბორუსია" გიოტცეს გარეშეც ახერხებს წარმატების მიღწევას – ნახევარდაცვაში **კაგავას, ბლაშჩიკოვსკისა** და **გროსკროიტცის** შემტევი ტრიო შეუდარებელი იყო. ისინი „ჰოფენჰაიმის" უკანახაზელებს მუდმივად წნეხის ქვეშ ამყოფებდნენ. გიოტცეს არყოფნაში, კაგავამ გაიხსენა „ძველი" დრო – იაპონელი ყველგან იყო და გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა შეტევაში მონაწილეობდა, დუბლიც შეასრულა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს მატჩი დორტმუნდის რიგებში **ლუკას ბარიოსისთვის** უკანასკნელი გახლდათ. კლოპმა ლუკასი მოედანზე 77-ე წუთზე შეუშვა და სანამ ბარიოსი **ლევანდოვსკის** შეცვლიდა, ჩვეულებრივზე დიდხანს ჩაიკრა გულში. ლუკასს „დორტმუნდიდან" წასვლა უნდა, სატრანსფერო ფანჯარა კი სამშაბათს იხურება. „ბორუსიას" მენეჯერი **მიხაელ ცორკი** ამბობს, ბარიოსის მსურველებს ჩვენთვის მისაღები პირობების შემოსათავაზებლად კიდევ ორი დღე აქვთო.

■ ■ ■

თუ „დორტმუნდი" გიოტცეს გარეშეც ახერხებს მოგებას, „შალკე" **ურაულოდ** იმარჯვებს! „ბაიერნს" და „ბორუსიას" შაბათს არც გელზენკირხენელები ჩამორჩნენ, „კიოლნში" მსუყე ანგარიშით (4:1) მოიგეს და მათაც 40 ქულა აქვთ. არადა, ლიდერთაგან წაფორხილებას პირველ რიგში სწორედ **ჰუუბ სტევენსის** გუნდს უწინასწარმეტყველებდნენ – ჯერ ერთი, „კიოლნი" საკუთარ მოედანზე ყველასათვის „კერკეტი კაკალია" და თანაც, „შალკეს" ამ მატჩს სერიოზული საკადრო პრობლემებით შეხვდა.

1:4 „თხებისთვის" ძალიან მწარე ანგარიშია! არადა, ამ მატჩს **მიხაელ შუმახერი** დაესწრო, რომელიც „კიოლნის" ნევრი და ქომაგია. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო: კიოლნელები **ლუკას პოდოლსკის** გოლით იგებდნენ და დაახლოებით ერთი საათის მანძილზე სჯობდნენ „შალკეს". მერე კი, ბოლო ნახევარ საათში „კაპიტან პოლდის" გემი უსწრაფესი ტემპით ჩაიძირა.

რაულის არყოფნაში, „შალკეს" გმირად რუმინელი **ჩიპრიან მარიკა** მოევლინა. ბევრი ფიქრობდა, რომ სტევენსი ტრავმირებული ესპანელის ადგილზე მის თანამემამულე **ხურადოს** ათამაშებდა, მაგრამ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და **კლაას-იან ჰუნტელაარის** უკან მარიკა გაამწესა. მატჩში გარდატეხა სწორედ ამ უკანასკნელმა შეიტანა: ჯერ იყო და, მე-60 წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მერე კი, 12 წუთში დუბლი გაიფორმა და „შალკე" წინ გაიყვანა. საფინალო სასტვენის შემდეგ რუმინელი თავდამსხმელი სტევენსის მადლიერი იყო და პირობა დადო, რომ ის და მისი თანაგუნდელები პირველი ადგილისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გელზენკირხენელებმა ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგეს და ამ სეზონში ისეთ მატჩებშიც იმარჯვებენ, სადაც მთელი ერთი საათი ცუდად გამოიყურებიან, მართლაც არაა გამორიცხული, რომ ნახევარსაუკუნიანი პაუზის შემდეგ „შალკემ" მართლაც გამოჰკრას ხელი „ვერცხლის სინს".

რაც შეეხება „კიოლნს": „თხები" გასავარდნ ზონას უკვე „სათოფეზე" მიუახლოვდნენ, რის გამოც პოდოლსკის მოთმინების ფიალა აევსო – მიუხედავად იმისა, რომ მე-15 გოლი გაიტანა და თავისივე რეკორდს უფრო და უფრო აუმჯობესებს, „პრინცი" ძალიან უკმაყოფილო იყო და ისეთი რამ წამოსცდა, „კიოლნის" ქომაგებს რომ აანერვიულებს – ხომ ვამბობდი, ჩვენი საშველი არაა, „კიოლნი" განწირულია იმისათვის, რომ სულ მე-10 და მე-18 ადგილებს შორის იტრიალოსო. ეს ნამდვილად არაა იმ კაცის სიტყვები, ვისაც გუნდთან კონტრაქტის გაგრძელება უნდა...

■ ■ ■

სადაც, „ბაიერნი", „დორტმუნდი" და „შალკე" თავისას დაიკვეხნიან, იქ არც „გლადბახი" უნდა დაივიწყონ! „მეორე ბორუსიას" შეჩერება ვერც „შტუტგარტმა" შეძლო (მერე რა, რომ შვაბებს ვედად **იბიშევიჩის** სახით ახალი ფორვარდი ჰყავთ). თუმცა რომელ შეჩერებაზეა ლაპარაკი, „გლადბახმა" „შტუტგარტი" მისსავე „მერსედეს-ბენც-არენაზე" შეარცხვინა (0:3). ასე რომ, გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ისევე უკიდურესად დაძაბული რჩება, როგორც ამ ტურამდე იყო.

„ვერდერმა" და „ლევერკუზენმა" ქულები გაიყვეს (1:1) და მოწინავე ოთხეულს უფრო ჩამოშორდნენ. ახლა მეხუთე ადგილზე მყოფი ბრემენელები „გლადბახს" უკვე 8 ქულით ჩამორჩებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მიონხენგლადბახელები უკვე ძალიან ახლოს არიან ჩემპიონთა ლიგის საგზურთან. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **ლუსიენ ფავრის** გუნდი იდეალურ ფორმაშია, „ვერდერს" და „ლევერკუზენს" დარჩენილ 15 ტურში 8 და 9-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა, რბილად რომ ვთქვათ, გაუჭირდებათ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

**3 თებერვალი.** ნიურნბერგი-ბორუსია (დ)

**4 თებერვალი.** ჰერტა-ჰანოვერი, შალკე-მაინცი, ლევერკუზენი-შტუტგარტი, ვოლფსბურგი-ბორუსია (მ), ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი, ჰამბურგი-ბაიერნი.

**5 თებერვალი.** ფრაიბურგი-ვერდერი, კაიზერსლაუტერნი-კიოლნი.

ქართული სპორტი

● ძიუდო. თბილისის მსოფლიოს თასი

# 6+5+4=იმედს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა ძიუდოისტებმა ოქროს 6, ვერცხლის 5 და ბრინჯაოს 4 მედალი მოიპოვეს ამ უქმეებზე თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარებულ მსოფლიოს თასზე. ჩემპიონები **ბეთქილ შუკვანი** (60), **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90) და **ადამ ოქრუაშვილი** (+100) გახდნენ. **სანდრო იაკობაშვილმა** (66), **თენგიზ პაპოშვილმა** (73), **ბექა ლვინიაშვილმა** (81), **იოსებ მსხალაძემ** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილმა** (+100) ვერცხლი მოიპოვეს, ხოლო **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ლევან წიკლაური** (81), **ზურაბ ზვიადაური** (90) და **ირაკლი ქობლიანიძე** (100) მესამეზე გავიდნენ. 7 წონიდან 6 ოქრო, 7-ვე ფინალში მონაწილე, ხოლო 5-ში სულაც ქართული ფინალი - შედეგი ნამდვილად კარგია, წარმატება კი მით უფრო სასიამოვნოა, რომ შეჯიბრება არც ისე სუსტი გამოდგა და მაყურებელიც საკმაოდ ბევრი მივიდა ორივე დღეს.

## ძველების დაბრუნება

წლევანდელი მსოფლიოს თასის მთავარი ინტრიგა ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** (90) დაბრუნება იყო, თუმცა არანაკლებ ყურადღებას იმსახურებდა მსოფლიოს ორგზის მედალოსან **ლაშა გუჯეჯიანის** (+100) თემაც, რომელიც რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდებოდა ძიუდოს.

გუჯეჯიანი უმედლოდ დარჩა, ზვიადაური მესამეზე გავიდა, თუმცა არის კი ეს სპორტში დასაბრუნებელი უვერტიურა ანუ შარშანდელი გაცილების შემდეგ ღირდა კი ეს ნაბიჯი ბრინჯაოდ? თუმცა მთავარი ხომ ხარისხია და პირველი შეხვედრა ორივემ ალმავლობით ჩაატარა - ზვიადაურმა ესპანელი ევროპის ჩემპიონი **სერგეი აშვანდენი** დააიპონა ბრწყინვალედ, გუჯეჯიანმა კი ესტონელ ევროპის ჩემპიონ **მარტინ პადარს** ჯერ სიქა გაალცალა, მერე კი მძლავრად დაახეთქა ბეჭებზე. პირველი შეხვედრებით ისე ჩანდა, რომ ორივე ჭიდაობას იყო მონწყურებული, თუმცა მომდევნო წრეში ეს შემართება გაუნელდათ - გუჯეჯიანმა ჩინელ **ჰაო ვანგთან** წააგო წმინდად, ზვიადაურმა კი სერბ **დმიტრი გერასიმენკოსთან** გაატარა ორი ვაზარი. ვფიქრობთ, მან ცოტა იჩქარა. ალბათ, აჯობებდა, უფრო ჩაეკეტა ჭიდაობა და მეტოქის შეტევები ასე გაენეიტრალებინა. ყოველ შემთხვევაში, ალარსასთან მოგების შემდეგ გერასიმენკოსთან თითქოს არ უნდა წაეგო. დამამშვიდებელში გუჯეჯიანმა ტრავმის გამო ვერ იჭიდავა, ზვიადაურმა კი საკმაოდ ადვილად აართვა ორი ვაზარი უკრაინელ **ქუდჯაუ ნჰაბალის**, ხოლო ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მოლდოველი **ივან რემარენკოც** უპრობლემოდ დააიპონა. მთლიანობაში ცუდად არ უჭიდავია, თუმცა გაცდენილი თვეები ჯერ მაინც ეტყობა, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ მისი ბედისწერა - ტრავმა დაბრუნებისთანავე ფეხდაფეხ შეჰყვა ტატამზე. ამჯერად ბეჭი იტკინა, ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ტატამიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს გადასაღებად. შიშობდნენ, რომ 4-5 თებერვალს ვერც პარიზში შეძლებდა ჭიდაობას, მაგრამ ქართველთა გერმანელმა ექიმმა **ალბერტ გუზბახერმა** დაგვაიმედა, 3-4 დღეში შეძლებს ვარჯიშსო.

## ახალი თაობა - იმედი ხვალის

ეს ტურნირი თაობათა შორის ბრძოლის ასპარეზიც უნდა ყოფილიყო, რადგან ბოლო წლებში ახალგაზრდული ნაკრები მშვენიერ შედეგს აჩვენებს. საბედნიეროდ, ამ ახალგაზრდებმა იმედებიც გაამართლეს - შავდათუაშვილმა, ტატალაშვილმა, რეხვიაშვილმა, ჭრიკიშვილმა, ლვინიაშვილმა. ამათ ქობლიანიძეც დაემატა, რომელიც საქართველოს ბოლო პირველობის შემდეგ გამოჩნდა, თორემ აქამდე არც ახალგაზრდულიდან ვიცნობდით.

კიდევ ერთხელ გაგვაოცა შავდათუაშვილმა - ამ წონაში კარგი კადრი გვეზრდება. მან ორი ისეთი მეტოქე დაამარცხა, რომლებიც ოლიმპიური ლიცენზიებისთვის ბრძოლაში ჩვენი უშუალო კონკურენტები არიან ევროპული კვოტისთვის ბრძოლაში - ლატვიელი **დენის კოზლოვსი** და ჰოლანდიელი **იესპერ დე იონგი**. ლატვიელს იუკოთი აჯობა და საბოლოოდაც გააგდო, ჰოლანდიელს კი გაფრთხილებებით გასცდა, თუმცა ის ბრინჯაოს მაინც დაეუფლა და სალიცენზიო მარაგი გაიმდიდრა. ამ შეხვედრებამდე შავდათუაშვილმა აზერბაიჯანელი **სამირ ხანკშიევი** იოლად დაჯაბნა - ორი იუკოს შემდეგ დააიპონა, ნახევარფინალი კი კიდევ უფრო თამაშ-თამაშით მოუგო უკრაინელ **ჰევორჰ ჰევორჰიანს** - სამივე სინჯის გდება ჩაუტარა. ფინალამდე



ბეთქილ შუკვანი



ლაშა შავდათუაშვილი



ნუგზარ ტატალაშვილი

ხომ საკმაოდ მომქანცველი გზა გაიარა, იაკობაშვილმა იქაც დიდი ბრძოლა გაუმართა, თუმცა შეხვედრის მიწურულს შავდათუაშვილს მაინც ეყო ძალა, მეტოქე ორჯერ აეტაცებინა ტატამიდან. მართალია, შედეგიანად ვერც ერთი ვერ დაასრულა, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოავლინა კარგი ფიზიკური მომზადება. ბოლო ორწუთიანი მონაკვეთი ქართველებისთვის „აქილევსის ქუსლია", შავდათუაშვილი კი საპირისპიროს ამტკიცებს. დაღლა არც ტატამიდან გასულს ეტყობოდა, სუნთქვაც კი არ აჩქარებია. ფიზიკური მომზადება აქამდეც მისი კოზირი იყო და ეს ფორმა თუ შეინარჩუნა, სერიოზულ შედეგებს მიაღწევს. მით უფრო, თავსაც კარგად იცავს და გდებებს იშვიათად ატარებს - ამ ტურნირზე ერთი ქულაც არ დაუკარგავს.

გაგვახარა და საკუთარ თავსაც დიდი სამსახური გაუწია ტატალაშვილმა - ის სალიცენზიო 22-კაციან ზონაში შევიდა და ახლა XX ადგილზეა. მან საწყისი ორი შეხვედრა წმინდად მოიგო, მერე ჩინელ **ვეი ლიუს** იუკოთი აჯობა, ნახევარფინალში კი თავად დადგა ნაგების საფრთხის წინაშე **ზებედა რეხვიაშვილთან**. რეხვიაშვილი მთელი შეხვედრა შესამჩნევად აქტიური იყო და ვაზარითაც დაწინაურდა, მაგრამ ფეხში არასწორი შესვლისთვის მოხსნეს. ფინალში ტატალაშვილმა გაფრთხილებებით მოუგო პაპოშვილს. რეხვიაშვილიც ქებას იმსახურებს კარგი ჭიდაობისთვის. მან თავიდან სულ იპონებით იმარჯვა. მათ შორის - იტალიელ **მარკო მადალონისთან** და თურქ **სეზერ ჰიუზუსთან**, დამამშვიდებლის ფინალში კი ესტონელი **კინტერ როტბერგი** დაჯაბნა. წაგება ყოველთვის ცუდია და მით უფრო - ასეთ საკამათო ვითარებაში, მაგრამ მისი ჭიდაობის ხარისხი გვაიმედებს, რომ კრიზისი უკან მოიტოვა და ამ წონაში კონკურენცია გაიზრდება.

მაყურებლის სიმპათიები კიდევ ერთხელ დაიმსახურა ლვინიაშვილმა, რომელმაც ჩინებული ფიზიკური მომზადებაც გამოავლინა და ლამაზი გდებებითაც არაერთი ოვაცია დაიმსახურა. ოღონდ პირველ შეხვედრაში ფრანგ **ჟულიენ კერმარეკთან** თვალნათლივ გამოჩნდა, რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს უფროსებში მის დატვირთვას - მეტოქე ასაკითაც და ფიზიკურადაც ბევრად აღემატებოდა და ლვინიაშვილი ფრიად „გაილახა", თუმცა დამატებითში მაინც მოუგო. ბელარუსი **ტსიმაფეი იემელიანაუ** იოლად შებოჭა, აზერბაიჯანელ ელხან რაჯაბლი კი თავისი კოზირით - ქამარში ჩავლებით დააიპონა, ნახევარფინალში წიკლაურთან ვაზარს აგებდა, თუმცა საბოლოოდ უნაკლოდ მოცელა. ჭრიკიშვილმა უფრო აკადემიურად იჭიდავა - იქნებ ასე ეფექტური გდებებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ყველა შეხვედრაში დომინირებდა, ჭკვიანური ჭიდაობით შეხვედრის სადავეები მუდამ ხელთ ეპყრა და ასე მივიდა ფინალამდე. ორი გამორჩეული იპონი მანაც გვაჩვენა - მეოთხედფინალში ბელარუს **ალექსანდრ სტიაშენკასთან** და ფინალში ლვინიაშვილთან. ფინალის შედეგი ალბათ, ლოგიკურიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭრიკიშვილი რამდენიმე წლით უფროსია ლვინიაშვილზე, ბევრად გამოცდილიც და თან ტატამზეც უფრო მოაზროვნეა. რაც მთავარია, ორივემ მაღალი დონე აჩვენა. ეს განსაკუთრებით ჭრიკიშვილისგან გაგვიხარდა, რომელსაც შარშან ჩავარდნა ჰქონდა, თორემ ლვინიაშვილმა იმ სეზონში ყველაფერი მოიგო. უბრალოდ, მას ცოტა უნდა გაუფრთხილდნენ და ნიჭს ექსპლუატაცია არ უნდა გაუწიონ, კანონზომიერად განვითარების საშუალება უნდა მისცენ. მით უფრო, მას ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების შანსი თითქმის არ აქვს და ამ წონაში საგზური არც გვიჭირს - ჭრიკიშვილმა ამ 100 ქულით ლამის საბოლოოდ გაინაღდა.

## სტაჟიანების გამოღვიძება

ამ კატეგორიაში ნაკრების ხუთ სტაჟიან წევრს შევიყვანთ - **შუკვანს, იაკობაშვილს, პაპოშვილს, მსხალაძესა** და **ოქრუაშვილს**. შუკვანმა თავიდან ბოლომდე დიდი შემართებით, ენერგიულად იჭიდავა და ოთხივე შეხვედრა იპონით მოიგო. უფრო გამოცდილი მეტოქეები დასაწყისშივე შეხვდნენ - აზერბაიჯანელი **ვუგარ შირინლი** და აზერბაიჯანულპი წარმომავლობის ესტონელი **ელნურ ალიევი**. შირინლი ჩვენებურს ლამის ბოლომდე გაუძალიანდა, ალიევი და რუსი **აი-კერელ ბალჩაკპანი** კი 1 წუთში დააიპონა. წუთზე ცოტა მეტი მოანდომა ნახევარფინალში ჩინელ **იუნლონგ ჰეს** ძლევას და დიდხანს არც ფინალში გაახარა ებრაელი **არტიომ არშანსკი**. ნამდვილად სასიამოვნო იყო მისი ლაღი, სწრაფი და ტექნიკური ჭიდაობა. იმედია, ასეთი კარგი სტარტი მთელ სეზონზე გაჰყვება. ის უცხოეთშიც თუ შეინარჩუნებს იმ შემართებას, რაც ახლა გვაჩვენა, წარმატებული სეზონი ექნება. მან ამ წარმატებისთვის მოპოვებული 100 ქულით სალიცენზიო რეიტინგში XV ადგილზე გადაინაცვლა.

ოქრუაშვილმა ბოლო შეჯიბრებები ყველგან მოიგო - ძიუდოშიც და ქართულ ჭიდაობაშიც და იქნებ ახლანდელი გამარჯვება მოიულოდნელი არც იყო. უბრალოდ, ფინალამდე ძალიან კარგი ჭიდაობა გვაჩვენა. აზერბაიჯანელ **ემილ ტაჰიროვის** დაიპონება არც გაგვკვირვებია, მაგრამ მერე პოლონელ **გჟეგოჟ ეიტელსა** და გუჯეჯიანის მომგებ ჩინელ ვანგს ისეთი გდებები უკისრა, ნებისმიერი ტიტულოვანი ფალავანი სიამოვნებით მოაწერდა ხელს. ამ წონაში საქართველოს ჩემპიონატის ფინალი განმეორდა და იმავე შედეგით დასრულდა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ოქრუაშვილმა მაშინ თუ გდებით იმარჯვა, ამჯერად მსაჯთა გადაწყვეტილებით მოიგო. არადა, შეეძლო საქმე აქამდე არ მიეყვანა, რადგან დამთავრებამდე 13 წამით ადრე გაფრთხილებებით იუკოს იგებდა, მაგრამ თვითონაც მუხლებზე ჩაუხტა, რისთვისაც მსაჯებმა გააფრთხილეს. ამით ანგარიშიც გათანაბრდა და შეხვედრა დამატებით დროში გაგრძელდა.

მისასალმებელია იაკობაშვილის, პაპოშვილისა და მსხალაძის წარმატებებიც, თუმცა ახლა მათ წინაშე მორიგი რთული ამოცანა დგას - უცხოეთშიც დაამტკიცონ პროგრესი, თორემ ადრე ძალიან უჭირდათ იქ ჭიდაობა. იაკობაშვილის შეხვედრებიდან ერთს გამოვარჩევთ - ყირგიზ **ისლამ ბაიალინოვთან** ბეწვზე გადაურჩა წაგებას, რადგან დამთავრებამდე 19 წამით ადრე ვაზარს აგებდა, თუმცა მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გატყდა, შეტევას არ მოუკლო და მიზანსაც მიაღწია მორიგი იპონით.



ავთანდილ ჭრიკიშვილი



ვალერი ლიპარტელიანი



ადამ ოქრუაშვილი

## უბრალოდ, ლიდერები!

ისინი აქამდეც ლიდერები იყვნენ და ახლაც ასეთებად დარჩნენ - **წიკლაური, ლიპარტელიანი, ხანჯალიაშვილი...** ვინ პირველი, ვინ მეორე ან მესამე რიგის ლიდერებად, მაგრამ მაინც წამყვან ფალავნებად რჩებიან. ამათგან ყველაზე მეტად მაინც ლიპარტელიანმა იყოჩაღა, რომელსაც თურმე გაბრაზებაც შეუძლია - მეოთხედფინალში ზემოხსენებულ უკრაინელ ნჰაბალთან და ნახევარფინალში იმავე გერასიმენკოსთან მსაჯებმა შეფასებები გაუუქმეს, თუმცა მიბრუნდა და ორივეჯერ მეტოქე ისეთ იპონზე დაახეთქა, თითქოს მსაჯებს ეუბნებოდა, ახლა რაღას იტყვითო. მათაც იპონის ნიშნად ხელის ზეაღმართვის მეტი არაფერი დარჩენოდათ. ლიპარტელიანი ამჯერად მხოლოდ ამოსმულის იმედად არ იყო, თუმცა უცხოეთში მაინც მეტი მართებს. მან ფინალში მსაჯთა გადაწყვეტილებით იმარჯვა, რაც, ალბათ, მართებულია - ლიტველ **კაროლის ბაუზასაც** არაფერი გაუკეთებია ისეთი, გამარჯვება მისთვის მიეცათ. ეგ კი არა, მეტოქეს მანამდე გაფრთხილებაც ეკუთვნოდა.

წიკლაური კვლავაც ქართული სტილის ტექნიკურ მოჭიდავედ რჩება, თუმცა ლვინიაშვილმა სწორედ ქართული ჭიდაობის ილეთით მოცელა ნახევარფინალში, ხანჯალიაშვილმა კი უფრო ძალისმიერი ჭიდაობა გვაჩვენა.

## ყველაზე დასანანი მარცხი

ნაგება ყველა დასანანია, მაგრამ ამ ტურნირზე იყო სამი მარცხი რამაც განსაკუთრებით დაგვწყვიტა გული - **შალვა ქარდავას** (66), **დავით ასუმბანის** (66) და **ამბაკო ავალიანის** (73). მათი გავარდნა დასანანია არა მხოლოდ ნაგების გამო, არამედ იმიტომ, რომ ამ წონებში გამარჯვებები ჰაერივით გვჭირდებოდა, ხოლო ავალიანის გარდა, სხვების მარცხს არაფერი მოასწავებდა, რომ არა მათივე დაუკვირვებლობა და უილბლობა. ქარდავაზე ამბობდნენ, რომ ტრავმის შემდეგ მოუმატა და კარგ ფორმაში იყო. ყაზახ **აზამატ მუკანოვთანაც** ურიგოდ არ უჭიდავია და ვაზარიც აართვა, მაგრამ სწორედ იმ გდებისას უხერხულად დაეცა, მეტოქემ მისი ხელი საიმედოდ ჩაბლუჯა და მტკივნეულით მოუგო. ქარდავამ 12 ქულა კი მიიღო, მაგრამ ეს მის მდგომარეობას არ ცვლის. კიდევ უფრო დასანანი იყო **დავით ასუმბანის** მარცხი. პროგრესი მის ჭიდაობაშიც იგრძნობოდა, ადრინდელზე უფრო სწრაფიც მოგვეჩვენა და ამერიკელი **ბრედფორდ ბოლენის** შემდეგ აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ნიჯატ შიხალზადე** სულაც დააიპონა და უკრაინელ **ჰევორჰ ჰევორჰიანსაც** ვაზარს უგებდა. შეხვედრის მიწურულს წარბი გაუსკდა, თუმცა ნაგების მიზეზი სულ სხვა რამე გახდა - დამთავრებამდე 19 წამით ადრე ამხელა უპირატესობის პატრონი რატომღაც ილეთზე შევიდა და წმინდა გდება მოინდომა, მეტოქემ კი კონტრშეტევით დააიპონა. მისი გამოცდილების პატრონს ასეთი შეცდომა არ უნდა დაეშვა. იმ მომენტში ყველაზე მეტად რაც არ სჭირდებოდა, ეს რისკი და შეტევა იყო - დრო მის სასარგებლოდ მუშაობდა, ამ ფაქტორს კი გამოყენება უნდოდა. ავალიანმა თავიდან სწორედ იმ მეტოქეებს მოუგო, რომლებიც შარშანაც დაამარცხა ამავე ტურნირზე - ბელარუს **ალექსეი რამანჩიკსა** და ებრაელ **იოსებ ფალელაშვილს**, თურქ **ჰასან ვანლიოღლუსთან** შეხვედრაში უდავოდ სათქმელია მსაჯის სიჯიუტე, რომელმაც თურქი მესამედ არა და არ გააფრთხილა, თუმცა ავალიანიც ძალიან ინერტული იყო. არ ვიცით, დასვენება ვერ მოასწრო თუ რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ წინანდელზე ბევრად შებოჭილი იყო, თითქოს მოძრაობა უჭირდა. მან მოგვიანებით არც სანუგეშოში იჭიდავა **როტბერგთან**.



ზურაბ ზვიადაურმა (თეთრ კიმონოში) ბრინჯაო მოლდოველი რემარენკოს ძლევით მოიპოვა

### პრიზიორები

**60 კგ. 1. ბეთქილ შუკვანი (საქართველო),** 2. არტიომ არშანსკი (ისრაელი), 3. ლუდოვიკ ჩამარტინი (შვეიცარია), აშხატ ტელმანოვი (ყაზახეთი).

**66 კგ. 1. ლაშა შავდათუაშვილი, 2. სანდრო იაკობაშვილი (ორივე - საქართველო),** 3. იესპერ დე იონგი (ჰოლანდია), გოლან პოლაცკი (ისრაელი).

**73 კგ. 1. ნუგზარ ტატალაშვილი, 2. თენგიზ პაპოშვილი, 3. ზებედა რეხვიაშვილი (სამივე - საქართველო),** ვეი ლიუ (ჩინეთი).

**81 კგ. 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი, 2. ბექა ღვინიაშვილი, 3. ლევან წიკლაური (სამივე - საქართველო),** იოახიმ ბოტიე (ბელგია).

**90 კგ. 1. ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო),** 2. კაროლის ბაუზა (ლიტვა), **3. ზურაბ ზვიადაური (საქართველო),** დმიტრი გერასიმენკო (სერბეთი).

**100 კგ.** 1. დმიტრი პეტერსი (გერმანია), **2. იოსებ მსხალაძე, 3. ირაკლი ქობლიანიძე (ორივე - საქართველო),** მარტინ პაცეკი (შვედეთი).

**+100 კგ. 1. ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი (ორივე - საქართველო),** 3. გრჟეგოჟ ეიტელი (პოლონეთი), ანგელ პარა (ესპანეთი).

**თამუნა ყულუმბეგაშვილისა და ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები**

ფიგურული ციგურაობა



ელენე გედევანიშვილი

## ორგზის ბრინჯაო!

ბოლო წლებია, სპორტის ზამთრის სახეობების ისტორიას ეს გოგონა წერს! **ელენე გედევანიშვილი**, რომელიც ახლახან 22 წლის გახდა, პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც ზამთრის სახეობებში ევროპის ჩემპიონატის მედალი მოიპოვა - ეს ორი წლის წინათ იყო, ახლა ელენემ, ბრიტანულ შეფილდში კარიერაში თავისივე მიღწევა გაიმეორა. ის ამიერიდან ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორია.

შაბათს ელენემ ორი პირადი რეკორდი დაამხო, თავისუფალ პროგრამაში მოპოვებული ქულებისა და ორი დისციპლინის ჯამში. პირველი შარშანდელია, მსოფლიოს ჩემპიონატის, როცა ქართველმა მოციგურავემ 104,63 ქულა დაიმსახურა. ახლა მისი რეკორდი თავისუფალ პროგრამაში 108,79 ქულაა. საოცარია, მაგრამ ფაქტია - რაც ელენეს სუსტი წერტილი იყო, მის ძლიერ მხარედ იქცა. ორი დისციპლინის ჯამში გედევანიშვილმა 165,93 ქულა დააგროვა და ქულა-ნახევრით გააუმჯობესა 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის მიღწევა.

შაბათს გედევანიშვილმა **ენდრიუ ლოიდ ვებერის** „ოპერის მოჩვენების" მუსიკის ფონზე ისრიალა. ტექნიკური ელემენტების სეგმენტში მან მსაჯებისგან 51,18 ქულა დაიმსახურა, პროგრამულში - 57,61. ჩვენებურზე უკეთ თავისუფალი პროგრამა მხოლოდ იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა** (120,33 ქულა) და 17 წლის რუსმა **პოლინა კორობეინიკოვამ** (114,72) შეასრულეს. სამზე მეტი ქულით ჩამოიტოვა ელენემ ფინელი **კიირა კორპი** (105,14) და **ვიქტორია ჰელგესონი** (შვედეთი, იდენტური ქულები). **ქსენია მაკაროვას** კი ძალიან ბევრით აჯობა (თითქმის 7 ქულით) და ეს იყო მთავარი – ჩვენებურმა, რომელიც მეოთხე იყო მოკლე პროგრამის შემდეგ, რუსი კონკურენტი პოდიუმიდან განდევნა. ის კი არაა... ქულაც და... კორპისაც ჩამოიტოვებდა და ვერცხლის მედალს მოიპოვებდა.

ევროპის ჩემპიონი (მეოთხედ!) გახდა 24 წლის კაროლინა კოსტნერი, ის შეფილდში ფაქტობრივად უკონკურენციო იყო, **შოსტაკოვიჩისა** და **მოცარტის** მელოდიებზე შესრულებულმა პროგრამებმა მას ჯამში 183,55 ქულა მოუტანა. 23 წლის კორპიმ 166,94 ქულა დააგროვა, ელენემ - 165,93. პოლინა კორობეინიკოვა, რომელიც სენსაციური იყო შაბათს, მისთვის სადებიუტო ჩემპიონატზე მე-4 ადგილზე გავიდა.

### პრიზიორები

| | |
|---|---|
| 1. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 183,55 |
| 2. კიირა კორპი (ფინეთი) | 166,94 |
| **3. ელენე გედევანიშვილი (საქართველო)** | **165,93** |
| 4. პოლინა კორობეინიკოვა (რუსეთი) | 164,13 |
| 5. ვიქტორია ჰელგესონი (შვედეთი) | 160,82 |
| 6. ქსენია მაკაროვა (რუსეთი) | 159,59 |
| 7. ალიონა ლეონოვა (რუსეთი) | 158,78 |
| 8. ვალენტინა მარკეი (იტალია) | 146,84 |
| 9. ირეტ სილეტი (საფრანგეთი) | 145,50 |
| 10. ჯოში ჰელგესონი (შვედეთი) | 145,11 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰოკეი

## გამარჯვებას ოსტატობაც სჭირდება და იღბალიც

ერზრუმში, როგორც გაუწყეთ, ყინულის ჰოკეიში შავი ზღვის ლიგის პირველი გათამაშება დაიწყო მასპინძელთა და საქართველოს ორ-ორი გუნდის მონაწილეობით. ასპარეზობის პირველ დღეს „ყინულის რაინდების" 14-წლამდელთა გუნდს მეტოქე არ გამოუცხადდა, რადგან ჩვენებურთა თანატოლები თურქეთის ზამთრის ფესტივალის საზეიმო გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდნენ. უფროსების შეხვედრა კი ერზრუმელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ 10 წუთის განმავლობაში ისინი ვერაფერს გახდნენ, ამიტომ უხეშობას უმატეს, განსაკუთრებით ამერიკელი ლეგიონერები – **რაიან სტაიერი** და **ბრაიან დუნფორდი** გამოირჩეოდნენ. მაშინ, როცა ანგარიში იყო 3:0 მასპინძელთა სასარგებლოდ, სწორედ დუნფორდმა აკრძალული ილეთით შეაჩერა **გენადი კოსიცკი,** რომელმაც მძიმე ტრავმა მიიღო – ლავიწის ძვალი გაიტეხა და ჰოსპიტალში აღმოჩნდა. ამ ინციდენტს სტუმრების პროტესტი მოჰყვა: ერზრუმელთა მთავარ მწვრთნელთან ქართველებს თურმე სიტყვიერი შეთანხმება ჰქონიათ – მასპინძლებს „ყინულის რაინდებთან" მატჩში ლეგიონერები არ უნდა გამოეყვანათ. Aამერიკელი იძულებული გახდა, ორი თანამემამულე და სლოვაკი ჰოკეისტი გასახდელში გაეგზავნა. პირველი პერიოდის ბოლომდე დარჩენილ ხუთ წუთში მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს – 4:1. საბოლოოდ მატჩი ერზრუმელთა გამარჯვებით დამთავრდა – 10:4 (ქართველთაგან გოლები **ვახტანგ გოგიჩაშვილმა, გიორგი ჯეირანაშვილმა, ამირან გეფერიძემ** და **მიხეილ დავითაშვილმა** გაიტანეს).

ტურნირის მეორე დღეს „ყინულის რაინდები" (მწვრთნელები – **მიხეილ ვედიაპინი** და **ილია დავიდოვი**) სტამბოლთან ახლოს მდებარე ქოჩაელის გუნდს დაუპირისპირდა. თავიდან ინიციატივას თურქები ფლობდნენ და 2:0 დაწინაურდნენ, პერიოდის მიწურულს **ზაზა ლონლაძემ** ანგარიში შეამცირა. მეორე-მესამე პერიოდებში მეტოქეებმა კიდევ სამი გოლი (ჩვენებურთაგან – **ლევან ბუცხრიკიძემ** და **თემურ ვედიაპინმა**) გაიტანეს და პაექრობაც ფრედ (3:3) დამთავრდა. იმავე საღამოს ჩვენი 14-წლიანები ერზრუმში ყინულის კემპზე ჩამოსულ სტამბოლის გუნდთან სპარინგმატჩში 2:4 დამარცხდნენ.

ორი დღის შედეგებით უკმაყოფილო არ ვარ, აი, თამაშის ხარისხზე კი რა გითხრათ, თუმცა, რა მოვთხოვო ბიჭებს, რომლებსაც 9 თვეა, ყინული არ უნახავთ. ისინი ახლა ეჩვევიან სტანდარტულ სარბიელს, - გვითხრა **ილია დავიდოვმა.**

ერზრუმისა და „ყინულის რაინდების" ლიგის მეორე მატჩი სტუმრების იერიშებით დაიწყო და მე-7 წუთზე გოგიჩაშვილმა ანგარიში გახსნა. მეორე პერიოდში თურქებმა იძალეს და ორი შაიბა გაგვიტანეს. მესამე ოცწუთიან მონაკვეთში გოლი არ გასულა. ეს შეხვედრაც ერზრუმელებმა მოიგეს, ამჯერად მინიმალური ანგარიშით – 2:1.

- პირველი მატჩისგან განსხვავებით მეორეში აშკარად უკეთ ვითამაშეთ. ბიჭები ნაკლებ შეცდომას უშვებდნენ დაცვაში, მეტი კავშირი იყო უკანა ხაზსა და თავდასხმას შორის. შემიძლია ვთქვა, რომ დღეს წაგებას არ ვიმსახურებდით. ეტყობა, გამარჯვებისთვის ოსტატობასთან ერთად იღბალიცაა საჭირო, - თქვა მატჩის შემდეგ „ინულის რაინდების" მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი ნატროშვილმა.**

ტურნირის ბოლო დღეს ჩვენი ჰოკეისტები კიდევ თითო შეხვედრას გამართავენ.

**ვაჟა დანელია**
ერზრუმიდან



ფარიკაობა

## კადეტები დიდ სარბიელზე

ლონდონში, ვარშავაში და სატუ მარეში (რუმინეთი) ჩატარდა ევროპის თასის ეტაპები ფარიკაობაში კადეტთა შორის.

**საბა სულამანიძე** ხმალში 52-ე იყო 130 მონაწილეს შორის. რაპირაში **ლუკა ლალანიძე** მე-14 ადგილზე გავიდა (141 მონაწილე) **თეონა გოგლიძე** კი 23-ე იყო (48 მონაწილე). სამივე სპორტსმენი თბილისელია. ისინი დედაქალაქის ფარიკაობის ფედერაციამ (პრეზიდენტი **პაპუნა პეტრიაშვილი**) და მერიამ დააფინანსა.

სამივე სპორტსმენი პირველად მონაწილეობდა ასეთი დონის ტურნირში. ადრე პრიზიორები და გამარჯვებულები იყვნენ **სანდრო ბაზაძე** და **მიხეილ მარდალეიშვილი.**

საქართველოს ფარიკაობია ფედერაცია შედეგებით ძალიან კმაყოფილია.

**დავით სახვაძე**
ფედერაციის გენერალური მდივანი.




ჭადრაკი

## ძაგნიძე კაცებს არ ინდობს

გიბრალტარში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი ქალებიც (**ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე**) მონაწილეობენ. მთავარ ტურნირზე უკვე მიილია ხუთი დღე. განსაკუთრებით ძაგნიძე ყოჩაღობს: განვლილ ხუთ ტურში მან ოთხ ვაჟს მოუგო და ერთთანაც ყაიმს დასჯერდა. ნანასგან ძლეულთა შორის არიან ბრაზილიელი დიდოსტატი ალექსანდრ ფიერი და სომეხი სერგეი მოვსესიანი, რომლის რეიტინგია 2700. მეხუთე ტურში დანარჩენ ქართველ მოჭადრაკეთა შეხვედრები ასე დამთავრდა: ანდრიუ სოში-ნინო ხურციძე 0:1, ბო ადლერი-ლელა ჯავახიშვილი 0:1, სალომე მელია-კონსტანტინ ლუპულესკუ 0,5:0,5.

ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ძაგნიძესთან ერთად ინგლისელი მაიკლ ადამსი და ინდოელები – გოპალი და კრიშნან სასიკირანი მეწინავეობენ. 15-მა მოჭადრაკემ 4-4 ქულას მოუყარა თავი. ხურციძეს 3,5, ჯავახიშვილსა და მელიას 3-3 ქულა აქვთ.

**ვაჟა დანელია**



ნანა ძაგნიძე

## პაიკიძემ მოგებით დაიწყო

მოსკოვში დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომლის პროგრამაშიც შედის სტუდენტ გოგონათა და ვაჟთა წრიული პირველობა და შვეიცარიული სისტემით ქალთა რუსეთის თასის ეტაპი.

სტუდენტ გოგონებში რეიტინგფავორიტია **ნინო ბაციაშვილი** (2426). მას მეტოქეობას გაუწევენ ალინა კაშლინსკაია (რუსეთი,2389), რუთ რადმინი (ინდოეთი, 2386), კარინა შჩეპკოვსკა-ჰოროვსკა (პოლონეთი,2377), ირინა ბულმაგა (რუმინეთი, 2360), ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი, 2333), დარია პუსტოვოიტოვა (რუსეთი, 2303), ანასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი, 2290), დინა დროზდოვა (რუსეთი, 2242) და მარია სევერინა (რუსეთი, 2185).

პირველი ტური: რადმინი-ჰოროვსკა 0:1, ბაციაშვილი-პუსტოვოიტოვა 0,5:0,5, ბულმაგა-დროზდოვა 0:1, კაშლინსკაია-სევერინა 1:0, გორიაჩკინა-ზიაზიულკინა 0:1.

რუსეთის თასის ეტაპზე საქართველოს ნაკრების წევრი **ნაზი პაიკიძე** რეიტინგით (2411) მეოთხეა. Mმას ევროპის ექსჩემპიონი ეკატერინა ატალიკი (თურქეთი, 2481), ბათჰუიანგ მონგონთუული (მონგოლეთი, 2452) და ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი, 2419) უსწრებენ. ასპარეზობის სტარტზე პაიკიძემ თეთრი ფიგურებით რუსი ბაკუნინა დაამარცხა.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას ოვერ-16


ზაზა დეტროიტთან

**ზაზა ფაჩულიამ** სეზონის საუკეთესო მატჩი „დეტროიტთან" სტუმრად ჩაატარა, 16 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. ქულათა ასეთი მაღალი მაჩვენებელი მას მიმდინარე სეზონში პირველად ჰქონდა. საყურადღებოა ისიც, რომ ზაზამ პირველი მეოთხედის შემდეგ ყველა ტყორცნა კალათში მოათავსა, საბოლოოდ 12-დან 8 ორქულიანი გამოიყენა.

მხოლოდ ციფრებზე დაყრდნობით არ გვითქვამს, ზაზას საუკეთესო მატჩი დეტროიტში ჰქონდაო. საქმე ისაა, რომ დამატებით დროსა და მეოთხე პერიოდში ზაზამ მხოლოდ 4 წუთი დაისვენა, 10 ქულა სწორედ ამ მნიშვნელოვან მონაკვეთში მიითვალა. რაც მთავარია, „ატლანტამ" 107:101 გაიმარჯვა.

მეოთხე თორმეტწუთეულის დასაწყისში „დეტროიტმა" 8:2 გაქცევა მოაწყო და 78:72 დაწინაურდა. მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** დაუყოვნებლივ დააბრუნა მოედანზე ზაზა ფაჩულია და 27 წლის ქართველმა ცენტრმაც ორი ორქულიანით იმედი გაუმართლა. „დეტროიტ პისტონსი" არ ნებდებოდა, სირენამდე 39 წამით ადრე სხვაობა კვლავ 6 ქულამდე გაზარდა (87:81). დარჩენილ დროში ჯერ **მერვინ უილიამსმა** ჩააგდო სამქულიანი, ხოლო ბოლო წამზე, როცა მასპინძლები გამარჯვების საზეიმოდ შეიმართნენ, **ჯო ჯონსონმა** სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა - 87:87.

ოვერტაიმი „ატლანტამ" 12:3-ით გახსნა (აქედან 4 ქულა ზაზას ანგარიშზე იყო), რაც საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

მატჩის შემდეგ ზაზა ფაჩულიამ მეტოქეზე გაამახვილა ყურადღება:

*- შესაძლოა, ზოგი დარწმუნებული იყო, რომ დეტროიტშიც დამაჯერებლად მოვიგებდით, მაგრამ „პისტონსი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, ახალი მწვრთნელი, ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს და მის წინააღმდეგ ყველას უჭირს. „დეტროიტს" სადღეისოდ გამოცდილება აკლია, მომდევნო წლებში ძლიერი გუნდი იქნება.*

ზაზას მატჩის მსვლელობასა და მის გარჯაზეც ვკითხეთ...

*- პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, ბურთი არაერთხელ დავკარგეთ, თუმცა მეტოქე დიდი სხვაობით წინ მაინც არ გავუშვით. მატჩის ბოლოს კი ყველაფერი დალაგდა, თითოეული კალათბურთელი კარგად გაისარჯა და დამსახურებულად მოვიგეთ.*

დღეს გამთენიისას „ატლანტა" „ნიუ ორლეანთან" სტუმრად ითამაშებდა. რა დამატებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეხვედრას ფაჩულიასთვის, ხვალინდელ ნომერში წაიკითხავთ.

**დეტროიტი-ატლანტა 101:107**

**ზაზა ფაჩულია:** 35 წუთი, 16 ქულა (12-დან 8 ორქულიანი, 2-დან 0 საჯარიმო), 9 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 3 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 10:34 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 2-0 |
| 9:30 | ორქულიანი: არაზუსტი | 5-0 |
| 7:37 | საჯარიმოები: 2/0 | 27-7 |
| 7:13 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 7-8 |
| 6:52 | ორქულიანი: არაზუსტი | 7-8 |
| 6:16 | შეცდომა: 1 | 7-8 |
| 6:16 | ფოლი: 1 | 7-8 |
| 5:30 | კოლინზმა ზაზა შეცვალა | 7-10 |
| **II პერიოდი** | | |
| 8:11 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა | 22-25 |
| 7:05 | ორქულიანი: 2ძ | 24-27 |
| 6:03 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 26-29 |
| 3:45 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 | 31-33 |
| 0:44 | შეცდომა: 2 | 33-41 |
| 0:17 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 33-43 |
| 0:16 | ორქულიანი: 4ძ | 35-43 |
| **III პერიოდი** | | |
| 11:14 | ორქულიანი: არაზუსტი | 35-46 |
| 10:41 | პასი: 1 (ჯონსონი 2ძ) | 37-46 |
| 10:04 | ფოლი: 2 | 38-46 |
| 7:54 | ორქულიანი: 6ძ | 44-52 |
| 3:06 | კოლინზმა ზაზა შეცვალა 55-60 | |
| **IV პერიოდი** | | |
| 6:39 | ზაზამ კოლინზი შეცვალა | 72-78 |
| 6:31 | ორქულიანი: არაზუსტი | 72-78 |
| 5:13 | ორქულიანი: 8ძ | 74-78 |
| 4:37 | ორქულიანი: 10ძ | 76-80 |
| 4:18 | ფოლი: 3 | 76-80 |
| 3:35 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 | 76-80 |
| 0:01 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 87-87 |
| **ოვერტაიმი** | | |
| 4:35 | ორქულიანი: 12ძ | 89-87 |
| 4:13 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 | 89-87 |
| 3:06 | ორქულიანი: 14ძ | 93-89 |
| 2:46 | მოხსნა: შეტ-1, დაც-7 | 93-89 |
| 1:54 | დაფარება: 1 (მონროს დაუფარა) | 96-89 |
| 0:54 | მოხსნა: შეტ-1, დაც-8 | 103-95 |
| 0:53 | ორქულიანი: 16ძ | 105-95 |
| 0:32 | გრინმა ზაზა შეცვალა | 107-98 |

ლეგიონერი. იტალია

# სანიკიძე ანუ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩანს, **ვიქტორის** სახელში „ორი" შემთხვევით არ ურევია - მატჩი ისე არ გაივლის ორმაგი დუბლი არ მიითვალოს. გასაკვირი არ არის, მაგრამ სასიხარულოა, რომ სანიკიძემ იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურშიც შეასრულა „დაბლ-დაბლი" - 16 ქულა და 12 მოხსნა. 27 წუთში მან 9-დან 6 ორქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო გამოიყენა, ხოლო ხუთივე სამქულიანი მიზანს ასცდა.

ვიქტორის შედეგიანი თამაშის წყალობით „ვირტუსმა" პირველივე ტაიმში გატეხა „აველინო" (37:21), საბოლოოდ კი 76:56 დაჯაბნა. სტუმართა შემადგენლობაში ითამაშა ბელგიელმა **დიმიტრი ლაუერსმა** (2 ქულა), რომელიც ფრანგულ „დიჟონში" სანიკიძისა და **ვახტანგ ნაცვლიშვილის** თანაგუნდელი იყო. „ვირტუსთან" მატჩის წინ ლაუერსმა სკეპტიკურად მითხრა: სადღეისოდ ბოლონიელებს ჩვენზე უკეთესი გუნდი ჰყავთ, ვეცდებით, მაგრამ მეეჭვება, მოვიგოთო.

■ ■ ■

შაბათს ერთმანეთს ორი „ქართული" გუნდი დაუპირისპირდა: **ნიკა მეტრეველის** „დინამო სასარიმ" **მანუჩარ მარკოიშვილისა** და **გიორგი შერმადინის** „კანტუს" უმასპინძლა.

სტუმართა მწვრთნელმა **ანდრეა ტრინჩიერიმ** ქართველებს სათამაშო დრო არასაკმარისად მისცა: შერმადინმა 14 წუთი ითამაშა (6 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი), მარკოიშვილმა - 13 წუთი (10 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა).

კანტუელმა **ვლადიმირ მიკოვმა** 21 ქულა ჩააგდო, თუმცა ეს სარდინიაზე გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა - „სასარიმ" მეოთხე პერიოდი დამაჯერებლად ჩაატარა (23:18) და 74:67 გაიმარჯვა.

მეტრეველმა 6 წუთი ითამაშა, მატჩი 2 მოხსნითა და 1 დაფარებით დაასრულა. ბომბარდირი კი საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი **ქუინტონ ჰოსლი** გახდა - 22 ბალი.



სანიკიძე აველინოსთან


მარკოიშვილი სასარისთან

# ვინ არის მესამე საბერძნეთში?

**ვლადიმერ ბოისას** „პანიონიოსმა" საბერძნეთის ჩემპიონატში სტუმრად ვოვას ყოფილ კლუბ „არისთან" ითამაშა. ევრობასკეტზე გამოქვეყნებულ მიმოხილვაში არაერთ ძახილის ნიშანს ვხვდებით: **„გეორგიოს ბარძოკასის** „პანიონიოსმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საბერძნეთში „პანათინაიკოსისა" და „ოლიმპიაკოსის" შემდეგ მესამე გუნდია! პირველ ტაიმში „არისთან" 16-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ბარძოკასის შეგირდებმა თამაში გამოასწორეს, ერთ ეპიზოდში 21:4(!) გაიქცნენ და საფინალო სირენამაც მათი გამარჯვება დააფიქსირა - 69:63."

წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა ვლადიმერ ბოისამ, რომელმაც 19 წუთში 4 ქულა (3/2 ორქულიანი), 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. „პანიონიოსის" რიგებში ბომბარდირობა **უილიამ კეისმა** იკისრა, 17 ქულა ჩააგდო. სათადარიგოებმა **დიებლერმა** და **ბატისმა** შესაბამისად 12 და 13 ქულა მოაგროვეს.

საიტ „ევრობასკეტის" კომპლიმენტის მიუხედავად ბოისას გუნდი სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე მაინც არ არის, ერთი მოგებით უსწრებს „კოლოსოსი", რომელმაც გუშინ მინიმალური სხვაობით სძლია „დრამასს" (83:82) და მესამე ადგილი შეინარჩუნა. პირველ-მეორე პოზიციებს „პანათინაიკოსი" და „ოლიმპიაკოსი" იყოფენ.


ვლადიმერ ბოისა

ლეგიონერი

# ცქიტიშვილის 75 ქულა...


ცქიტიშვილი ლიბანში დაფრინავს

სათაურიომახიანი გამოვიდა, თუმცა სამი წერტილის ნაცვლად უნდა ჩავამატოთ: 4 დღეში. **ნიკა ცქიტიშვილის** „მაჰრამმა" (ირანის ჩემპიონია) WABA-ს ლიგაზე ჯგუფური ეტაპი ერთი ამოსუნთქვით გაიარა, გზად ოთხივე მეტოქე დაამარცხა. მეოთხედფინალში მაჰრამელთა მეტოქე A ჯგუფის მეოთხეადგილოსანი იორდანიული „არამექსი" იქნება.

„მაჰრამმა" B ჯგუფში პირველი მატჩი მასპინძელი ლიბანის „მუტაჰედთან" ჩაატარა და 106:73 გაიმარჯვა. 28 წლის ქართველმა თავდამსხმელმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა - 15 ქულა, 9 მოხსნა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 5 შედეგიანი გადაცემა და 1 დაფარებაა (24 წუთში).

მეორე შეხვედრა ცქიტიშვილის ბენეფისად იქცა, ერაყის „დუჰონის" ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ შეძლო „სკიტას" შეჩერება. მის ანგარიშზე 36 წუთში 29 ქულა, 14 მოხსნა, 1 პასი და 3 დაფარებაა. ნიკამ 19 ორქულიანი ისროლა და 11 ჩააგდო, 4 სამქულიანიდან - 1, 6 საჯარიმოდან - 4.

„მაჰრამმა" „დუჰონი" 88:65 დაამარცხა. მატჩის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, რომლის წინ ირანელები მხოლოდ 7 ქულის სხვაობით იგებდნენ.

მესამე შეხვედრაში „მაჰრამის" მოწინააღმდეგე იყო იორდანიის „ასუ", რომელიც ცქიტიშვილის თანაგუნდელებმა „ასო-ასო" აკუწეს - 87:57.

ცქიტომ ამჯერად ორმაგი დუბლი ვერ შეასრულა, თუმცა მაინც ნაყოფიერად იშრომა: 17 წუთში 18 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება.

მაჰრამელებს ყველაზე მეტად მეოთხე შეხვედრაში გაუჭირდათ, რომელშიც კიდევ ერთ ლიბანურ კლუბ „ჩამპვილს" დაუპირისპირდა. მასპინძლები მესამე ათწუთეულის შემდეგ 33:52-ს აგებდნენ, თუმცა მეოთხე რაუნდში 19-ქულიანი დეფიციტი სამამდე დაიყვანეს. გამარჯვება მაინც ირანის ჩემპიონს დარჩა, 3 ქულის სხვაობით, 67:64 მოიგო.

ცქიტიშვილმა ყველაზე ნაკლები ლიბანელებთან ჩააგდო, თუმცა 10 ქულას ამჯერადაც ასცდა - 13 ქულა, 5 მოხსნა, თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება. 215 სმ სიმაღლის ქართველმა მოედანზე 34 წუთი გაატარა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ბრეგვაძის დებიუტი და გორგოძის ჩვეული თავდადება



მამუკა გორგოძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-16 ტურის მატჩებში ქართველ მორაგბეთა რვა გუნდიდან შვიდმა მოიგო. აღსანიშნავია, რომ ამ ტურში ფრანგული რაგბის გრანდის, „ტულუზის" შემადგნლობაში შედგა საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭის **ჯაბა ბრეგვაძის** დებიუტი, რომელიც წარმატებული გამოდგა.

საფრანგეთის ჩემპიონი „ტულუზი" სტუმრად ეთამაშა პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ და მუდამ ამბიციურ „მეტრო რასინგს". ტულუზელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და პირველ ნახევარში საკმაოდ დიდ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ. შესაბამისად, პირველი ტაიმიც მათ სასარგებლოდ - 9:0 დასრულდა.

შესვენების შემდეგ პარიზელები გონს მოეგნენ და 11 წუთში ანგარიშში დაწინაურება მოახერხეს - 10:9. ბრეგვაძე თამაშში რვა წუთის შემდეგ ჩაერთო. მომდევნო ათ წუთში კი გუნდებმა თითო-თითო საჯარიმო გაცვალეს. გამარჯვება „ტულუზს" შეცვლაზე შესულმა 19 წლის მესამეხაზელმა **ჟილან გალანმა** ლელოთი მოუტანა - 19:3.

„ტულუზმა" ამ გამარჯვების შემდეგ 60 ქულა დააგროვა და მეორეადგილოსან, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონთან" ექვსქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. „ვულკანებმა" მე-16 ტურში უმძიმესი ბრძოლა გადაიტანეს სტუმრად „ბორდოსთან". ჩვენებურის გუნდმა პირველი ტაიმი 8:10 დათმო. თუმცა შესვენების შემდეგ ვითარებას მოედანზე მთლიანად კლერმონელები აკონტროლებდნენ. მეტოქეს მონაგარის გაზრდის საშუალება აღარ მისცეს და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს - 17:10.

ზირაქაშვილი ტრავმირებულია და არ უთამაშია.

„კლერმონს" 9 ქულით ჩამორჩება და მე-3 ადგილზეა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი", რომელმაც შინ გაანადგურა აუტსაიდერი „ბაიონი" - 50:10. მასპინძლებმა ბასკებს ხუთი ლელო გაუტანეს, აქედან ორი ინგლისელმა მესამეხაზელმა **სტეფან არმითიჯმა** მიითვალა. მატჩში ყველაზე შედეგიანი კი მისი თანამემამულე მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** იყო, რომელმაც ხუთ-ხუთი საჯარიმო და გარდასახვა გაიტანა (25 ქულა).

შესანიშნავად გამოიყურებოდა ტულონელთა რიგებში ვილკინსონისა და ავსტრალიელი შუამარბის **მეთ გიტოს** დუეტი. სამხრეთაფრიკელმა მეორეხაზელმა **ბაკის ბოთამ** კი, ტრადიციულად მეორე ტაიმში შეცვალა ინგლისელი კოლეგა **საიმონ შოუ.** ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ქუბრიაშვილმაც, რომელიც 55-ე წუთზე შეცვალეს.

„ტულონს" ერთი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელმაც მე-16 ტურში შინ დაამარცხა ბასკური „ბიარიცი" - 29:23. თამაში საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მასპინძლები ანგარიშში დიდი სხვაობით დაწინაურებას ვერაფრით ახერხებდნენ. გადამწყვეტი უპირატესობა კასტრელებმა მატჩის დასკვნით მეოთხედში მოიპოვეს.

ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო.

საპლეიოფო ექვსეულში შეაღწია **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ", რომელმაც შინ შესანიშნავ სტილში დაამარცხა უშუალო კონკურენტი, პარიზული „სტად ფრანსე" - 38:6.

მონპელიელებმა უმაღლესი დონის რაგბი აჩვენეს, რომელთა რიგებშიც კვლავ გამორჩეული იყო საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი მამუკა გორგოძე. „მონპელიეს" მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიენ გალტიემ** ის ამ შეხვედრაში მეორე ხაზში დააყენა. თუმცა ამით არაფერი შეცვლილა, გორგოძე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც აქტიური და ყველაზე მონდომებული იყო.

ეს მონდომება, ერთ-ერთ ეპიზოდში, მატჩის 45-ე წუთზე, სინბინის ფასად დაუჯდა. რაკში თამაშისას, მან პარიზელთა არგენტინელ პირველხაზელ **როდრიგო რონსეროს**, რომელიც წესის დარღვევით თამაშგარეში იმყოფებოდა და ბურთის რაკიდან გამოსვლას ხელს უშლიდა, ფეხი ჩაარტყა. რაც გვერდით არბიტრს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

მატჩის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ეპიზოდი გორგოძისა და მსოფლიოს საუკეთესო რვა ნომრის, იტალიელი **სერჯო პარისეს** შერკინება იყო. მოედნის ცენტრში პარისეს ბურთი რაკიდან გამოუტანეს, მას წინ ჩვენი „გულივერა" დახვდა, რომელმაც იტალიელი შებოჭა და დაახლოებით ათი მეტრი ათრია. რის შემდეგაც მოედანზე დასცა, თამაში რაკში გადავიდა, სადაც სტუმრებმა წესი დაარღვიეს და „მონპელიემ" საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღო.

გორგოძემ მატჩში თავიდან ბოლომდე ითამაშა, ჟღენტი 57-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილი და შველიძე განაცხადში არ იყვნენ.

ოდნავ გამოიკეთა სატურნირო მდგომარეობა **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა", რომელმაც შინ დაამარცხა „პერპინიანი" - 17:9. მასპინძლებმა პირველი ტაიმი გაჭირვებით მოიგეს - 10:9. ბრიველებს დიდი უპირატესობა არც მეორე ნახევარში ჰქონიათ, თუმცა მეტოქისგან განსხვავებით უშეცდომოდ ითამაშეს და უაღრესად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს.

„ბრივს" ახლა 28 ქულა აქვს და მე-10 ადგილზეა. კაკოვინი ძირითად შემადგენლობაში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს, ნატრიაშვილი მოედანზე 66-ე წუთიდან გამოჩნდა, ხინჩაგიშვილს არ უთამაშია.

სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურს თავი დააღწია **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს" სძლია - 19:11. კავთიძესა და რატიანიძეს არ უთამაშიათ, შეყლაშვილი განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოჩენილა.

## I დივიზიონი

### XVI ტური

მონპელიე-სტად ფრანსე 38:6, ლიონი-აჟენი 19:11. ტულონი-ბაიონი 50:10, კასტრი-ბიარიცი 29:23, ბრივი-პერპინიანი 17:9, მეტრო რასინგი-ტულუზი 13:19, ბორდო-კლერმონი 10:17.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 60 ქულა, 2. კლერმონი - 54, 3. ტულონი - 45, 4. კასტრი - 44, 5. მონპელიე - 40, 6. სტად ფრანსე - 39, 7. მეტრო რასინგი - 37, 8. აჟენი - 36, 9. ბორდო - 31, 10. ბრივი - 28, 11. პერპინიანი - 27, 12. ბიარიცი - 24, 13. ლიონი - 24, 14. ბაიონი - 23.

### XVII ტური

მონპელიე-პერპინიანი, ბიარიცი-ტულუზი, ტულონი-ბორდო, ლიონი-ბრივი, აჟენი-კასტრი, ბაიონი-სტად ფრანსე, კლერმონი-მეტრო რასინგი.



ვასილ კაკოვინი

ერთა თასი



# უკრაინა-საქართველო გადაიდო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში ასპარეზობა უკრაინის ეროვნულ გუნდთან სტუმრობით უნდა დაეწყო. თუმცა, დნეპროპეტროვსკში, სადაც მატჩი უნდა გამართულიყო, დიდი ყინვები დაიჭირა. როგორც დნეპროპეტროვსკის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა **დენის დავიდოვმა** თქვა:

*„სამწუხაროდ, უკრაინაში ყინვიანი ზამთარი დადგა. თუმცა ასეთ პირობებშიც კი შეგვიძლია სტადიონ „მეტეორის" გაზონი სრულ მზადყოფნაში გვქონდეს, მაგრამ ფიზიკის კანონები არავის გაუუქმებია. ხელოვნური გათბობისას ყინვასთან ურთიერქმედებაში მინდორი 15-20 წუთში ასფალტივით გახდება. სწორედ ამის გამო FIRA AER-თან და საქართველოს რაგბის კავშირთან შეთანხმებით გადაწყდა თამაშის გადატანა."*

ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება „ბორჯღალოსნების" დაპირისპირება უკრაინის ნაკრებთან. თუმცა, ჩვენი ეროვნული გუნდი დაგეგმილ საწვრთნელ შეკრებას მაინც გამართავს, რათა მეორე ტურის მატჩისთვის, რომელიც 11 თებერვალს მადრიდში გაიმართება, უკეთ მოემზადოს.

ესპანელთა ნაკრების ფრანგმა თავკაცმა **რეჟის სონემ** იმ 24 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომლებიც მადრიდში „ბორჯღალოსნებს" დაუპირისპირდებიან. აღსანიშნავია, რომ „ლომები" ჩვენს გუნდს მთლიანად სახეცვლილი დაუხვდებიან. იმ შემადგენლობიდან, რომელმაც შარშან თბილისში ითამაშა, გუნდში მხოლოდ რამდენიმე მოთამაშეღა დარჩა. ესენია: **ხესუს მორენო** (ლიმოჟი), **ადრიან აისტერანი, გაუტიერ გუბუნი, ენტონი პრადალი** (სამივე-პერიგო), **ხესუს რეკუერდა** (ლილი), **დავით გურგენიძე** (კარკასონი), **პიერ ბელუნსე** (კოლომიე), **სეზარ სემპერე** (ნორსჰემპთონი).

როგორც ზემოხსენებული მორაგბეების კლუბების დასახელებიდან ჩანს, რეჟის სონე ლეგიონერ მორაგბეებს ეყრდნობა. 24 მორაგბედან ესპანეთში მოთამაშე მხოლოდ ექვსია, თვრამეტი კი ფრანგული და ინგლისური კლუბების წარმომადგენლები არიან.

საგულისხმოა, რომ ასეთი შემადგენლობით ესპანეთის ნაკრებს არასდროს უთამაშია. სონე მუდამ ძიებაშია და სურს გუნდის ოპტიმალური შემადგენლობა ჩამოაყალიბოს, რომელსაც ექნება იმის პოტენციალი, რომ მომავალი წლიდან 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზურისთვის იბრძოლოს.

შეგახსენებთ, რომ შარშან თბილისში, საქართველოს ნაკრებმა ესპანელ „ლომებს" 60:0 მოუგო.

## ესპანეთის ნაკრები

**ტომ პარკერი (ორდიზია), გლენ როლსი (ვალიადოლიდი), რაიან ლერუ, კრეიგ ლიონსი (ორივე-სანტაბოიანა), ხოსე ბლაკო (ვიგო), ჯონათან ფილიპსი (ლა ვილა), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ადრიან აისტერანი, გაუტიერ გუბუნი, ენტონი პრადალი (სამივე-პერიგო), ხესუს რეკუერდა (ლილი), ფრენკ ლაბე (ბორდო), ჩარლი მელი (ბეზიე), სებასტიან ასკარატი, მატიო პელუშონი (ორივე-ოში), ბენატ ეჩეპარე, მატიო ვისენსანი (ორივე-ტიროსი), მატიო როჩა (ორიაკი), დავით გურგენიძე (კარკასონი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), სებასტიან პიფარდი (სენტ ეტიენი), პიერ გარსია (კასტრი), სერხიო სევილია (კლერმონი), სეზარ სემპერე (ნორსჰემპთონი).**

## სატურნირო მდგომარეობა

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 16, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0.

## ერთა თასი

**11 თებერვალი**

ესპანეთი-საქართველო

**25 თებერვალი**

უკრაინა-ესპანეთი

**10 მარტი**

პორტუგალია-ესპანეთი

**17 მარტი**

ესპანეთი-რუმინეთი

**19 მაისი**

რუსეთი-ესპანეთი

მსოფლიოს ალაფი

# ალაფს სოლტ ლეიკ სიტი უმასპინძლებს

მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფს წლეულს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი სოლტ ლეიკ სიტი უმასპინძლებს. შეჯიბრება, რომელშიც საქართველის ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები აშშ-ს, კანადის, ჩილეს, იაპონიის, რუსეთის, ზიმბაბვესა და ტონგას ნაკრებები იქნებიან, 18-30 ივნისს გაიმართება.

ამ ტურნირის გამარჯვებული მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იასპარეზებს, რომელიც 2013 წელს საფრანგეთში გაიმართება. რვა გუნდი ორ ჯგუფში განაწილდება და მატჩები ყოველ მეოთხე დღეს გაიმართება. ტურნირის ორგანიზატორებს სურთ, შეჯიბრება გაცილებით მაღალ დონეზე ჩაატარონ, ვიდრე ეს შარშან საქართველოში იყო.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფს, შარშან თბილისმა უმასპინძლა და გამარჯვება სამოას ნაკრებმა მოიპოვა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ამ ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავეს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# უცხოური სპორტი

## ამბები

**კალათბურთი**

### ფილადელფიამ ელსონი აიყვანა

35 წლის ჰოლანდიელი ცენტრი **ფრანსისკო ელსონი** კარიერას „ფილადელფიაში" გააგრძელებს. ამ კალათბურთელს NBA-ში რვა სეზონი აქვს ჩატარებული - „დენვერის", „სან ანტონიოს", „მილუოკის", „სიეტლისა" და „იუტას" შემადგენლობაში. ელსონის გაფორმებით „ფილადელფიას" სურს წინა ხაზის გაძლიერება, სადაც რამდენიმე ტრავმირებული კალათბურთელი გამოვიდა მწყობრიდან.

შარშან, ელსონმა რეგულარულ ჩემპიონატში 62 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 2.2 ქულა და 1.9 მოხსნა დააგროვა.

### ჰორნეტსმა კამანი მოიშორა

გაირკვა, რომ „ნიუ ორლეანის" რიგებში აღარ ითამაშებს გერმანიის ნაკრების ცენტრი **კრის კამანი**.

*„ჩვენ ვისაუბრეთ კრისთან და გადავწყვიტეთ ურთიერთობის განყვეტა. ორმხრივი შეთანხმების თანახმად იმ დასკვნამდე მივედით, რომ კრისი აღარ ითამაშებს „ნიუ ორლეანში". ჩვენ ის ტრეიდზე გამოგვყავს"*, - განაცხადა „ჰორნეტსის" გენერალურმა მენეჯერმა **დელ დემპსმა**.

ამ სეზონში კამანმა „ნიუ ორლეანის" რიგებში 17 მატჩის ჩატარება მოასწრო. მისი სტატისტიკა 9.2 ქულასა და 6.6 მოხსნას უდრის.

Yahoo!Sports-ის ინფორმაციით, კრისის გადაბირების სურვილი უკვე ოთხმა კლუბმა გამოთქვა - „ჰიუსტონმა", „ინდიანამ", „იუტამ" და „სან ანტონიომ".

### ბოგუტი: სამი თვე თამაშგარეში

ცუდი ამბავი შეიტყვეს „მილუოკი ბაქსის" გულშემატკივრებმა. „ჰიუსტონთან" მატჩში მიღებული ტრავმის გამო დაახლოებით 2-3 თვის გამოტოვება მოუწევს **ენდრიუ ბოგუტს**. სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ავსტრალიელ ცენტრს მარცხენა ფეხი აქვს მოტეხილი და სასწრაფოდ ოპერაცია ესაჭიროება.

ბოგუტი მიმდინარე სეზონში ხშირად ტრავმიანობს. ამის გამო, მან მხოლოდ 12 მატჩი ჩაატარა. საშუალოდ ის თამაშში 11.3 ქულასა და 8.3 მოხსნას აგროვებს.

### ლეიკერსი არენასს უმიზნებს

ერთ-ერთი ამერიკული ინტერნეტპორტალის ინფორმაციით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" სერიოზულად განიხილავს მცველ **გილბერტ არენასის** გაფორმების ვარიანტს. ეს კალათბურთელი თავისუფალი აგენტი მას შემდეგ გახდა, რაც „ორლანდომ" მისი კონტრაქტი გამოისყიდა და გუნდიდან დაითხოვა.

არენასთან კონტრაქტის გაფორმების ზუსტი თარიღი არ სახელდება, მაგრამ გამოცემის ინფორმაციით, კალიფორნიული კლუბის მესვეურები უკვე დაუკავშირდნენ არენასს და მოლაპარაკებები დაიწყეს.

### კალდერონს გაცვლას უპირებენ

„ტორონტო რეპტორზი" 30 წლის ესპანელი გამთამაშებლის **ხოსე კალდერონის** გაცვლის ვარიანტს განიხილავს.

თავად კალათბურთელმა ესპანური „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უარს არ იტყოდა ისეთ კლუბში გადასვლაზე, რომელსაც სერიოზული მიზნები აქვს.

*„არ ვაპირებ „ტორონტოს" ხელმძღვანელობისთვის ულტიმატუმის წაყენებას. მე ეს არ მახასიათებს. მაგრამ თუ მათ ჩემს ტრეიდთან დაკავშირებით ადეკვატური წინადადება ექნებათ, მე წინააღმდეგი არ ვიქნები"*, - ამბობს ხოსე.

ამ სეზონში კალდერონის საშუალო სტატისტიკა 10.5 ქულასა და 8.4 შედეგიან გადაცემას შეადგენს.

**ფორმულა 1**

### ფეტელს ახალი მწვრთნელი ჰყავს

„რედ ბულის" პილოტს, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს **სებასტიან ფეტელს** ფიზმომზადებაში ახალი მწვრთნელი ეყოლება. ეს გახლავთ ფინელი სპეციალისტი **ჰეიკი ჰუოვინენი**.

ადრე გერმანელის პერსონალური მწვრთნელი ასევე ფინელი **ტომი პიარმაკოსკი** იყო, რომელთანაც ფეტელი 2009 წლიდან მუშაობდა. სწორედ მან ურჩია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ჰუოვინენის აყვანა. ეს უკანასკნელი სპორტულ მეცნიერებაში ცნობილი სპეციალისტია და ადრე ფინეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფიტნეს-ცენტრში მუშაობდა. გარდა ამისა, ჰუოვინენი პროფესიონალი ჰოკეისტი იყო.

**ფიგურული სრიალი**

### პლიუშჩენკოს მეშვიდე ოქრო

ბრიტანეთის ქალაქ შეფილდში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. კარიერაში მეშვიდედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი ცნობილი რუსი **ევგენი პლიუშჩენკო**, რომელმაც 261,23 ქულით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მან უკან ჩამოიტოვა თანამემამულე **არტურ გაჩინსკი** და ფრანგი **ფლორან ამოდიო**, რომლებმაც, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მიიღეს.

სპორტულ ცეკვებში ფრანგებმა გაიმარჯვეს. ოქროს მედალი მოიპოვა დუეტმა **ნატალი პეშალისა** და **ფაბიან ბურზას** შემადგენლობით. მეორე-მესამე ადგილებზე რუსები გავიდნენ: **ეკატერინა ბობროვა** და **დმიტრი სოლოვიოვი** ვერცხლის მედლით დაჯილდოვდნენ, **ელენა ილინიხი** და **ნიკიტა კაცაპალოვი** - ბრინჯაოთი.

**ციგურებით სირბილი**

### რეკორდი კალგარიში

კანადის ქალაქ კალგარიში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი სპრინტერულ მრავალჭიდში. ტურნირის პირველ დღეს მსოფლიოს ახალი რეკორდი დამყარდა ქალებს შორის 1000 მეტრ დისტანციაზე, რომლის ავტორი გახდა კანადელი **კრისტინ ნესბიტი**. მისი დრო იყო წუთი და 12,68 წამი. მასპინძელმა თანამემამულის, ლეგენდარული **სინდი კლასენის** რეკორდი გააუმჯობესა და პირველი დღის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერი გახდა.

**ჰოკეი**

### კროსბი ყინულს დაუბრუნდა

„პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდმა **სიდნი კროსბიმ** ისევ დაიწყო ყინულზე ვარჯიში, - იტყობინება ESPN-ის ოფიციალური ვებგვერდი. *„ის ყინულზე მთელი კვირა დიდ დროს ატარებდა"*, - აღნიშნა ჰოკეისტის აგენტმა **პეტ ბრისონმა**.

შეგახსენებთ, რომ ფორვარდი 5 დეკემბრის შემდეგ არ თამაშობს, როცა „ბოსტონთან" მატჩის შემდეგ ისევ გაუჩნდა ტვინის შერყევის სიმპტომები. ამ სეზონში კროსბიმ რვა თამაშის ჩატარება მოასწრო და 12 ქულა (2+10) დააგროვა.

ყინულზე ხელმეორე დაბრუნების ზუსტი თარიღი არ სახელდება. „პიტსბურგის" გენერალურმა მენეჯერმა **რეი შერომ** ადრე განაცხადა, რომ კროსბი იქამდე არ ითამაშებს, სანამ ტვინის შერყევის ყველა სიმპტომი არ გაქრება.

### კალგარი და ჩიკაგო მორიგდნენ

„კალგარი ფლეიმზმა" 36 წლის ცენტრფორვარდი **ბრენდან მორისონი** ტრეიდით „ჩიკაგოში" გაუშვა, სანაცვლოდ კი მცველი **ბრაიან კონელი** მიიღო, - წერს ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდი. ამ სეზონში მორისონმა 28 მატჩში 11 ქულა (4+7) დააგროვა და სულ ახლახან დაუბრუნდა ყინულს ტრავმის შემდეგ. რაც შეეხება 25 წლის კონელის, ის ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) გამოდიოდა და ჯერ NHL-ში არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია.

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსი ასიანებს გადაეჩვია



იგუოდალა (მარჯვნივ) დეტროიტის წინააღმდეგ

გასულ უქმეებზე "მაიამი ჰიტმა" NBA-ის ახალი რეკორდი დაამყარა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ამ გუნდმა ზედიზედ 71-ე მატჩი ჩაატარა ისე, რომ მის არც ერთ კალათბურთელს არ მიუღია ექვსი პერსონალური. ბოლოს, "ჰიტის" კალათბურთელი ზედმეტი პერსონალურების გამო 2010 წლის 20 დეკემბერს გააძევეს მოედნიდან. ეს მოთამაშე იყო **მარიო ჩელმერსი**.

- "პორტლენდის" ცენტრმა **მარკუს კემბიმ** 20 მოხსნა მიითვალა "ფინიქსის" წინააღმდეგ, მაგრამ, ამასთან, ვერც ერთი ქულა ვერ აიღო. ეს კემბის კარიერაში მეორე ასეთი მატჩია: პირველად "დენვერში" თამაშის დროს ჰქონდა 0/20 "ლეიკერსის" წინააღმდეგ (2007 წლის 5 დეკემბერი). სულ კი NBA-ის ისტორიაში ათი მსგავსი შეხვედრაა ჩატარებული, როცა რომელიმე კალათბურთელმა 20 მოხსნას ვერც ერთი ქულა ვერ დაურთო. აქედან შვიდი მატჩი **დენის როდმანის** ანგარიშზეა.

- "ნიუ იორკმა" ამ სეზონში მეორედ 25 სამქულიანი ააცილა მიზანს (43-დან 18 "მაიამისთან" მატჩში). პირველი ასეთი მატჩი "ნიქსს" 2 იანვარს "ტორონტოს" წინააღმდეგ ჰქონდა – 35-დან 10. ასევე 25 აცილებული სამქულიანია "მილუოკის" ანგარიშზე – 30-დან 5 (22 იანვარს "მაიამისთან" მატჩში.

- "ფილადელფიას" წელს შინ ცხრა მოგება და ორი წაგება აქვს. ცხრა მოგებულ მატჩში "სიქსერზი" მინიმუმ 10-ქულიან უპირატესობას აღწევდა.

- "ნიუ ორლეანთან" წაგებულ მატჩში "ორლანდომ" ვერც ერთ მეოთხედში ვერ შეძლო მინიმუმ 20 ქულის დაგროვება. წინა მატჩში "სელტიქსის" წინააღმდეგ "მეჯიქმა" მესამე მეოთხედში 17 ქულა მოიპოვა, მეოთხეში – რვა. 20 ქულაზე ნაკლები ზედიზედ ექვსი მეოთხედი საკლუბო რეკორდის გამეორებაა. ადრე ორი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 2005-06 წლების სეზონში.

- "ნიუ ორლეანმა" "ორლანდოს" დამარცხებით შეწყვიტა ცხრამატჩიანი წაგებათა სერია. "ჰორნეტსმა" 93:67 გაიმარჯვა და ეს მერვე შემთხვევაა NBA-ის ისტორიაში, როცა ცხრამატჩიანი მოგებათა სერია ასეთი სხვაობით მოგებული მატჩით შეწყდა.

- **პოლ პირსმა** 28 ქულა, 10 მოხსნა და რვა შედეგიანი პასი მიითვალა "ინდიანასთან" მოგებულ შეხვედრაში. ეს მეშვიდე შემთხვევაა პირსის კარიერაში, როცა ის სამივე კატეგორიაში გუნდის ლიდერი იყო, თუმცა ბოლოს ასეთ შემთხვევას 2006 წლის 8 მარტს ჰქონდა ადგილი. ასეთი თამაშების რაოდენობით "ბოსტონის" ლიდერია **ლარი ბერდი** - 50 შეხვედრა. ასე რომ, პირსს აქამდე ბევრი უკლია.

### 27 იანვარი

**ფილადელფია-შარლოტი 89:72**

23:10, 36:27, 18:14, 12:21

**ფ:** უილიამსი (17), ჰოლიდეი (15), მიქსი (14), იანგი (10).

**შ:** უოკერი (14+8 მოხსნა), კეროლი (11), ბრაუნი (11), დიაო (10).

**დეტროიტი-ატლანტა 101:107 (ო)**

17:15, 29:20, 22:28, 19:24, 14:20

**დ:** მონრო (22+11 მოხსნა), ნაიტი (20+8 პასი), მაქსიელი (19+8 მოხსნა), სტაკი (14+5 პასი), დეი (12), ჟერებკო (12).

**ა:** ჯონსონი (30), უილიამსი (22+8 მოხსნა), სმიტი (19+11 მოხსნა+8 პასი+3 დაფარება), ფაჩულია (16+9 მოხსნა).

**ჩიკაგო-მილუოკი 107:100**

30:27, 21:23, 28:18, 28:32

**ჩ:** როუზი (34), ბუზერი (20+13 მოხსნა), ნოა (15+16 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), უოტსონი (13).

**მ:** ჯენინგსი (25+7 მოხსნა), გუდენი (23+15 მოხსნა+6 პასი), ლოუერი (19), ჯექსონი (10+5 პასი).

**მაიამი-ნიუ იორკი 99:89**

22:22, 30:26, 22:23, 25:18

**მ:** ჯეიმსი (31+8 მოხსნა+7 პასი), უეიდი (28+5 ჩაჭრა), ბოში (13+9 მოხსნა).

**ნ-ი:** უოკერი (21+7 მოხსნა), დუგლასი (16+5 პასი), ფილდსი (14+7 მოხსნა+5 პასი), სტაუდმაიერი (12), ჩენდლერი (9+12 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ორლანდო 93:67**

23:19, 24:15, 22:18, 24:15

**ნ-ო:** ლენდრი (17), ბელინელი (15), სმიტი (14), ჯეკი (11+9 პასი).

**ო:** ჰოვარდი (28+16 მოხსნა).

**დენვერი-ტორონტო 96:81**

28:12, 26:20, 24:32, 18:17

**დ:** ფერნანდესი (23+ 3 ჩაჭრა), გალინარი (21+7 მოხსნა), ნენე (20+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), მილერი (13+12 პასი).

**ტ:** ბარბოზა (19), ბეილესი (18), ჯონსონი (16), გრეი (0+11 მოხსნა).

**გ. სტეიტი-ოკლაჰომა 109:120**

23:28, 29:29, 25:28, 32:35

**გ-ს:** რაიტი (23+9 მოხსნა+5 პასი), ლი (19+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), კარი (15+6 პასი), ტომპსონი (14), ელისი (13+6 პასი).

**ო:** დურანტი (37+14 მოხსნა), უესტბრუკი (28+11 პასი+7 ჩაჭრა), იბაკა (20+12 მოხსნა), ჰარდენი (19).

**ბოსტონი-ინდიანა 94:87**

23:17, 19:17, 29:27, 23:26

**ბ:** პირსი (28+10 მოხსნა+8 პასი), უილკოქსი (14), პიეტრუსი (13+8 მოხსნა), გარნეტი (13+8 მოხსნა), ბასი (12).

**ი:** გრეინჯერი (21), ჯორჯი (16+9 მოხსნა), უესტი (14+8 მოხსნა), ჰიბერტი (11+7 მოხსნა).

**კლივლენდი-ნიუ ჯერსი 96:99**

20:30, 17:17, 24:25, 35:27

**კ:** ირვინგი (32), ჯეიმისონი (20), სეშენსი (11).

**ნ-ჯ:** დ. უილიამსი (27+10 პასი), მოროუ (22), ჰემფრიზი (18+11 მოხსნა), ფარმარი (11+7 პასი).

**ჰიუსტონი-ვაშინგტონი 103:76**

17:21, 27:20, 34:21, 25:14

**ჰ:** ბადინგერი (21+8 მოხსნა), სკოლა (19+8 მოხსნა), დალემბერი (11), ჰილი (10+10 მოხსნა).

**ვ:** უოლი (17+8 მოხსნა+6 პასი), იანგი (15), მაკგი (9+11 მოხსნა+4 დაფარება).

**მინესოტა-სან ანტონიო 87:79**

21:22, 20:20, 23:22, 23:15

**მ:** ლავი (18+16 მოხსნა), რუბიო (18+10 პასი), პეკოვიჩი (14+10 მოხსნა), უილიამსი (12).

**ს-ა:** პარკერი (20), ბონერი (13), სპლიტერი (12+7 მოხსნა), ჯეფერსონი (10), დანკანი (9+10 მოხსნა+4 დაფარება).

**დალასი-იუტა 116:101**

30:30, 28:20, 30:32, 28:19

**დ:** ბობუა (22+7 პასი+4 დაფარება), ოდომი (19), ტერი (18), მერიონი (16), ჰეივუდი (12+12 მოხსნა), კარტერი (12).

**ი:** მილსეპი (20+7 მოხსნა), ჯეფერსონი (19+3 დაფარება), კანტერი (12+7 მოხსნა), ჰარისი (10).

**პორტლენდი-ფინიქსი 109:71**

21:24, 26:9, 31:12, 31:26

**პ:** ოლდრიჯი (23+7 მოხსნა), უოლასი (17), მეტიუზი (16), ბატუმი (14), კროუფორდი (9+10 პასი), ტომასი (8+9 მოხსნა), კემბი (0+20 მოხსნა).

**ფ:** ჰილი (12), ტელფეირი (10), გორტატი (8+10 მოხსნა).

- უქმეების ერთადერთი სამმაგი დუბლი **ანდრე იგუოდალამ** შეასრულა, თანაც სამივე კომპონენტში მან მინიმალური - 10 ერთეული დააგროვა: 10 ქულა, 10 მოხსნა და 10 პასი. ეს მეოთხე შემთხვევაა NBA-ის ისტორიაში, როცა თამაშში მინიმალური სამმაგი დუბლი დაფიქსირდა. 2005 წელს იგივე გააკეთა იგუოდალამ, 2003 წელს **პენი ჰარდუეიმ** და 2006 წელს - **ჯეისონ კიდმა**.

- „ფინიქსის" ცენტრმა **მარცინ გორტატმა** 12 მოხსნა დააგროვა „მემფისთან" მოგებულ მატჩში. პოლონელმა ზედიზედ მე-11 მატჩში მოიხვეჭა მინიმუმ 10 მოხსნა. 2001 წლის შემდეგ „ფინიქსში" ასეთი შედეგი არც ერთ კალათბურთელს არ ჰქონია.

- „ლეიკერსმა" 89:100 წააგო „მილუოკისთან". კალიფორნიელებმა ამ სეზონში ჩატარებული 20 მატჩიდან 19-ში ვერ შეძლეს 100-ქულიან ზღვრამდე მიღწევა. იგივე შედეგი აქვს წელს „დეტროიტ პისტონზს", მაგრამ ამ გუნდებს ბევრი უკლიათ „პორტლენდის" ანტირეკორდამდე, რომელიც 2005-06 წლების სეზონშია დამყარებული - სეზონის სტარტზე ზედიზედ 26 მატჩი 100 ქულის გარეშე.

### 28 იანვარი

**ფილადელფია-დეტროიტი 95:74**

24:14, 18:17, 27:22, 26:21

**ფ:** უილიამსი (17), ბრენდი (14), ჰოლიდეი (13), მიქსი (12), ტერნერი (12), იგუოდალა (10+10 მოხსნა+10 პასი).

**დ:** მონრო (16+10 მოხსნა), დეი (12), სტაკი (11), მაქსიელი (9+7 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ნიუ იორკი 97:84**

20:21, 33:25, 22:14, 22:24

**ჰ:** ბადინგერი (19), დრაგიჩი (16+5 პასი), ჰილი (14+11 მოხსნა), ლი (14+4 ჩაჭრა), სკოლა (12), დალემბერი (7+14 მოხსნა+4 დაფარება).

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (23+8 მოხსნა), ჩენდლერი (14+11 მოხსნა), შუმპერტი (11).

**ფინიქსი-მემფისი 86:84**

24:16, 24:16, 15:24, 23:28

**ფ:** ნეში (21+6 პასი), დადლი (20+3 ჩაჭრა), გორტატი (13+12 მოხსნა), მორისი (10+9 მოხსნა).

**მ:** გეი (18), გასოლი (18+13 მოხსნა+4 დაფარება), კონლი (15+10 პასი), ალენი (10), კანინგემი (6+10 მოხსნა).

**შარლოტი-ვაშინგტონი 99:102**

26:26, 22:32, 30:25, 21:19

**შ:** მალენსი (23), დიაო (21+10 პასი), უოკერი (20+11 პასი+10 მოხსნა), კეროლი (13).

**ვ:** მაკგი (22+10 მოხსნა+5 დაფარება), იანგი (21), ბუკერი (16), უოლი (13+10 პასი), კროუფორდი (12+7 პასი), ლუისი (10).

**მილუოკი-ლეიკერსი 100:89**

27:23, 24:20, 29:30, 20:16

**მ:** გუდენი (23+8 მოხსნა), ილიასოვა (15), დანლივი (15), ჯენინგსი (12+7 პასი), ლივინგსტონი (11), მბა ა მუტე (10).

**ლ:** ბრაიანტი (27+9 პასი+8 მოხსნა), ბინუმი (15+9 მოხსნა), გუდლოკი (13), გასოლი (12+15 მოხსნა+5 პასი).

**იუტა-საკრამენტო 96:93**

27:26, 22:21, 29:20, 18:26

**ი:** ჰეივორდი (21), მაილზი (20), ჯეფერსონი (12+3 დაფარება), ჰარისი (9+6 პასი), მილსეპი (6+14 მოხსნა).

**ს:** ევანსი (31+9 პასი), ტომპსონი (14), კაზინსი (14+9 მოხსნა), ფრედეტი (14), ტომასი (13).

### ლებრონი მიდის?

სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა ოკეანის გაღმიდან. როგორც ერთ-ერთი გაზეთი წერს, **ლებრონ ჯეიმსი** სერიოზულად განიხილავს „მაიამი ჰიტის" დატოვების ვარიანტს. ოღონდ ეს მაშინ მოხდება, როცა 2013-14 წლების სეზონის შემდეგ „მეფე" კონტრაქტში არსებულ პუნქტს გამოიყენებს და თავისუფალი აგენტი გახდება.

მიუხედავად იმისა, რომ ფორვარდი კმაყოფილია **დუეინ უეიდთან** და **კრის ბოშთან** ერთად თამაშით, ჯეიმსს არ მოსწონს კლუბის პრეზიდენტის **პეტ რაილის** მეთოდები, რომელიც გუნდში უმკაცრეს დისციპლინას მისდევს.

თუ რაილი გააგრძელებს ამგვარი მეთოდებით ხელმძღვანელობას, ლებრონი სერიოზულად განიხილავს კონტრაქტის განყვეტის ვარიანტს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. ყველა ვარსკვლავის უქმეები 2012

# მხიარულება ოტავაში

ოტავაში გაიმართა ჰოკეის ეროვნული ლიგის "ვარსკვლავური უქმეების" პირველი დღე. კონკურსების შოუ – Superskills **დანიელ ალფრედსონის** გუნდმა მოიგო. პირველი დღის მთავარი მოვლენა იყო „ბოსტონის" კაპიტნის, ორმეტრიანი სლოვაკის **ზდენო ხარას** ზედიზედ მეხუთე გამარჯვება ყველაზე ძლიერი დარტყმის კონკურსში.

როგორც უკვე ვწერდით, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემადგენლობები პარასკევს დაკომპლექტდა. კაპიტნებმა – **დანიელ ალფრედსონმა** და **ზდენო ხარამ** დრაფტის მეშვეობით მათთვის სასურველი ჰოკეისტები აირჩიეს და გუშინ, "მხიარულ სტარტებში" მიიღეს მონაწილეობა.

Superskills ყველაზე სწრაფებისა და მოხერხებულების კონკურსით გაიხსნა, რომელშიც "რეინჯერსის" ფორვარდმა **კარლ ჰაგელინმა** (ალფრედსონის გუნდიდან) გაიმარჯვა. ფინალში მისი დრო იყო – 13.218 წამი.

მეორე კონკურსი იყო "ყველაზე ლამაზი ბულიტი". ბოლო წლებში აქ რუსი **ალექსანდრ ოვეჩკინი** დომინირებდა, მაგრამ ის წლევანდელ "ოლ სტარზე" არ გამოდის. კონკურსის წინ ვიდეოთი აჩვენეს "ვაშინგტონის" ფორვარდის ლეგენდარული ბულიტი ორი ყვანჯით. გამარჯვებულს პირთამდე სავსე მაყურებელი ირჩევდა. სხვების ფონზე უკეთ გამოიყურებოდა **პატრიკ კეინი**. "ჩიკაგოს" ფორვარდმა "სუპერმენის" ფორმა ჩაიცვა, ბულიტის შესასრულებლად "გაფრინდა" და მეტად ორიგინალური ფორმით გაიტანა შაიბა -კარის წინ მუცელზე დაეცა და მაინც ზუსტად დაარტყა. პუბლიკას ძალიან მოეწონა ტრიუკი, მიუხედავად იმისა, რომ ეს პლაგიატი იყო. რამდენიმე წლის წინ, მსგავსი ფორმით NBA-ის "ვარსკვლავურ უქმეებზე" "ორლანდოს" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** წარსდგა.

კეინმა ხმების 47 პროცენტი მოაგროვა, არადა, სერიოზული კონკურენტი ჰყავდა – ანაჰაიმელი **კორი პერი**. ბულიტის შესრულებისას მან შუა გზაში ყვანჯი ყინულზე დააგდო, შარვლიდან მინიატურული სათამაშო ყვანჯი ამოიღო და მაინც მოატყუა მეკარე.

ამავე კონკურსში უნდა გამოვყოთ მეკარე **კერი პრაისი**, რომელმაც ერთი ბულიტი ისე მოიგერია, რომ თავდამსხმელთან ზურგით იმყოფებოდა.

დარტყმების სიზუსტის კონკურსი მოიგო "დალასის" ფორვარდმა **ჯეიმი ბენმა**, დარტყმის ძალაზე კონკურსში კი, როგორც გითხარით, "ბოსტონის" კაპიტანმა **ზდენო ხარამ** აჯობა ყველას. მის მიერ გასროლილი შაიბის სიჩქარე საათში 175 კილომეტრს შეადგენდა, რაც "ოლ სტარის" ახალი რეკორდია.

Superskills-ის გამარჯვებული მეშვიდე კონკურსში ირკვეოდა, სადაც საჭირო იყო ბულიტის რეალიზება და არა მისი ორიგინალურად შესრულება. ალფრედსონის გუნდს გამარჯვება მოუტანა "ტამპა ბეის" ფორვარდმა **სტივენ სტემკოსმა**, რომელიც ერთადერთი იყო, ვინც სამიდან სამი ბულიტი გამოიყენა.

**Superskills**

**1. სისწრაფის კონკურსი**

**გამარჯვებული:** კარლ ჰაგელინი ("რეინჯერსი"/ალფრედსონის გუნდი) – 13,218 წამი.

ანგარიში პირველი კონკურსის შემდეგ: ალფრედსონის გუნდი-ხარა გუნდი – 4:2.

**2. სანახაობრივი ბულიტი**

**გამარჯვებული:** პატრიკ კეინი ("ჩიკაგო"/ხარას გუნდი) – ხმების 47%.

ანგარიში მეორე კონკურსის შემდეგ: ალფრედსონის გუნდი-ხარა გუნდი – 4:3.

**3. დარტყმები სიზუსტეზე**

**გამარჯვებული:** ჯეიმი ბენი ("დალასი"/ხარას გუნდი)

ანგარიში მესამე კონკურსის შემდეგ: ალფრედსონის გუნდი-ხარა გუნდი – 6:6.

**4. ესტაფეტა ოსტატობაში**

**გამარჯვებული:** ალფრედსონის გუნდი – 2,08.

ანგარიში მეოთხე კონკურსის შემდეგ: ალფრედსონის გუნდი-ხარა გუნდი – 9:6.

**5. სისწრაფის კონკურსი**

**გამარჯვებული:** ზდენო ხარა ("ბოსტონი"/ხარას გუნდი) – 175,1 კმ/სთ (ახალი რეკორდი).

ანგარიში მეხუთე კონკურსის შემდეგ: ალფრედსონის გუნდი-ხარა გუნდი – 11:9.

**6. ბულიტები**

**გამარჯვებული:** სტივენ სტემკოსი ("ტამპა ბეი"/ალფრედსონის გუნდი).

ანგარიში მეექვსე კონკურსის შემდეგ: ალფრედსონის გუნდი-ხარა გუნდი – 21:12.

ჩოგბურთი

# კურიე ფედერერის წინააღმდეგ

ამერიკის ნაკრების კაპიტანმა **ჯიმ კურიემ** დევისის თასის პირველი ეტაპისთვის შემადგენლობა დაასახელა. მერვედფინალში აშშ-ის მეტოქე შვეიცარიის ნაკრები იქნება. შეხვედრა ქალაქ ფრიბურგის დარბაზში 10-12 თებერვალს გაიმართება. შვეიცარელები მეტოქეს გრუნტის კორტს დაახვედრებენ.

აშშ-ის ნაკრებში პირველად გამოიძახეს 19 წლის **რაიან ჰარისონი**. მის გარდა გუნდში ვხედავთ **მერდი ფიშს, ჯონ ისნერსა** და **მაიკ ბრაიანს**. ამ უკანასკნელს წყვილებში პარტნიორად არ ეყოლება ტყუპი ძმა **ბობ ბრაიანი**, რადგან მისმა მეუღლემ მალე უნდა იმშობიაროს.

როგორც კურიე ამბობს, ერთეულთა მატჩებში ფიშსა და ისნერს გამოიყვანს, წყვილების შეხვედრაში კი მაიკ ბრაიანს პარტნიორად იმავე ფიშს დაუყენებს.

ამერიკული ჩოგბურთის ყოფილმა ლიდერმა **ენდი როდიკმა** უარი თქვა თამაშზე, რადგან ავსტრალიის ღია პირველობის დროს ტრავმა მიიღო.

ალსანიშნავია, რომ შვეიცარიის ნაკრებში, სავარაუდოდ, მსოფლიოს მესამე ჩოგანი **როჯერ ფედერერი** ითამაშებს.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

| | |
|---|---|
| ბოტსვანა-გვინეა | 1:6 |
| განა-მალი | 2:0 |
| ეკ. გვინეა-ზამბია | 0:1 |
| ლიბია-სენეგალი | 2:1 |

**ინგლისის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-ჩელსი | 0:1 |
| ლივერპული-მანჩესტერ იუნ | 2:1 |
| ბლეკპული-უენსდი | 1:1 |
| ბოლტონი-სუონსი | 2:1 |
| დერბი-სტოკი | 0:2 |
| ჰალი-კროული | 0:1 |
| ლესტერი-სუინდონი | 2:0 |
| მილუოლი-საუთჰემპტონი | 1:1 |
| შეფილდი-ბირმინგემი | 0:4 |
| სტივენეიჯი-ნოტსი | 1:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 1:2 |
| ბრაიტონი-ნიუკასლი | 1:0 |
| სანდერლენდი-მიდლსბრო | 1:1 |
| არსენალი-ასტონ ვილა | 3:2 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| გლადბახი II-ელვერსბერგი | 2:1 |
| ესენი-კიოლნი II | 3:4 |
| ბოხუმი II-მაინცი II | 2:2 |
| ვუპერტალი-ფორტუნა (კ) | 1:0 |
| კაიზერი II-ფორტუნა II | 1:0 |
| ლევერკუზენი II-დორტმუნდი II | 1:2 |
| ტრირი-ობერშტაინი | 0:1 |
| ფერლი-კობლენცი | 0:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კლერმონი-ბასტია | 2:1 |
| ტრუა-ლავალი | 3:0 |
| ლე მანი-შატორუ | 0:1 |
| ისტრი-გინგამი | 2:1 |
| ბულონი-ამიენი | 0:1 |
| ნანტი-ტური | 1:0 |
| ჰავრი-არლი | 1:1 |
| რეიმსი-ანჟერსი | 3:0 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-ვეენდამი | 2:0 |
| დენ ბოში-ვილემი | 1:0 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრიუსელი-სტ. ნიკლაასი | 2:2 |
| დენდერი-ანტვერპენი | 1:1 |
| ჰაისტი-შარლერუა | 1:2 |
| ოსტენდე-სტანდარდი (ვ) | 3:0 |
| რუზელარე-ლომელი | 2:2 |
| ტინენი-ეუპენი | 1:1 |
| ტუბეკე-ვიზე | 0:3 |
| ვაასლანდი-აალსტი | 4:1 |
| ვოლუვე-ბორინაჟი | 3:1 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოლივეირენსე-ავეში | 1:1 |
| მადეირა-კოვილია | 1:1 |
| ბელენენსეში-პენაფიელი | 2:0 |
| ტროფენსე-ფრეამუნდე | 4:0 |
| მორეირენსე-არუკა | 0:2 |
| სანტა კლარა-ლეიქსოეში | 2:0 |
| ნავალი-პორტიმონენსე | 2:1 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ქუინი-მორტონი | 2:1 |
| როსი-ლივინგსტონი | 3:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეირდრი-სტირლინგი | 4:1 |
| სტენჰაუზმური-ისტ ფაიფი | 1:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალოა-მონროუზი | 2:0 |
| ანანი-ისტ სტირლინგი | 2:2 |
| პიტერჰედი-ქუინზ პარკი | 2:1 |
| სტრანრარი-ელჯინი | 5:2 |

**შოტლანდია**

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ეირი-კილმარნოკი | 0:1 დ.დ. |
| ფალკირკი-სელტიკი | 1:3 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ანაგენისი-ენოსისი | 0:2 |
| ერმისი-ომონია | 0:2 |
| ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი | 1:1 |
| აელ-არისი | 1:0 |
| აპოელ-აპოლონი | 2:1 |
| აეკ-ნეა სალამისი | 6:0 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| იარო-ვაასა | 1:0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოფი-ქსანტი | 1:0 |
| პანიონიოსი-კერკირა | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი-ერგოტელისი | 3:0 |
| ატრომიტოსი-ასტერასი | 0:1 |
| იანინა-პანაიტოლიკოსი | 1:0 |
| არისი-ლევადია | 2:1 |
| დოქსა-პანათინაიკოსი | 0:1 |
| აეკ-პაოკ | 0:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აგროტიკოსი-ვერია | 1:2 |
| ანაგენისი (ე)-პლატანიასი | 0:0 |
| ანაგენისი (ი)-კალონისი | 2:1 |
| დიაგორასი-პანახაიკი | 0:4 |
| ეთნიკოსი-პანთრაკიკოსი | 0:2 |
| ფოკიკოსი-ვიცასი | 1:0 |
| ირაკლისი (პ)-პანსერაიკოსი | 0:0 |
| კალითეა-ლარისა | 1:0 |
| ტრასივულოსი-პიერიკოსი | 2:1 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ქართალი-ქასიმფაშა | 1:1 |
| საქარია-ბოლუ | 2:7 |
| ბუკა-თავშანლი | 2:7 |
| გირეშუნი-ახისარი | 3:1 |
| გიუნგორენი-გაზიანთეფი ბბ | 2:0 |
| რიზე-ადანა | 1:1 |
| ქონია-ერჩიესი | 1:0 |
| ქარსიაქა-გიოზთეფე | 1:0 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| დონეგალი-გლენავონი | 1:1 |
| კერიკი-კლიფტონვილი | 3:3 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| ო'ჰიგინსი-ანტოფაგასტა | 1:0 |
| რეინჯერსი-ლა სერენა | 2:0 |
| პალესტინო-უნ. კატოლიკა | 1:2 |
| უაჩიპატო-სანტიაგო | 2:1 |
| კობრესალი-სან ფელიპე | 1:1 |
| კოლო კოლო-დეპორტესი | 0:0 |
| ლა კალერა-უნ. კონსეპსიონი | 1:1 |

**მექსიკა**

| | |
|---|---|
| მორელია-მონტერეი | 0:0 |
| ხაგუარესი-პუებლა | 0:1 |
| ტიგრესი-ტეკოსი | 2:1 |
| პაჩუკა-კერეტარო | 1:1 |
| ატლასი-ტოლუკა | 1:0 |
| სან ლუისი-ამერიკა | 1:3 |
| ატლანტე-კრუს ასული | 2:2 |

| | |
|---|---|
| პუმასი-გვადალახარა | 0:0 |
| ტიხუანა-ს. ლაგუნა | 1:3 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ტრირი-ლუდვიგსბურგი | 75:74 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| დრამასი-კოლოსოსი | 82:83 |
| კავალა-მარუსი | 89:69 |
| ილისიაკოსი-პაოკ | 75:69 |
| ოლიმპიაკოსი-რეტიმნო | 97:82 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ბოლონია-აველინო | 76:56 |
| მონტეგრანარო-ვარეზე | 63:60 |
| მილანი-სკავოლინი | 81:70 |
| ვანოლი-მონფერატო | 73:74 (ო) |
| ვენეცია-მონტეპასკი | 62:60 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-სარაგოსა | 58:73 |
| ობრადოირო-ლაგუნ არო | 80:88 |
| სევილია-კახა ლაბორალი | 66:73 |
| ბილბაო-ალიკანტე | 73:60 |
| ფუენლაბრადა-რეალი | 57:79 |
| ხუვენტუდი-მანრესა | 92:79 |
| ბარსელონა-მურსია | 90:53 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ოლინი | 63:58 |

**ხელბურთი**

**ევ. ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ხორვატია | 27:31 |
| სერბეთი-დანია | 19:21 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ავანგარდი | 2:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ოლიმპია-ზალცბურგი | 5:1 |
| კლაგენფიურტი-ლინცი | 1:3 |
| ფეჰერვარი-ზაგრები | 0:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტრაუბინგი-აისბარენი | 1:2 |
| ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2:1 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 3:2 |
| კიოლნი-დიუსელდორფი | 2:4 |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 3:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტორჰამარი-სტავანგერი | 0:6 |
| სტიერნენი-ლილეჰამერი | 3:7 |
| რუსენბორგი-ვოლერენგა | 0:6 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მარტინი-კოშიცე | 2:3 |
| სკალიცა-ჟილინა | 6:3 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:2 (ო) |
| ნიტრა-ზვოლენი | 3:1 |
| ბისტრიცა-პოპრადი | 2:3 (ბ) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ლიტვინოვი | 1:5 |
| ლიბერეცი-კარლოვი ვარი | 3:2 (ბ) |
| სპარტა-ბრნო | 4:5 (ო) |
| ტრშინეცი-ბოლესლავი | 6:1 |
| კლადნო-ვიტკოვიცე | 3:4 (ბ) |
| პლზენი-ბუდეიოვიცე | 3:2 (ო) |
| პარდუბიცე-ზლინი | 4:3 (ბ) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ფერიესტადი-იურგორდენი | 1:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| კლოტენი-ციურიხი | 2:3 |
| ლუგანო-ამბრი პიოტა | 3:0 |

ფორმულა 1

# შუმის ცვლა ეზრდება

სეზონებს შორის ფორმის შესანარჩუნებლად ბევრი პილოტი კარტინგის რბოლებში იღებს მონაწილეობას. გამონაკლისი არც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერია**, რომელიც იტალიის პატარა ქალაქ ლონატოს ტრასაზე ვარჯიშობს. თანაც, „მერსედესის" პილოტი მარტო არ გადის შეკრებას - მასთან ერთად არის მისი 12 წლის ვაჟი - **მიკი**. ალსანიშნავია, რომ ტრასა, რომელზეც მამა-შვილი გამოდის, უმაღლესი დონის შეჯიბრებებისთვის გამოიყენება, ამიტომაც შესაძლებელია შუმახერის შედეგების შედარება სხვა პილოტების სარეკორდო დროებთან.



მიხაელი ლონატოში

ItaliaRacing-ის ცნობით, „მერსედესის" პილოტის დრო იყო 41,8 წამი, რაც აბსოლუტურ რეკორდზე ორი მეათედი წამით უარესია. რაც შეეხება **მიკი შუმახერს**, მისი შედეგების შესახებ არაფერს იტყობინებიან. ეს ახალგაზრდა პილოტი უკვე დიდი ხანია კარტინგის რბოლებში გამოდის და უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს. ეჭვი არავის გვეპარება იმაში, რომ ლონატოში უმცროსი შუმახერი საუკეთესო მასწავლებლისგან იღებს პროფესიული ოსტატობის გაკვეთილს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

**30 იანვარი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXI ტური. რენი-მარსელი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. შტუტგარტი-ბორუსია (მ).
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XX ტური. მილანი-კალიარი.
**16:00** იტალიის ჩემპიონატი. XX ტური. იუვენტუსი-უდინეზე.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
**19:00** იტალიის ჩემპიონატი. XX ტური. კიევო-ლაციო.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური. ეინდჰოვენი-ვიტესი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XX ტური. ოსასუნა-ატლეტიკო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XX ტური. რომა-ბოლონია.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ჩიკაგო.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXI ტური. ბრესტი-პსჟ.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-უელსი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-სენტ ეტიენი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სიდნეი. ავსტრალია.
**00:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ინგლისი.
**13:15** სპორტ-NEWS.
**13:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ინგლისი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ლონდონი. ინგლისი.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ორივეს უნდა მოეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნოვაკ ჯოკოვიჩი

**ავსტრალიის ღია პირველობას ერთი ახალი და ერთი ძველი ჩემპიონი ჰყავს. ფინალებიც ქალთა და მამაკაცთა თანრიგში სრულიად განსხვავებული სცენარით წარიმართა - ერთში იყო მომავალი ჩემპიონის დომინირება, მეორეში კი მაყურებელმა თითქმის ერთსაათიანი თრილერი იხილა.**

ქალების ფინალი შაბათს გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ **ვიქტორია აზარენკას** აქამდე არასოდეს ეთამაშა „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში, ბუკმეიკერები სწორედ მას ასახელებდნენ ფავორიტად **მარია შარაპოვასთან** დაპირისპირებაში. ბელარუსი მართლაც შესანიშნავად მოემზადა ამ ტურნირისთვის. სტაბილურობა, კომბინაციური ჩოგბურთი, ტაქტიკის მრავალფეროვნება - სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მისი მთავარი კოზირი რუსი ჩოგბურთელის წინააღმდეგ. მარიას სასარგებლოდ კი, პირველ რიგში" ხასიათის სიმტკიცე და გამოცდილება ლაპარაკობდა.

ფინალამდე მარია და ვიქტორია საკმაოდ დამაჯერებლად მიდიოდნენ. პირველ ორ მატჩში ორ-ორი გეიმი დათმეს, ჯამში კი ორ-ორი სეტი წააგეს. ბელარუსმა ორით მეტი გეიმი ითამაშა, სამაგიეროდ, კორტზე 22 წუთით ნაკლები გაატარა. სხვაობა დიდი არ არის, ასე რომ, ფიზიკური თვალსაზრისით უპირატესობა არც ერთს არ ჰქონდა. ასევე თანაფარდობა იყო ურთიერთშეხვედრებში - 3:3 და კლასიფიკაციაშიც ტურნირამდე მეზობლები იყვნენ - აზარენკა მესამე, შარაპოვა მეოთხე. სხვათა შორის რეიტინგი ამ მატჩის დამატებითი ინტრიგა იყო. წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობა უნიკალური გახლდათ იმ მხრივ, რომ ფინალის გამარჯვებული WTA-ის ტურის ახალი ლიდერი ხდებოდა.

მოკლედ, მატჩის წინ თითქმის ყველა მაჩვენებელი თანაბარი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ფინალის საბოლოო ანგარიშში სხვაობა აღმოჩნდა გამანადგურებელი. შარაპოვამ მხოლოდ სტარტზე აანერვიულა თავისი მეტოქე. ვიქტორიამ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, რაც მისთვის ნამდვილად არ არის დამახასიათებელი. ამას მოჰყვა ბელარუსის მხრიდან საკუთარ მოწოდების წაგება. მალე შარაპოვამ მეორე ბრეიკის გაკეთების შანსი მიიღო, მაგრამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან დაეხმარა აზარენკას. ბელარუსმა შეძლო თამაშში შესვლა და თავის სტილში დაიწყო მოქმედება. და ძალიან მალე ვიქტორიამ სერიოზული უპირატესობა მიიღო. მარიას მხოლოდ პირველი მოწოდებისას მისდიოდა თამაში, მეორე ბურთზე კი მის მეტოქეს რეგულარულად დიდი უპირატესობა ჰქონდა. საერთოდ, აზარენკა უკანა ხაზზე ბრწყინვალედ თამაშობდა – ბეიზლაინზე გათამაშებათა 82 პროცენტი მოიგო. აზარენკა თითქმის არ ცდებოდა და ამასთან, მეტოქეს იოლ ბურთებს არ აძლევდა, ამიტომაც თამაშის გამწვავების მცდელობისას მარია ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა.

თუ პირველი სეტი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი და დაძაბული გამოვიდა, მეორეში შარაპოვას სრული განადგურებათ ვიხილეთ. აზარენკა დამაჯერებლად გრძნობდა თავს მოწოდებაზეც და მიღებაზეც. შარაპოვა ცდილობდა ინიციატივის დაბრუნებას, მაგრამ მას მუდმივად ხელს უშლიდა საკუთარი შეცდომები ან მეტოქის კარგი თამაში გადამწყვეტ მომენტებში. ერთხელ, როცა აზარენკა მატჩზე აწვდიდა, მარიამ ბრეიკ-პოინტი მიიღო. თითქოს ამ მომენტში ბელარუსი უნდა ანერვიულებულიყო, მაგრამ იმ დღის ის შეუდარებლად თამაშობდა. ისე გამოვიდა, რომ პირველ სეტში 3:3-დან ბელარუსმა ზედიზედ ცხრა (!) გეიმი აილო და 6:3, 6:0 გაიმარჯვა.

ვიქტორია მუხლებზე დაეცა, შემდეგ კი წარმატებით აღსანიშნავად თავისი მწვრთნელისკენ – **სემ სიუმიკისკენ** გაიქცა. თასის მიღების შემდეგ წარმოთქმული სიტყვის დროს, ბელარუსმა, პირველ რიგში, სწორედ მას გადაუხადა მადლობა. თასი კი აზარენკას შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა** გადასცა.

ვიქტორიამ ბელარუსს პირველი გამარჯვება მოუტანა „დიდი სლემის" ტურნირების ერთეულთა თანრიგში. დღეიდთან ის ქალთა კლასიფიკაციის 21-ე ლიდერია გახდა და შესაბამისად, პირველი ბელარუსი, ვინც ამგარ წარმატებას მიაღწია.

**WTA-ის ლიდერები**

| | |
|---|---|
| 1. შტეფი გრაფი (გერ) | 377 კვირა |
| 2. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) | 332 |
| 3. კრის ევერტი (აშშ) | 260 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 209 |
| 5. მონიკა სელეში (იუგ/აშშ) | 178 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 123 |
| 7. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 117 |
| 8. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 98 |
| 9. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 67 |
| 10. ამელი მორესმო (საფ) | 39 |
| 11. დინარა საფინა (რუს) | 26 |
| 12. ტრეისი ოსტინი (აშშ) | 21 |
| 13. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 20 |
| 14. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 18 |
| 15. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 17 |
| 15. მარია შარაპოვა (რუს) | 17 |
| 17. ანა ივანოვიჩი (სერ) | 12 |
| 17. ა. სანჩეს-ვიკარიო (ესპ) | 12 |
| 19. ვენუს უილიამსი (აშშ) | 11 |
| 20. ივონ გულაგონგი (ავსტრა) | 2 |
| 21. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1 |

■ ■ ■

გუშინ კი მამაკაცთა ფინალში **როდ ლეივერის** სახელობის კორტზე შეკრებილმა პუბლიკამ ნამდვილი სპექტაკლი იხილა. **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **რაფაელ ნადალმა** ავსტრალიის ღია პირველობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი ჩაატარეს და ესპანელს სულ ცოტა დააკლდა „ჯოკოვიჩის კომპლექსის" მოსახსნელად.

დასაწყისში უპირატესობას ნადალი დაეუფლა. თავის გეიმებს ის იოლად იღებდა, რასაც კარგი მოწოდება უწყობდა ხელს. ხოლო მიღებაზე ესპანელი რეგულარულად უმართავდა ბრძოლას მეტოქეს. რაფას ისიც ეხმარებოდა, რომ ნოვაკი რთულად უმკლავდებოდა მოწინააღმდეგის მოჭრილ დარტყმებს. შედეგად, რაფაელმა მეხუთე გეიმში ბრეიკი გააკეთა და მართალია, მალე ნოვაკმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მაინც მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 7:5.

მეორე სეტში ჯოკოვიჩმა თანდათან დაიწყო ინციატივის მოპოვება. რაფაელი ცდილობდა კორტში შესულიყო, მაგრამ ნოვაკი ღრმა და ზუსტი დარტყმებით მეტოქეს უკან ახევინებდა. თავად სერბი კი პირიქით, სულ უფრო და უფრო ხშირად შედიოდა მოედანზე და შესაბამისად, ნაკლებ ძალას ხარჯავდა. მალე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა 5:2 დაწინაურება მოახერხა. ნადალმა მაქსიმალურად მოინდომა (ესპანელმა ზედიზედ ორი გეიმი აიღო, თან სამი სეტბოლი მოიგერია), მაგრამ სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა. პარტია ნადალის ორმაგი შეცდომით დასრულდა.

მესამე სეტში სათამაშო უპირატესობა მთლიანად ჯოკოვიჩის მხარეს იყო. ის თამაშის მსვლელობას კარნახობდა მეტოქეს და მას მხოლოდ ორი გეიმის აღების საშუალება მისცა. ეს ორი გეიმიც ძალიან დაძაბულ ბრძოლაში მიდიოდა. სერბმა კი სამი საკუთარი გეიმი „მშრალი" ანგარიშით მოიგო და დამსახურებულად გაიმარჯვა - 6:2.

ჯოკოვიჩი მეოთხე პარტიაშიც მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ რაფაელმა შეძლო ბრძოლის გაჩაღება. რამდენჯერმე ნადალს შესანიშნავი შეტევა გამოუვიდა, მათ შორის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა ესპანელი 3:4-ზე 0:40-ს აგებდა. რაფამ ზედიზედ ხუთი ქულა აიღო და ანგარიში გათანაბრდა. სწორედ ამ დროს წვიმა წამოვიდა და სანამ ცენტრალურ კორტს გადახურავდნენ, თამაში 10 წუთით შეწყდა. რთული სათქმელია, ვის სასარგებლოდ იყო ეს პაუზა: ნადალმა მერვე გეიმის გადარჩენით დადებითი მუხტი მიიღო და ამ დროს თამაშის შეწყვეტა ესპანელისთვის მაინც და მაინც მისასალმებელი არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ნადალმა ბრძოლა გააგრძელა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. იქ თავიდან მინი-ბრეიკი რაფამ გააკეთა, მაგრამ მაშინვე ორი ქულა დათმო საკუთარ მოწოდებაზე. ჯოკოვიჩი 5:3 დაწინაურდა და ორი ქულა აკლდა ჩემპიონობამდე, მაგრამ ნადალმა ზედიზედ ოთხი ბურთი ჩააგდო და შემოკლებული გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5.

სეტის ასეთი ფინალით გამხნევებული ნადალი კიდევ უფრო უკეთ ათამაშდა, შეტევაში თამაში გააუმჯობესა და საკუთარ მოწოდებაზე იოლად მოგებული გეიმების შემდეგ ბრეიკი გააკეთა - 4:2. მაგრამ რაფაელმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო - ნოვაკმა ბოლო ძალები მოიკრიბა, ისევ მოუმატა დარტყმების სიგრძეს და შესაბამისად, ესპანელმა ისევ მოუხშირა შეცდომებს. უფრო მეტი ბრძოლა ნადალის მოწოდებებზე იყო და 5:5-ზე სერბმა ბრეიკის გაკეთება შეძლო. მატჩზე ჩაწოდებისას კი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და 7:5 გაიმარჯვა.

ასე რომ, სერბმა ჩოგბურთელმა „დიდი სლემის" ზედიზედ მესამე ტიტული მოიგო და მეოთხე ბოლო 13 თვის განმავლობაში. გარდა ამისა, მან ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხა ნადალი. სხვათა შორის გუშინდელი ფინალის მონაწილეებმა ავსტრალიის ღია პირველობაზე ერთი მატჩის ხანგრძლივობით რეკორდი დაამყარეს. აქამდე ყველაზე გრძელი მატჩი 2009 წლის ნახევარფინალში ნადალმა და **ფერნანდო ვერდასკომ** ითამაშეს - 5 საათი და 14 წუთი. გუშინდელი ფინალი კი 5 საათი და 53 წუთი გაგრძელდა და საიუბილეიო, მე-100 პირველობის ბრწყინვალე დასასრული აღმოჩნდა.

შემთხვევითი არ არის, რომ დაჯილდოების ცერემონიაზე ჩოგბურთელები ძლივს იდგნენ ფეხზე - ოფიციალური პირების სიტყვით გამოსვლისას მოთამაშეებს სკამებიც კი გამოუტანეს. ნოვაკმა, რომელმაც ზედიზედ მეორედ აიღო ავსტრალიის ღია პირველობის თასი, თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ორივენი იმსახურებდნენ გამარჯვებას: *„რაფა ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი და ძლიერია მოთამაშეა ტურში. დღეს ჩვენ ორივეს უნდა მოგვეგო, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ მე გავიმარჯვე. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ ბევრი მსგავსი ბრწყინვალე შეხვედრა გველის".*

**ფინალი**

**კაცები**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 5:7, 6:4, 6:2, 6:7(5), 7:5.

**ქალები**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-მარია შარაპოვა (რუს, 4) 6:3, 6:0.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ვიქტორია აზარენკა

**ავსტრალიის ღიას ყველა ჩემპიონი**

**ერთეულები (კაცები):** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
**ერთეულები (ქალები):** ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)
**წყვილები (კაცები):** ლეანდერ პაესი/რადეკ შტეპანეკი (ინდოეთი/ჩეხეთი)
**წყვილები (ქალები):** სვეტლანა კუზნეცოვა/ვერა ზვონარევა (რუსეთი)
**მიქსტი:** ბეტანი მატეკი/ცორია ტეცეუ (აშშ/რუმინეთი)

**იუნიორები**

**ერთეულები (ბიჭები):** ლუკ სევილი (ავსტრალია)
**ერთეულები (გოგონები):** ტეილორ თაუნსენდი (აშშ)
**წყვილები (ბიჭები):** ლაიამ ბროედი/ჰოშუა უორდ-ჰიბერტი (ბრიტანეთი)
**წყვილები (გოგონები):** გაბრიელა ენდრიუსი/ტეილორ თაუნსენდი (აშშ)